შალვა კაშაძე

გაღაცვნილი სალამური

გეოლოგნება
19 თბილისი 57

ვანო სარაჯიშვილი

ერის სიამაყე

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან, მაგრამ თითქოს ახლაც ჩვენს წინ დგას მხარბეჭიანი, წერწეტა ჭაბუკი და თვალშინაბული მღერის. ხუჭუჭთმიანი თავი ოდნავ გვერდზე მიუღია, წარბი შეუკრავს და შუბლის ნაოჭში მთელი სევდა ჩაუფრქვევია. მოწყვეტილი მკლავი გულმკერდზე უძევს. სიმღერის დროს ცალი წარბი მონავარდე მერცხლის ფრთასავით ცელქობს და ასხეპილი თითები უფრო ძალუმად სწვდება მკერდს — თითქოს უნდა მოჰგლიჯოს გული საგულეს და ხალხს ესროლოსო.

ეს სიმღერა კი არა, სასწაულებრივი აღგზნებაა მთელი სულისა და გულის, მთელი არსების.

ყველა სიმღერა სულში ჩამწვდომი სინარნარით შეგაისმოდა ვანოს ბაგეზე.

ვანო სარაჯიშვილი!

რამდენ რამეს ეუბნება ეს სახელი და გვარი ქართველ ადამიანს. ვანო სარაჯიშვილში, როგორც ერთწყაროსთვალში თავმოყრილი იყო ქართველი ერის მუსიკალური კულტურის გენია. ვანომ გვაგრძნობინა ქართული სიტყვის ეშხი სიმღერაში. მან ოქროვან სიმით მოაჩუქურთმა ჩვენი ჰანგი — ხან ნიავივით მსუბუქი და იდუმალი, ხან კი თერგივით მგრგვინავი

და ბობოქარი. ვანომ პირველმა გაიტანა შორს, საქართველოს საზღვრებიდან ჩვენი „ურმული“, ძველი ხალხური სიმღერები, მოახდინა ქართველი ერის მუსიკალური კულტურის დემონსტრაცია უცხოეთში და ასახელა დიდებული ჩვენი საშობლო.

ვანო სარაჯიშვილი ქართული ოპერის პირველი მახარობელი მერცხალია, მისი ქურუმი, უკვდავების მიმნიჭებელი.

ვანოს სიმღერა ესთეტიკური თრობა იყო საფლავამდე უნელებელი. სიმღერა, მისი სასიცოცხლო სტიქია იყო. სიმღერას თან გული უნდა ამოჰყვეს და სული შიგ ჩაჰყვეს.

დიდებული ბეთჰოვენი დაყრუვდა, მაგრამ გულით ესმოდა. ზოგ ხელოვანს ყურთასმენა აქვს, მაგრამ... გულით არის ყრუ. აი, სიყრუე რასა ჰქვიან!

მჭექარე ხმა სივრცეს მიაპობს—ლამის თეატრის სახურავი აჰგლიჯოს მაღლა: ხმა ისმის და არა სულის ღაღადისი.

ვანო გულშიეე სწვავდა ყოველ ბგერას, ამიტომ მისი სიმღერის წყარო გული იყო, ბაგე — ბილიკი.

ვანო ერთ-ერთი უბადლო ოსტატი იყო მთელს მსოფლიოში არაქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესრულებაშიაც. ხალხმა გააზოგადა ვანოს სახელი. არც ერთ ქართველ მომღერალს არ ღირსებია მთელი ერის ესოდენ დიდი სიყვარული და დაფასება. .

ვანო!—ისე სადად და დიდებულად ჟღერს ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში, როგორც ილიას, აკაკისა და ვაჟას სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ხარაჯიშვილთა გენეალოგიისათვის

,,ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვხვდება სიტყვა „სარაჯი“:

„მეფემან კოშკი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა.
ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა;
ძირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა.
ოჯი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!“

(სტროფი 362)

„ბალჩა ვნახე უტურფესი ყოვლისაგე სალხინოსა,
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა,
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა,
კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა“.

(სტროფი 383)

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „სარაჯა—ქვისა და ძელისა ღარივით რუსათვის“. ცნობილი ლექსიკოგრაფის დ. ჩუბინიშვილის განმარტებით: „სარაჯი (ირანული) შადრევანი“.

სარაჯი, ახლა მეკეხეს, მეუნაგირესა ჰქვიან. რადგან სარაჯა ან სარაჯი არის „ქვისა და ძელისა ღარივით რუსათვის“. ხოლო უნაგირის კეხი სწორედ ასეთსავე ღარს მოგვაგონებს, იქნებ ამის შესატყვისად მეუნაგირესაც სარაჯი დაერქვა. სარაჯიშვილიც, ალბათ აქედანვე წარმოსდგება.

დიდებულ შოთას ამ სტროფებში ვარდის წყლის შადრევანი აქვს მხედველობაში.

ვანო სარაჯიშვილიც ქართული ჰანგის სარაჯია, ვარდის წყლის შადრევანია!

ᲕᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲝᲑᲐ

ვანოს პაპა, მიხეილ სარაჯიშვილი, კავკასიის მეფის ნაცვალ მ. ს. ვორონცოვის მეგობარი იყო. რუსის ჯარს სანოვაგეს აწვდიდა. გაკოტრდა. ვორონცოვი წამოეშველა, მეგობარს ხელი გაუმართა. შვილების აღზრდაშიაც დაეხმარა.

მიხეილის ძმა, სოლომონ სარაჯიშვილი თბილისის ქალაქის თავი იყო.

ვანოს ნათესავი იყო აგრეთვე ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი (1848—1911), რომელმაც დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში მიიღო საფუძვლიანი განათლება, ჰქონდა სამეცნიერო ხარისხები და მრეწველობის მრავალი ჯილდო. ალ. სარაჯიშვილის ცნობით, დავითმა პირველმა შემოიღო რუსეთის იმპერიაში კონიაკის დაყენება. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ა. ეაგნერმა, თავის ყოფილ მოწაფეს დ. ზ. სარაჯიშვილს მიუძღვნა კაპი-

ტალური ნაშრომი — „მიწათმოქმედი და მრეწველი ქვეყანა“ (1902 წ. ბერლინი). იგი სტუმრად ეწვია დავითს თბილისში.

ვანოსიანე ნათესავი იყო განთქმული საზოგადო მოღვაწე, მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მკვლევარი და ბოლოს „იბერიის“ რედაქტორი ალექსანდრე სარაჯიშვილი (1851-1914 წ.)

ვანოს ბიძაშვილმა, შესანიშნავი ხმის მქონე ევგენია სარაჯიშვილმა, დიდის წარმატებით დაამთავრა 1897 წელს თბილისის სამუსიკო სასწავლებელი. სწავლა განაგრძო პეტერბურგში, შემდეგ პეტერბურგშივე მღეროდა და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იქვე გათხოვდა ჩუბინიშვილზე (ლექსიკოგრ. შვილზე) და დასახლდა სამუდამოდ. მისი და ეკატერინე, თავის დროზე, ფორტეპიანოს კარგი დამკვრელი იყო. 1900-იან წლებში ევგენია და ეკატერინე მონაწილეობდნენ ფილ. ქორიძის კონცერტებში. მათი ძმა—ალექსანდრე ამ ბოლო დრომდე მუშაობდა რეჟისორად თბილისის საოპერო თეატრში.

ვანოს ბიძა—ნიკო სარაჯიშვილი ძველი საერო და-სასულიერო კილოების შესანიშნავი მცოდნე იყო. ახლო კავშირი ჰქონდა ცნობილ კარბელაშვილებთან. დიდი ღვაწლი მიუძღვის „კარბელაანთ კილოს“ შენახვა—გავრცელებაში.

ვანოს ბიძაშვილი—ივანე თედორეს-ძე სარაჯიშვილი, იყო თბილისის სამუსიკო სასწავლებლის პროფესორი, ჩელოს განთქმული დამკვრელი და პირველი ქართველი მასწავლებელი. ბევრი ჩინებული მუსიკოსი აღზარდა. დიდად სახელმოხვეჭილი კაცი იყო. იგი მონაწილეობდა კვარტეტებში დიდ რუს კომპოზიტორ ჩაიკოვსკისთან ერთად, როცა ეს უკანასკნელი თბილისს ეწვეოდა ხოლმე. ივანე სარაჯიშვილი მარტო პედაგოგიურ მოღვაწეობით როდი კმაყოფილდებოდა. მას ჩაწერილი აქვს ბევრი ჩვენი ხალხური სიმღერა. ი. სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1898 წ. რაც გულისტკივილით აღნიშნა თბილისის სამუსიკო სასწავლებელმა და დიდ დანაკლისად მიიჩნია.

ვანოს მრავალრიცხოვანი და-ძმა ყველა მღეროდა. განსაკუთრებით განირჩეოდა შესანიშნავი კონტრალტოს მქონე უმცროსი და სოფიო, რომელთანაც ვანო ხშირად მღეროდა

ხალხურ სიმღერებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა სოფიო 1922 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

ვანოს ძმისწული—კოტე ანდრიას-ძე სარაჯიშვილი შესანიშნავი ხმით (ბარიტონი) დაჯილდოებული ჭაბუკი იყო. დაამთავრა თეატრალური სტუდია. მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად. ვანო მას თავის მემკვიდრედ სთვლიდა. საკუთარი გრიმის კოლოფიც კი უსახსოვრა. სახელოვანი ბიძის გარდაცვალების შემდეგ კოტე დაჩოქილი გალობდა მი'ი სურათის წინ სამგლოვიარო მელოდიებს და ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

კოტეს შესანიშნავ ხმას ყურადღება მიაქციეს ფალიაშვილებმა. გადაწყდა მისი იტალიაში მიყვანება სახელმწიფო ხარჯით. 1925 წელს, იტალიაში გამგზავრების წინ ბედშავი კოტე დაიხრჩო მტკვარში ქ. ევლახში. მისმა დამ, ოლღამ მუსიკალური განათლება მიიღო ლენინგრადისა და თბილისის კონსერვატორიებში. ხალასი განცდითა და მშვენიერი ხმით დაჯილდოებული მომღერალია. მონაწილეობს კონცერტებში.

ვანოს ძმისწულია ჩვენი საამაყო მეცნიერი, მთელს საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ნერვოპათოლოგი, პროფ. პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილი, რომელიც გარეგნობით ჩამოჰგავს კიდევაც თავის საამაყო ბიძას. პეტრე სარაჯიშვილი მთელი რიგი შესანიშნავი ნაშრომების ავტორია.

მ ო ბ ლ ე ბ ი

ვანოს მამა, პეტრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1823 წელს. 1844 წლის 20 ივნისს მან პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. პეტრე სარაჯიშვილი პირველი ქართველი ინჟინერი-ტექნოლოგი იყო. სამშობლოში დაბრუნებისას პეტრემ ვერ ჰპოვა ნიადაგი თავისი სპეციალობის გამოსაყენებლად და 1845 წლის შემოდგომიდან სილნაღში მასწავლებლად განმწესდა. შემდეგ პეტრემ კერძო პანსიონი გახსნა, მაღალი სამოქალაქო ჩინი და რიგიანი პენსია დაიმსახურა, ჰქონდა მთავრობის ჯილდოებიც. ბოლოს ნოტარიუსობა დაიწყო. ამ საქმიანობაში გარდაიცვალა 1887 წელს.

პეტრეს ორი წყება ცოლ-შვილი ჰყავდა. პირველი მეუღლის – ნინო ვაჩნაძის ასულისაგან (გარდ. 1875 წ.) ცხრა შვილი მიეცა. 1876 წლის 11 აპრილს 53 წლის პეტრემ მეორედ დაიწერა ჯვარი თელავში, თავად სოლომონ რუსიშვილი ყორჩიბაშის ასულ ეფემიაზე, რომელიც მასზე 21 წლით უმცროსი იყო. გასაგებია, რა სახელი უნდა ჰქონოდა პეტრე სარაჯიშვილს, რომ ცხრა შვილის პატრონსა და ხნითაც დიდად უფროს კაცს ჩინებული ახალგაზრდა ქალი გაეტანეს. ეფემიასაგან პეტრეს ხუთი შვილი მიეცა: ანდრო, ვანო (მომღერალი), გიორგი, ილია, და სოფიო.

უაღრესად გულკეთილი ეფემია საკუთარ შვილებზე უკეთ უვლიდა გერებს. ერთი მათგანის—ქეთევანის გარდაცვალებამ 1899 წელს დამბლა მოჰგვარა, რის გამო 1901 წელს გარდაიცვალა.

ვანოს ბავშვობა და მოზაფეობა

ვანო სარაჯიშვილი სიღნაღში დაიბადა 1879 წლის 1 მაისს. იგი პეტრე სარაჯიშვილის მეთერთმეტე შვილია.

პეტრე სარაჯიშვილს ნამდვილი ქართული ოჯახი ჰქონდა: მომლხენი, მომღერალი, პურმარილიანი. მის ჭერქვეშ ნიადაგ გაისმოდა ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერა. პეტრე კარგად უკრავდა თარს, ასწავლიდა ბავშვებს სალამურის თანხლებით ცეკვას. ამის წყალობით ვანომ შესანიშნავი ლეკური იცოდა. პაწია ვანომ სიმღერა თითქმის ლაპარაკთან ერთად ისწავლა. 6 წლისა იგი გამოცდილი ვაჟკაცივით ამბობდა რთულ ხალხურ სიმღერებს. უფროსმა ძმამ ანდრომ და ვანომ გალობა დაიწყეს ალექსანდრე ჩახნაშვილის (გარდ. 1938 წ.) გუნდში, რომელიც სიღნაღის ეკლესიაში მოღვაწეობდა. აქ ისინი შესანიშნავ მგალობლებად ითვლებოდნენ. ჭაბუკ მომღერლებს დანარჩენ ძმებთან ერთად ხშირად იწვევდნენ ქორწილებსა და ნადიმებში. 1887 წელს, პეტრეს გარდაცვალების შემდეგ სარაჯიშვილთა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა 1888 წელს ანდრო და ვანო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სასკოლო გუნდებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სასულიერო

სემინარიისა და სათავადაზნაურო გიმნაზიის გუნდები. 1888/89 სასწავლო წლიდან გიმნაზიის გუნდს სათავეში ჩაუდგა ზაქ. ჩხიკვაძე. ნიჭიერი ლოტბარის წყალობით გუნდი უფრო დაწინაურდა—გამოდიოდა ეკლესიებში, მონაწილეობდა სასწავლებელში გამართულ ლიტერატურულ—მუსიკალურ საღამოებში. ვანო სარაჯიშვილს აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრე საზოგადოება თავისი მომაჯადოებელი ხმითა და უბადლო მუსიკალობით. მალე ზაქ. ჩხიკვაძემ იგი თანაშემწედ გაიხადა. ძალიან ხშირად ვანო დამოუკიდებლად ლოტბარობდა. გუნდში მასთან ერთად მღეროდა მისი სკოლის ამხანაგი მიხ. კავსაძე, რომელმაც შემდეგ ნიჭიერი მომღერალისა და ლოტბარის სახელი მოიხვეჭა. გიმნაზიის გუნდში ვანო სარაჯიშვილი ბანით მღეროდა.

ვანო მთელი გიმნაზიის სულისჩამდგმელი იყო. სადაც კი გაჩნდებოდა, იქ იმ წამსვე იგრიალებდა შესანიშნავი ხალხური სიმღერა და მთელი მოწაფეობა მოსასმენად იკრიბებოდა. ვანოს ტანვარჯიშშიაც იშვიათად ჰყავდა მეტოქე. ეს ხუჭუჭთმიანი, წერწეტა ჭაბუკი შევარდენივით მოსწყდებოდა ღერძს, ჰაერში ბურთივით შეტრიალდებოდა და შორს ისარივით დაესობოდა. მომღერალ, მოცეკვავე, მოვარჯიშე ვანოს ხელისგულზე ატარებდნენ ამხანაგები, ყველა მასთან დაახლოებას ცდილობდა. ჩინებული ჭაბუკი არანაკლებ უყვარდა გიმნაზიის მასწავლებლობას. პანსიონის წლიური გადასახადი გაუმესამედეს. წვრილშვილიან ეფემიასათვის ეს დიდი ხელშეწყობა იყო. 1891 წელს ვანოს ძმა—ანდრო გიმნაზიიდან გავიდა. სიმღერა მაინც არ შეუწყვეტია. თავის ძმასთან, გიორგისთან ერთად იგი კარგა ხანს მღეროდა რატილის გუნდში.

სამუსიკო სასწავლებელში

ვანოს ბიძაშვილი, პროფესორი ივანე სარაჯიშვილი 1880 წლიდან მოღვაწეობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. გიმნაზიაში ყოფნის დროს ვანო თავის ბიძაშვილთან სწავლობდა ჩელოს დაკვრას. 1898 წელს გარდაიცვალა ივანე სარაჯიშვილი. იმავე წელს ვანო ოფიციალურად ჩაირიცხა თბილი-

სის სამუსიკო სასწავლებელში და გულმოდგინედ შეუდგა ჩელოს დაკვრის შესწავლას პროფ. ტალენტის ხელმძღვანელობით. რომელმაც ი. სარაჯიშვილის ადგილი დაიკავა. მუსიკის თეორიას პროფ. გ. ს. დობერი ასწავლიდა, სოლფეჯიოს და ორკესტრში დაკვრას პროფ. კლენოვსკი. ასწავლიდნენ აგრეთვე ი. ბურიანი და დუბინსკი.

ქართული ოპერის მომავალმა ფუძემდებლებმა — ზაქ. ფალიაშვილმა და ვანო სარაჯიშვილმა ერთად გაატარეს 1898/99 სასწავლო წელი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. ვანო დიდის წარმატებით გამოდიოდა აქ კონცერტებში, რომლებსაც დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. 1899 წლის 31 მარტს გამართულ კონცერტში მან შესანიშნავად შეასრულა გოლტერმანის „გრანდ დუო“ (დიდი დუეტი ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის). მოსწავლისათვის ეს არც ისე იოლი საქმე იყო.

1899 წლის მაისში ზაქ. ფალიაშვილმა დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი და მზადება დაიწყო მოსკოვს გასამგზავრებლად, სადაც თავისი მუსიკალური განათლება უნდა დაესრულებინა. სამხედრო სამსახურში გაწვევის მოახლოვების გამო, იმავე წელს ვანომ თავი დაანება სამუსიკო სასწავლებელს და მოხალისედ ჩაირიცხა კავკასიის მესამე ათასეულში.

ვანო მაშინ სავსებით გაწაფულად უკრავდა ჩელოს, ხმის დამუშავება არც კი უფიქრია, ჩელო უკან ჩამოდგა, ვანოს მაინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის თავი არ გაუნებებია. ხშირად წაავლებდა ხელს და ჭაბუკური გატაცებით უკრავდა.

სამხედრო სამსახურში

კავკასიის მესამე ათასეულის ყაზარმები ჩერქეზიშვილის ყოფ (დღევანდელ საბჭოს) ქუჩასთან მდებარეობდა. ვანოც აქ ატარებდა თავის სამსახურს. მუდამ კოხტად, ფაქიზად ეცვა. თავისი მოხდენილი ტანადობის გამო, შვენოდა კიდევაც სამხედრო ფორმა. თავაზიანმა და ზრდილმა ვანომ მთელი ათასეულის პატივისცემა დაიმსახურა. უფროსებიც პატივისცემით

ეპყრობოდნენ. ხშირად აძლევდნენ თავისუფლებას, ღამის გასათევადაც შინ უშვებდნენ.

სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ვანო გაეცნო მუშათა თეატრის ერთ-ერთ პირველ მსახიობს ელისაბედ დავითისასულ ვაშაკიძეს, რომელთანაც ხშირად დადიოდა და ესწრებოდა შინაურ წარმოდგენებს. ერთი ასეთი წარმოდგენა გაუმართავთ ჩუღურეთში (თბილისში), წყალსაწევის ქუჩაზე, ბაჯიაშვილის სახლში. დაუდგამთ „ძუნწი". წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ ელისაბედ ვაშაკიძეს, ვანო ლევანის-ძე (დავითის-ძე) ბაზიერაშვილს, მ. ვაშაკიძეს, ვ. მკედლიშვილსა და სხვებს. ვანო სარაჯიშვილიც ესწრებოდა ამ შინაურ წარმოდგენებს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ამ მუშათა დასის მოღვაწეობას. ელისაბედ ვაშაკიძეს ცოცხლად ედგა თვალწინ სამხედრო ფორმაში კოხტად მორთული ვანო. სარკესავით კრიალა ჩექმებით და წერწეტა წელზე მაგრად მოჭერილ ქამრით. ელისაბედ ვაშაკიძისას ვანოს დაჰყავდა სანდრო კავსაძეც. რომელთანაც დაახლოებული იყო ვანო იმ ხანად და მის გუნდში მონაწილეობდა. ვანოს წარმტაცი სიმღერა მთელი უბნის ხალხს აგროვებდა ვაშაკიძის ეზოში.

— მეტად ძვირფასი ხასიათის ჭაბუკი იყო: მუდამ უბრალო, მხიარული, თავაზიანი, სიტყვა არ დასცდენია ისეთი, რაც ადამიანს სახეს აუწითლებდაო,—გულის ტკივილით ნოიგონა ვანო მოხუცმა მსახიობმა.

განთქმულმა მომღერალმა და ლოტბარმა სანდრო კავსაძემ 1897 წელს შესანიშნავი გუნდი შეადგინა. ამ გუნდში ვანო სარაჯიშვილი მიიყვანა მისი სკოლის ამხანაგმა, ჩვენმა ნიჭიერმა ლოტბარმა და მომღერალმა მიხეილ კავსაძემ (სანდროს ძმისწულმა). თვით შესანიშნავი ხმის პატრონი სანდრო, მოაჯადოვა ვანო სარაჯიშვილის გასაოცარმა ხმამ და მუსიკალობამ. ვანო იმ ხანად ბანით მღეროდა, მაგრამ სანდროსთან ხმის გასინჯვისას მას რაღაც არაჩვეულებრივი სილამაზის ტენორი აღმოაჩნდა. სანდრო კავსაძე ცას ეწია სიხარულით. აქედან მოკიდებული იგი სისტემატურად მეცადინეობდა ვანოსთან და ხელს უწყობდა მის პირველ ხმაზე გადაყვანას.

ვანო სარაჯიშვილი სანდრო კავსაძის გუნდის მშვენება გახდა. კონცერტები უდიდესი წარმატებით ტარდებოდა მთელს საქართველოში. დამსწრე საზოგადოება მჭუხარე ტაშით ეგებებოდა სანდრო კავსაძის „ურმულს“, „მთაო გადმიშვის“ და გუნდის თანხლებით შესრულებულ სხვა სიმღერებს. ვანო სარაჯიშვილის დიდებული ხმა ვერცხლის ზარივით წკრიალებდა სანდროს დიდ გუნდში. მთელი ხალხი ალაპარაკდა, ნიადაგ ვანოს ქება ისმოდა, ზღაპრულ მდევივით იზრდებოდა მისი სახელი. მაგრამ სანდროს გუნდში ჭაბუკ ვანოს ბევრი სიმწარეც უნახავს. ბევრი მიცვალებული გაუსვენებია ვანოს თოვლქუაპში და თავისი წარმტაცი ხმით ერთი-ორად გაუზრდია სამგლოვიარო პროცესია ძალაუნებურად ადევნებული მსმენელებით.

კიტა აბაშიძის თაოსნობით სანდრო კავსაძე ჭიათურას გადასახლდა და იქ განაგრძო მოღვაწეობა. მის გუნდს თბილისში სათავეში ჩაუდგა მიხეილ კავსაძე, რომელმაც შემდეგ შესანიშნავი პირველი მუშათა გუნდი შეადგინა. მიხ. კავსაძე გულმოდგინედ იბრძოდა პრესის საშუალებითაც ქართული ხალხური სიმღერის სიწმინდისათვის. მისი გუნდიდან ბევრი მუსიკალური მოღვაწე დაწინაურდა. სხვათა შორის, მიხ. კავსაძის გუნდში მღეროდა განსვენებული ლოტბარი ალ. მაისურაძე, რომელმაც არა ერთი შესანიშნავი ხალხური სიმღერა ისწავლა აქ თავისი ნიჭიერი ლოტბარისაგან.

ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავ მცოდნეს—ვანო სარაჯიშვილს, გაუთკეცდა სანდრო კავსაძის გუნდში მშობლიურ კილოს სიყვარული. ეს სიყვარული მან უმწიკვლოდ ჩაიტანა სამარეში.

სარაჯიშვილთა საოჯახო გუნდი

1900-იან წლებიდან მეტად გაცხოველდა რევოლუციური მოძრაობა საქართველოს მუშათა წრეებში. მუშათა გათვითცნობიერებისათვის სპექტაკლები იმართებოდა.

ამ საერთო აღმავლობისა და გამოფხიზლების დროს მუშა მაკურებელს საგსახური გაუწიეს სარაჯიშვილებმაც, რომლებ-

მაც მშვენიერი საოჯახო გუნდი ჩამოაყალიბეს. გუნდში შედიოდნენ ვანო (პირველი ხმა), გიორგი (მეორე ხმა), ილია (ბანი), ანდრო (მაღალი ბანი), სოფიო (მეორე ხმა).

გუნდი შესანიშნავად ასრულებდა ძველ ქართულ-კახურ ხალხურ სიმღერებს. გუნდის წამყვანი მომღერალი და სულისჩამდგმელი ვანო იყო, რომელიც ხალხის გულმოდგინე გამოწვევით ცალფა სიმღერებსაც ასრულებდა. განსაკუთრებული წარმატებით მღეროდა გუნდი ანტრაქტების დროს აეჭალის აუდიტორიაში, სადაც მაშინ შალვა დადიანი რეჟისორობდა. გუნდს არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა.

არაფერი სჯობდა სარაჯიშვილთა გუნდის მოსმენას ოჯახშიაც, სტუმრიანობის ან უბრალო თავმოყრის დროს. მშვენიერი ხმის მქონე სოფიომ ისე კარგად იცოდა ხალხური სიმღერა, რომ ზოგჯერ ხუმრობით სტუქსავდა კიდევაც ძმებს.

საქართველოში ძველად მრავალი მუსიკალური „კერა" იყო — ცალკეული ოჯახები, რომლებიც მთლიანად სიმღერას მისდევდნენ. ეს მათი ნიჭი შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადადიოდა. ბევრი ასეთი ოჯახის დასახელება შეიძლება ამ ბოლო დროსაც: კომპოზ. ნ. სულხანიშვილის ოჯახის ყველა წევრი მღეროდა, სარაჯიშვილებიც ასეთ შესანიშნავ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნიან.

ილია ბაბაბაბაძის განაჩენი

ვანო სარაჯიშვილის შესანიშნავ ბუნებრივ ნიჭს და დიდებულ ხმას ჯერ კიდევ გიმნაზიაში მიაქციეს ყურადღება. სანდრო კავსაძესთან და თავის საოჯახო გუნდში გამოსვლის შემდეგ კი, პირდაპირ მოსვენებას აღარ აძლევდნენ—სერიოზული მეცადინეობა დაიწყეო. ხელმოკლეობა აბრკოლებდა. ვანოს პირველი მასწავლებელი გახდა მისივე ნათესავი, მომღერალი გიორგი ვახტანგის-ძე მაჩაბელი, რომელმაც პეტერბურგში მიიღო მუსიკალური განათლება. ვანო დიდი გატაცებით მეცადინეობდა მასთან და მაჩაბელიც ძალ-ღონეს არ ●შურებდა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო მომავალი დიდი მომღერლის „ბედის გადაწყვეტა" იმ ხანად ხაზინაში მსახუ-

რობდა ვანოს ახლო მეგობარი — დიმიტრი ბახუტაშვილი. იქვე მოინდომა ვანოს მოწყობაც,—საარსებო წყაროს გაიჩენს და მეცადინეობას განაგრძობსო. ვანომ თხოვნა შეიტანა. უარი უთხრეს. ზდიდარი ნათესავი, ქველმოქმედებით განთქმული დავით სარაჯიშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მაშინ ვანოს: არ მოსწონდა მისი აღგზნებული სილაღე, დარდიმანდობა, არც ს. კავსაძის გუნდში ყოფნა და ნაადრევი ატივტივება. ერთხელ, რომელიღაც ვაჩნაძეს წვეულება ჰქონდა. მას დ. ბახუტაშვილთან ერთად სახახინო პალატის უფროსი — მიხაილოვიც ჰყავდა მიწვეული. მიხაილოვი მუსიკის მოყვარული და ქართული საზოგადოების პატივისმცემელი ადამიანი იყო. ის იყო მარტოხელი, კარგად ცხოვრობდა, ნადიმებსა და ლხინს მისდევდა. ბახუტაშვილმა ვაჩნაძისას ვანოც წაიყვანა—მიხაილოვი მოუსმენს და იქნებ საქმე გაიჩარხოსო. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვანოს სიმღერით მოხიბლული მიხაილოვი ადგილს ვერ პოულობდა.

— ვინ გაგიბედათ სამსახურზე უარის თქმა? ამ საქმეს ხვალვე მოვაწესრიგებ, მაგრამ ერთი პირობით... როცა მოკვდე, მიმღერეთ „მხოლოდ შენ ერთს“, სხვა არაფერი. საოცარია, რას ჰფიქრობს ქართველი საზოგადოება, რომ აქამდე თქვენ ქეშმარიტ გზას არ ადგეხართ!

მეორე დღეს, სამსახურში წასვლის ნაცვლად მიხაილოვი დავით სარაჯიშვილს ეწვია. საყვედური უთხრა: თქვენი უყურადღებობა პირდაპირ შეუწყნარებელია. ჩემის მხრივ თვეში სამთუმანს ვუნიშნავო.

მიხაილოვმა დანაპირები შეასრულა. ხაზინის ნაცვლად ვანო პალატაში მიიღო, კარგი გასამრჯელო დაუნიშნა და საქმეც ოოლი მისცა. დავით სარაჯიშვილმა ილია ჭავჭავაძე და სხვა გავლენიანი პირები მოიწვია ვანოს მოსასმენად. ღირსეული სუფრა გაიშალა, ვანომ ძალ-ღონე მოიკრიბა ..

ილიას მგზნებარე გულს მშობლიურ მდელოს სურნელივით ეკვეთა ზღაპრული სიმშვენიერის ხმა. სპეტაკ შუბლს შუქი მოეფინა, წარბი გაეხსნა. ხოტბა—დიდებაზე ძუნწმა პოეტმა მოკლედ მოსჭრა:

დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს სამეცადინოდ. დახმარება დაენიშნება.

1903 წლის გაზაფხულზე, ილიას თავმჯდომარეობით შექმნილმა საგანგებო კომისიამ, სხვა მთხოვნელთა შორის ვანოსაც დაუნიშნა სტიპენდია. გახარებულმა მიხაილოვმა შესანიშნავი ვახშამი გაუმართა ვანოს „ედენში“, დალოცა და წაღმა მოაბრუნა. მაგრამ ამ ჯერად საქმე უკუღმა დატრიალდა. ვანოს უფროს ძმას, ანდროს, ტიფი შეეყარა. გულჩვილმა ვანომ უკუაგდო თბილისიდან გამგზავრების ფიქრი, ჩალაგებული ბარგი გახსნა და ძმის საწოლს არ მოსცილებია. ავადმყოფის გამოჯანსაღების შემდეგ 1903 წლის ოქტომბრის დამდეგს იგი პეტერბურგში იყო.

მოსკოვამდე, შალვა დადიანთან ერთად მოუბდა მგზავრობა. საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებდა მეტად ზრდილი და თავაზიანი, ევროპულად გამოწყობილი ვანო. წამსვე დამეგობრდნენ. ვანომ მთელი გული გადაუშალა — ჩავალ თუ არა მეცადინეობას შეუდგები. შემდეგ, უსათუოდ იტალიას უნდა ვეწვიოო.

მატარებელი რუსეთის მობიბინე ველ-მინდვრებზე მიჰქროდა, ორ ქართველ ჭაბუკს თანდათან აშორებდა ძვირფას სამშობლოს. ფერად ოცნებებს ეძლეოდნენ. ზოგჯერ კუპეში მარტო რჩებოდნენ და მაშინ ვანო მშობლიურ ჰანგით იქარვებდა სევდას.

არც დრო არც... ფული!

მაგრამ მეცადინეობის დაწყება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ვანომ განთქმულ პედაგოგს — პროფ. პრიანიშნიკოვს მიმართა. ზედმიწევნით გადატვირთულმა ოსტატმა არც კი გასინჯა მისი ხმა, წინდაწინვე უარი უთხრა. საქმეში ჩაერივნენ პეტერბურგში მყოფი ქართველები. ზომები მიიღო ვანოს ბიძაშვილმა ევგენია სარაჯიშვილმაც, რომელიც პეტერბურგში მღეროდა და მეცადინეობდა. პრიანიშნიკოვი დასთანხმდა — მოვუსმენ, და თუ ნიჭის ნაპერწკალი აღმოვაჩინე, სხვა პროფესორთან გავგზავნიო.

გამოცდა დაინიშნა. პრიანიშნიკოვი ფორტეპიანოს მიუჯდა, ვანომ ყელი მოიღერა და... ძველ ოსტატს ჟრუანტელი მოედო ტანში. თითები კლავიშებზეევე გაეყინა. ვანოს ხმამ პირველი ბგერიდანვე მოსტაცა გული: უცხო ჰაბუკის პოეტურ არსებაში ნაპერწკალი კი არა ხელოვნების კოცონი ენთო. წარმტაცი ტემბრის ხმაში ხავერდის სინაზე და ვერცხლის წკრიალი შერწყმულიყო. პრიანიშნიკოვი მობრუნდა და თითქო პირველად ხედავსო, ვანოს თავიდან კოჭებამდე შეავლო თვალი. მის წინ შოლტივით მოქნილი, თმახუქუჭა ვაჟკაცი იდგა. თითქოს განგებ შეექმნა ბუნებას ეს ადამიანი დიდი მომღერლის კარიერისათვის და გზა პირდაპირ სცენისაკენ ეჩვენებინა.

ყოველივე ეს პრიანიშნიკოვისათვის ახლა უკვე საესებით ნათელი გახდა. ვანო თავჩაქინდრული იდგა. პრიანიშნიკოვი რაღაც იდუმალი, თითქოს დარცხვენილი ხმით შეეკითხა.

— შეგიძლიათ კიდევ მიმღეროთ?

— გნებავთ, ფაუსტის კავატინა?

— ფაუსტის კავატინა?!

— დიახ...

— ჰო, მაგრამ ეს გამოცდილ მომღერლებსაც კი უძნელდებათ, თქვენ ხომ არსად არ გისწავლიათ.

— არა, თვითონ ვისწავლე, შინაურულად...

პრიანიშნიკოვმა ხმა გაკმინდა. ვანომ შესანიშნავად შეასრულა ეს მეტად საპასუხისმგებლო ნაწარმოები.

— ხვალვე მობრძანდით. არავითარი გასამრჯელო არ მინდა თქვენგან, არც დროს გინიშნავთ... როცა გნებავთ მაშინ იარეთ!

„ფაუსტმა“ მიაწოდა ვანოს ხელოვნების გრძნეული თასი. ამ თასს სულმოუთქმელად სცლიდა იგი სიკვდილის დღემდე.

1903 წელს პირველად გამოვიდა ვანო პეტერბურგში საჯაროდ, როგორც მომღერალი და მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, პირველად შეასრულა აქ ჩვენი „ურმული“, რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქის არისტოკრატები გაოცებულნი უსმენდნენ.

პრიანიშნიკოვი თავს ევლებოდა თავის შესანიშნავ მოწაფეს. განსაკუთრებული გულისხმიერებითა და სიფაქიზით

ეპყრობოდა მას. ვანო გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა წინ დიდი სელოვნებისაკენ.

სხვა თანამემამულეებთან ერთად, იგი დიდი წარმატებით მონაწილეობდა განთქმულ „ქართულ საღამოებშიც“.

ქართული საღამოები რუსეთში

რუსეთში „ქართული საღამოების“ ჩანასახი ვახტანგ VI გარდასვლიდან—XVIII საუკუნის დასაწყისიდან უნდა ვივარაუდოთ. ვახტანგმა თან გაიყოლა დიდი ამალა. სამშობლოს მოწყვეტილი ქართველი არისტოკრატია არ ივიწყებდა მშობლიურ სიტყვას, სიმღერას, ზმა-შაირობას. ვახტანგის კარზე სისტემატურად იმართებოდა ქართული საღამოები—მეჯლისები, რაც თანდათან მიიკვლევდა გზას მოწინავე საზოგადოებაში. 1730 წელს ვახტანგის ამალას შეუერთდა ტყვეობიდან გაპარული პოეტი დავით გურამიშვილი. ისიც ამ მეჯლისებში მონაწილეობდა.

საქართველოს უკანასკნელი მეფის-გიორგი XIII გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი პეტერბურგს გაიწვიეს. მწუხარე ბატონიშვილმა თან გაიყოლა გასართობად მეგობარი პოეტი დიმიტრი თუმანიშვილი. სხვადასხვა ჰანგზე სასიმღერო ლექსების ავტორი—დიმიტრი თუმანიშვილი დარდიმანდი, მომლხენი ადამიანი იყო. მის ბეჭედს წარწერა ჰქონდა:

„ვარდი მიტრიალებს გულსა“

ეს ვარდიანი გული მან ქართული ეშხით ააჟღერა ჩრდილოეთშიაც. არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომ მისი ცნობილი ლექსი—„აბალ აღნაგო სულოდა“ პეტერბურგს დაიწერა. ამ ლექსს ხელად შეუწყეს ჰანგი. იგი მეტად პოპულარული სიმღერა გახდა, და არამცთუ საქართველოს, რუსეთსაც მოედო. გრიგოლ ორბელიანს ქ. ელეცის პოლიცმეისტერის ცოლმა პატივისცემის ნიშნად, თავის ოჯახში „ახალ აღნაგო“ უმღერა. ეს სასიმღერო ლექსი პუშკინს თბილისში გადაუთარგმნეს, რასაც იხსენიებს კიდევაც თავის ნაწარმოებში—„არზრუმში მოგზაურობა“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ნიჭიერმა ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის უმაღლეს სკოლას მიაშურა.

„...ეამთ ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაკეთ მამულში განათლება და ხმა საამო;
შათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული...“

სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსში—„საფლავი მეფის ირაკლისა“.

აი, ეს „განცეკხლებული სულის“ მქონე ქართველი ახალგაზრდობა უზარმაზარი იმპერიის ცენტრებში სათვის-ტომოებს აარსებდა. აქ სისტემატურად მართავდნენ საქველმოქმედო ქართულ საღამოებს, ჰქმნიდნენ ქართულ ბიბლიოთეკებს, სცენისმოყვარეთა წრეებს და სხვ. ეროვნულ ტანსაცმელით მორთული მონაწილენი ასრულებდნენ ქართულ ხალხურ სიმღერას, კითხულობდნენ ქართველ პოეტთა ლექსებს, ცეკვავდნენ, სდგამდნენ ცოცხალ სურათებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან. დამსწრე საზოგადოება ტაშის გრიალით აჯილდოებდა მათ და საერთო დროს ტარება ხშირად დილამდე გრძელდებოდა. რუსულ პრესაში ბევრი შესანიშნავი წერილია გამოქვეყნებული „ქართული საღამოების“ შესახებ. ვის არ მიუღია მონაწილეობა ამ საღამოებში, სად არ ჩატარებულა ისინი შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე: ოდესიდან—პეტერბურგამდე, ვარშავამდე.

1897 წლის დამლევს პეტერბურგში დაიდგა მელ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერის“ ერთი აქტი.

1903 წელს მოსკოვში გამართულმა „ქართულმა საღამომ“, რუსული სცენის განთქმული მსახიობი სუმბათაშვილი-იუჟინი სამშობლოსაკენ მოახედა. როდესაც საღამოს შემდეგ გამართულ სუფრასთან ქართველმა სტუდენტებმა კახური „მრავალ-ჟამიერ“ წამოიწყეს, სუმბათაშვილი აქვითინებული მიეჭრა მათ, ყელზე მოეხვია და ნაწყვეტებად წარმოსთქვა:

— ძვირფასნო, მშობლიურნო... მეც ხომ ქართველი ვარ, თქვენი ღვიძლი ვარ. დიახ მე... ახლა... მთელის არსებით მესმის ეს!

რამდენიმე წლის შემდეგ ქართულ სცენაზე მისი ცნობილი დრამა „ღალატი“ დაიდგა.

— ოთარ ბეგ, სად არის საქართველო!

სიონის ზარივით გაისმა მაშინ სცენიდან სუმბათაშვილის ხმა და ქართველი ადამიანის გულს ცრემლი გაადინა...

რამდენად სისტემატურად იმართებოდა რუსეთში „ქართული საღამოები“ ამის ნათელსაყოფად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ, მაგალ. 1914 წელს პეტერბურგში გაიმართა მე-53 „ქართული კონცერტი-ბალი“. ვინ იცის, კიდევ რამდენი გაიმართა და არ აღირიცხა? ეს მარტო პეტერბურგში. საკითხავია, რამდენი გაიმართებოდა უზარმაზარი იმპერიის სხვა ქალაქებში?

პეტერბურგის „ქართულ საღამოებში“ დიდი წარმატებით გამოდიოდნენ ვანო და მისი ბიძაშვილი—ევგენია სარაჯიშვილი, რომელთაც არა ერთი ქება-დიდება მიუძღვნა პრესამ.

პრიანიშნიკოვის შემდეგ ვანო სარაჯიშვილმა პროფ. პანაევა-კარცევასთან განაგრძო მეცადინეობა. პანაევა-კარცევა პეტერბურგის იტალიური ოპერის დასსთან იყო დაახლოებული. ვანოც ამ დასისაკენ მიისწრაფოდა.

სარაჯიშვილების „დემონი“.

1904—5 წლის სეზონში ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა—ა. ჩიჯავაძემ, გ. დადიანმა, დ. ვაჩნაძემ და სხვებმა განიზრახეს პეტერბურგში ოპერა „დემონის“ დადგმა ქართულად. ამ საქმის ერთ-ერთი მოთაევე და სულისჩამდგმელი ვანო სარაჯიშვილიც იყო. მან ბევრი ირბინა და ინერვიულა ათასგვარ დაბრკოლებათა დასაძლეველად. ოპერის თარგმანი პეტრე მირიანიშვილს ეკუთვნოდა.

სამი სარაჯიშვილი მონაწილეობდა ამ სპექტაკლში, როლები ასე განაწილდა:

დემონი	— **დ. გედევანიშვილი**
თამარი	— **ევგ. სარაჯიშვილი**
სინოდალი	— **ვანო სარაჯიშვილი**
მსახური	— **ალ. სარაჯიშვილი**

ვანომ შესანიშნავად მოამზადა თავისი პარტია. მაგრამ პანაევა კარცევამ არასგზით არ მისცა სიმღერის სცენა. მისი პარტია საკმაო შეასრულა. გულდაწყვეტილმა ვანომ მაინც ნიიღო მონაწილეობა ამ სპექტაკლში, როგორც ბალეტის არტისტმა და სცენაზე ლეკური იცეკვა.

ოპერა დაიდგა სამების ქუჩაზე („ტროიცკაია“) № 13-ში მდებარე პავლოვას დარბაზში. ქართულ „დემონს“ ორკესტრი დაუთმო ანტრეპრენიორმა ალექსი წერეთელმა. დირიჟორობდა მისივე თანაშშრომელი მ. ბ. ბერგი. დადგმა განაპოლიელა ამავე დასის რეჟისორმა დომენიკო დუმამ. ეს დომენიკო დუმა, ტომით იტალიელი, თბილისში დაიბადა, მამამისი იტალიურ დასს ჩამოჰყვა საქართველოში, აქვე დარჩა სამუდამოდ და აქვე გარდაიცვალა. დომენიკო შემდეგ ვანო სარაჯიშვილის უახლოესი მეგობარი გახდა.

სპექტაკლი მშვენივრად ჩატარდა. დარბაზი გაჭედილი იყო.

პეტერბურგის გაზეთმა—„რუს“ 1905 წლის 8 თებერვლის ნომერში ამ სპექტაკლს დადებითი რეცენზია მიუძღვნა. იმავე წლის 1 მარტის ნომერში გაზეთმა „ივერიამ“ ეს ამბავი ქართველ საზოგადოებას აუწყა. განსაკუთრებული ქება თაბარის პარტიის შემსრულებელს ევგ. სარაჯიშვილს ხვდა წილად. ამის შემდეგ იგი რამდენიმეჯერ მიიწვიეს კონსერვატორიის თეატრში თამარის პარტიის შესასრულებლად. აქ იგი მღეროდა მსოფლიოში განთქმულ ბარიტონ ტიტა რუფოსთან.

ამ გამარჯვებამ ფრთა შეასხა ქართველ ახალგაზრდობას. გადაწყდა პეტერბურგში ქართული საოპერო დასის შედგენა და სამშობლოში გამომგზავრება. ვანო სარაჯიშვილი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს. რეპერტუარში ნავარაუდევი ჰქონდათ ქართულად ნათარგმნი „დემონი“, აგრეთვე—„სევილიელი დალაქი“, „ტრავიატა“ და სხვა ოპერები. მელიტონ ბალანჩივაძეს მოსვენებას არ აძლევდნენ—„თამარ ცბიერი“ დაამთავრეო (ამ ოპერის დადგმა მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოხერხდა). სამშობლოში ნიადაგის მოსამზადებლად გაძოიგზავნა კოტე ფოცხვერაშვილი, რომელსაც დირიჟორობა უნდა გაეწია ქართულ საოპერო დასში. ამ დასის ბევრი მონაწილე საშობლოში გამოემგზავრა. ვანო სარაჯიშვილი პეტერბურგში დარჩა.

დირიჟორი ივანე ფალიაშვილი

დირიჟორი ევა ბრიუნელი (წარწერა: „ჩემს მომაჯადოებელ სოლისტს ივანე პეტრეს-ძე სარაჯიშვილს, ევა ბრიუნელისაგან 1914 წ.“)

ალეძსი ფერეთელთან. იტალიელთა დასში

ჩვენი დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის შვილი, ალექსი ანტრეპრენიორობას ეწეოდა. თბილისსაც ეწვია თავისი საოპერო დასით. ერთ დროს ხელი აიღო ამ საქმეზე, მაგრამ 1904 წელს ხელახლა შეადგინა კარგი დასი და პეტერბურგში გაჩნდა. შესანიშნავი დასი ჰყავდა საიმპერატორო თეატრების სოლისტ ფიგნერის მეთაურობით. იმავე წელს 27 ივლისს მისმა დასმა ასწია ფარდა პეტერბურგში. დადგა „ვაი ჭკუისაგან“ (გრიბოედოვის მიხედვით, მუსიკა ივანოვისა) „ფაუსტის დაღუპვა“ — ბერლიოზისა, „ქოშები“ — ჩაიკოვსკისა და სხვა ოპერები.

ალ. წერეთელმა სიამოვნებით მიიწვია ვანო სარაჯიშვილი. ჭაბუკი ვანო აქ პირველად გამოვიდა სცენაზე განთქმულ ოსტატებთან.

სუსხიანი ზამთარი იდგა, ვანოს კი, კოცონების მსგავს წითელ ვარდების თაიგულებს სთავაზობდნენ. ამ სპექტაკლების დამსწრე ადამიანებს ახლაც უკვირთ—რამ გააჩინა ყინვით გათოშილ პეტერბურგში ეს სამხრეთის ნაზი ქმნილებაო. ბევრი „ქურუმი“ დაიჩრდილა, ბევრს მოულოდნელი გულის ძგერა აუტყდა.

1906 წლის ზაფხულში პროფ. პანაევა-კარცევამ ვანო პეტერბურგის იტალიურ დასში მოაწყო. იტალიელები კონკურენციას უწევდნენ პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის დასს, ამიტომ შესანიშნავი მომღერლები გამოჰყავდათ. ვანოს დროს აქ მღეროდნენ მსოფლიოში განთქმული კოლორატურული სოპრანო ვაიდა კოროლევიჩი, ულამაზესი მომღერალი ქალი ლინა კავალიერი, ბარიტონი ტიტა რუფო და სხვანი. რა მომაჯადოებელი ხმითა და მუსიკალობით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული 25 წლის ქართველი ჭაბუკი, რომ იგი იტალიელებს პირველი პარტიების შემსრულებლად მიეღოთ თავიანთ წრეში და რუსული საიმპერატორო თეატრის დასისათვის დაეპირისპირებინათ? ვანოს „ტრავიატაში“ მოუხდა პირველი გამოსვლა ტიტა რუფოსთან და ვაიდა კოროლევიჩთან ერთად. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პარტერში ბინოკლები აღიმართა. უცხო მომღერალს მჭუხარე ტაშით შეეგებნენ.

— ეს ჩვენია, ნამდვილი იტალიელია, ჩვენი ბელ-კანტოს ოსტატია! აღტაცებით ამბობდნენ იტალიელი მომღერლები. ვანოს საუცხოო გარეგნობით და ხალასი ტემპერამენტით ხომ მოხიბლული იყო მთელი საზოგადოება. გარს თაყვანისმცემელთა წყება ერტყა, ყოველ გამოსვლას ახალი ტრიუმფი მოჰქონდა მისთვის. პეტერბურგელი ქართველობა გუნდ-გუნდათ ერტყა გარს თავის საამაყო თანამემამულეს. ბევრი უცხო ტომის მეგობარი სიამაყით მიჰყავდათ ქართველებს ვანოს სპექტაკლებზე, კონცერტებშიაც ხშირად მონაწილეობდა მაშინ ვანო.

ვანო სარაჯიშვილის წარმატების ნათელსაყოფად, მრავალ რეცენზიათა შორის მოგვყავს მხოლოდ ორი ამონაწერი.

1906 წელს გაზეთი „ბირჟევიე ვედომოსტი“ (პეტერბ.) სწერდა:

„...შემსრულებელთა შორის იყვნენ ნიჭიერნი და უნიჭონი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სანიმუშო ოპერის სცენასაც კი დაამშვენებდნენ, მაგალ. ქ-ნი კავერინა და ბ-ნი სარაჯიშვილი. როგორცა სჩანს ბ-ნ სარაჯიშვილს გაუვლია „ბელ-კანტოს“ დიდებული სკოლა. იგი აღჭურვილია ვრცელი სუნთქვისა და შესანიშნავი ფრაზირების უნარით, მომღერალს მოალერსე ტემბრის ტენორი აქვს...“

„...გუშინ პეტროვსკის სასწავლებლის დარბაზში ქ-ნმა სოვაჟკომაროვამ საქველმოქმედო კონცერტი გამართა. დიდი წარმატება ჰქონდა ტენორ ბ-ნ სარაჯიშვილს, რომელმაც ტემპერამენტით შეასრულა არია „მარგალიტის მაძიებლებიდან“ და მთელი რიგი რომანსები ბისზე გამოწვევით...“

ქართველი საზოგადოება სიხარულით ცას ეწია. მოუთმენლად მოელოდნენ ვანოს ჩამოსვლას.

პირველი გამოსვლა თბილისის ოპერაში

პეტერბურგში სახელგანთქმული ვანო სარაჯიშვილი 1906 წლის შემოდგომაზე სამშობლოში დაბრუნდა და 12 ოქტომბერს პირველად გამოვიდა აქ ოპერა „ტრავიატაში“. ხალხი სალაროს მიაწყდა. წარმოდგენა დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ

უბილეთოები თეატრს მაინც ვერ შორდებოდნენ. ნერწყვგამშრალნი დაფუსფუსებდნენ, ამბის გამოტანას ელოდნენ.

აი, გაისმა ვერდის შესანიშნავი მუსიკა და ბილეთებს წასვლა აეღევნა ვანოს ხავერდოვანი ხმა. ხალხი შეირხა. ტრფობის ცეცხლით აღგზნებული ალფრედი მეგობროსა და სიყვარულის სადღეგრძელოს სვამს:

— ავსწიოთ, მეგობრებო, სასმისი მაღლა...

მაგრამ, ვანო სარაჯიშვილი ამავე დროს თითქოს ძვირფას სამშობლოს მიმართავდა:

— ძვირფასო დედი! აი, შემოვდგი ფეხი და დღეს პირველად ვსვამ შენს სადღეგრძელოს. გეფიცები — შემოგწირო მთელი სიცოცხლე და შენს მკერდზე დავლიო სული... სიმღერითვე დაგემშვიდობო.

ალფრედმა სიმღერის მუხლი მოაბრუნა და ახლა უფრო მეტი მგზნებარებით გაისმა ვანოს წარმტაცი ხმა; თითქოს დარბაზში მშობლიური მზე კიაფობს და მსმენელის გულს ია-ვარდს ათრვსო.

სპექტაკლი ტრიუმფით დამთავრდა. გაზეთი „კავკაზი“ სწერდა:

„12 ოქტომბრის „ტრავიატამ“ სრული შემოსავალი მოგვცა... ხალხი მიიზიდა ალფრედის პარტიის შემსრულებელმა ბ-ნმა სარაჯიშვილმა. ბევრს წინათაც ჰქონდა გაგონილი, რომ ამ ახალგაზრდა მსახიობს თითქმის ზღაპრულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ...“

20 ოქტომბერს „რიგოლეტოში“ უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად ვანოს. სცენა ყვავილებით აივსო. ოქროს საათი, პორტსიგარი და ბევრი სხვა ძვირფასი ნივთი მიართვეს.

აი, იგივე გაზეთში მოთავსებული რეცენზია, რომელიც ვანო სარაჯიშვილის მთელი შემოქმედების დასახასიათებლად გამოდგება:

„უზომოდ აღტაცებულ მსმენელს არ შეიძლება თვალში არ მოხვდეს სანიმუშო უცვლელობა ბ-ნ სარაჯიშვილისა, როგორც მომღერალ—ოსტატისა. მას როგორცა სჩანს სურს იცოცხლოს და ისუნთქოს სიმღერის ხელოვნების სიმართლითა და პოეზიით, რომელთაც იგი ცოცხლად და მხატვრულად აერთებს

ერთ მოლიანობად თავის საოცარი ნიჭისა და მომაბიბელელობის ძალით... ეს მეტად იშვიათი მოვლენაა სცენაზე.

მაინც რაში მდგომარეობს ბ-ნ სარაჯიშვილის, როგორც მომღერალ—ხელოვანის ძლიერება?

— იმ ძალაში, რომელიც, მას თვით ბუნებამ მისცა და რომელსაც ნიჭი ეწოდება, პრაქტიკისა და შრომისმოყვარეობისაგან არ უნდა მოველოდეთ ამ ხალას ცეცხლს... ოფლის მოწურვით ვერვინ ვერ ჰპოვებს ამ ცხოველმყოფელ წყაროს ცეცხლისას, რომელიც ნიჭისა და უპკნობი მშვენიერების ნაპერწკალს აფრქვევს... ეს, ვინც იცნობს „რიგოლეტოს“ პარტიტურას და მოუსმენია ბ-ნ სარაჯიშვილისათვის, ალბათ შეამჩნევდა იმ სამკაულს, რომლითაც სურდა შეემკო ახალგაზრდა მომღერალს ჰერცოგის პარტია. ამ მხრივ ბ-ნი სარაჯიშვილი განსაკუთრებული ხელოვანი — მომღერალია, რომელსაც შეიძლება უსმინოთ დაუსრულებლად. ჩ ვ ე ნ ა რ ც ვ ა რ ჩ ე ვ თ ამ მ ს ა ხ ი ო ბ ი ს ს ი მ ღ ე რ ა ს. ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი ა ნ ა ლ ი ზ ი, ვ ე რ ა ვ ი თ ა რ ი მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი ვ ე რ დ ა გ ვ ი ბ რ უ ნ ებ ს ი მ ე ს თ ე ტ ი კ უ რ ა ღ ტ ა ც ე ბ ა ს, რ ო მ ლ ი თ ა ც შ ე პ ყ რ ო ბ ი ლ ი ქ ნ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.[1])

— მივესალმებით ჭეშმარიტი, კეთილშობილი ხელოვნების სინათლისა და სითბოს ამ ზეშთაგონებულ მატარებელს“.

„რიგოლეტოსა“ და „ტრავიატას“ გარდა ვანო გამოვიდა „ფაუსტსა“ და „ევგენი ონეგინში“, მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო კონცერტებში. 1906 წლის 3 ნოემბერს შესრულდა 10 წელიწადი ახლანდელ საოპერო თეატრში პირველი სპექტაკლის დადგმის დღიდან, ოპერის დირექციამ ეს თარიღი საზეიმო პროგრამით აღნიშნა. ვანო სარაჯიშვილის გამოსაყვანად საგანგებოდ დაიდგა დუელის სცენა „ევგენი ონეგინიდან“.

11 ნოემბერს დადგმული „ფაუსტი“ მთელი სეზონის ზენიტი იყო. ამ სეზონში თითო საოპერო სპექტაკლმა საშუალოდ 550 მან. შემოსავალი დატოვა. დიდი წარმატებით ჩატარდა ვან-ბრანდტის გასტროლები, მაგრამ ვანოს მონაწი-

---

[1]) ხაზი ჩვენია (შ. კ.)

ლეონიდ დადგმულმა „ფაუსტმა“ ყველაფერს გადააჭარბა და 1951 მან. შემოსავალი მისცა თეატრს. მთელი ხალხი ალაპარაკდა. პრესაში მოთავსდა ქართველი საზოგადოების მიმართ საყურადღებო წერილები — თვალის ჩინივით გაუფრთხილდით ამ შესანიშნავ მომღერალსო. ვანოს კი ურჩევდნენ — „ჩქარა გაქცეულიყო იტალიაში“ თავისი ოსტატობის სრულსაყოფად. მაგრამ, ამავე დროს, ვერც იმეტებდნენ ამ ჯადოქარს.

„ფაუსტის“ შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიაში ვკითხულობთ: „ახლანდელ საოპერო სეზონში ტრიუმფალურ სპექტაკლად უნდა ჩაითვალოს „ფაუსტი“ იმ შემადგენლობით, რომლითაც იგი დაიდგა შაბათს 11 ნოემბერს. დარბაზი რომ ხალხით იყო გაჭედილი, ამას, რა თქმა უნდა ანტრეპრიზა უნდა უმადლოდეს თბილისის ახალ ღვთაებას—სარაჯიშვილს, რომელმაც ამ დღეს თავისი გამოსათხოვარი ბენეფისი გამოაცხადა... მომღერალმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცა თუ რა მდიდარ ვოკალურ შესაძლებლობათა პატრონია იგი და თავისი მუსიკალობის წყალობით რა რიგ მცირე ღონისძიება უნდა გამოიყენოს, რომ დიდი მომღერალი გახდეს. მიუხედავად იმისა. რომ სარაჯიშვილმა შეისმინა მეგობრებისა და ნაცნობების მუდარა და, როგორც შევიტყეთ, უკვე გადაჭრით მოემზადა „ფორთოხლისა და ტენორების“ მადლიან ქვეყანაში გასამგზავრებლად, ნეტავ გააჩერებდნენ კიდევ ერთი სპექტაკლისათვის, რათა განმეორებულ იქნას „ფაუსტი“.

ვანო ოპერის თეატრში არ შებრუნებულა, ოღონდ, ვალ. გუნიას მიწვევით მონაწილეობა მიიღო „არტისტული საზოგადოების“ დარბაზში 14 ნოემბერს გამართულ სპექტაკლში.

ხორციელდებოდა ვანოს დიდი ხნის ოცნება; პეტერბურგსა და თბილისში ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ, მან იტალიისაკენ იბრუნა პირი. 1906 წლის დამლევს დიდი ზეიმით გააცილეს თბილისიდან.

თავისი საყვარელი ჩელო ამოიღლიავა და თან წაიღო.

„ფოლრთოხლისა და ტენორების“ ქვეყანაში

ვანო სარაჯიშვილი იტალიის პირველი ქართველი სტუმარი როდი იყო. გასული საუკუნის 60-იან წლებში ევროპის უდი-

დეს ცენტრებში ბრწყინვალე წარმატებით გამოდიოდა პიანისტი ალოიზ მიზანდარი, რომელსაც ვენის პრესამ გენიალური ოსტატი უწოდა. 70-იან წლებში იტალიაში წარმატებით მღეროდა მილანის ოპერის პრემიერი, ბანი ფილიმონ ქორიძე. მისი ხმის ძლიერებაზე პეტერბურგის რეცენზენტები სწერდნენ—მკერდში ორთქლის მანქანა აქვსო. 1895 წელს მილანში წარმატებით დაასრულა მეცადინეობა არაჩვეულებრივი ხმის პატრონმა (დრამ. ტენორი), პეტერბურგის საიმპერატორო თეატრების სტიპენდიატმა პ. მ. კაკაბაძემ. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე გარდაიცვალა. მილანშივე დაასრულა მეცადინეობა პარიზის „გრანდ ოპერის“ პრემიერმა. ტენორმა მიხეილ ნანობაშვილმა. იტალიაში სწავლობდნენ დავით აკოფაშვილი და სხვა ქართველი მომღერლები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეუდგებით.

ვანო სარაჯიშვილის ჩასვლისას იტალიაში დიდი წარმატებით მღეროდა ელენე იოსების-ასული თარხნიშვილი. ოპერა „სოფლის პატიოსნების“ ავტორი, კომპოზ. მასკანი საგანგებო დასს ადგენდა ამერიკაში საგასტროლოდ და ლა-სკალას თეატრში დახურული კონკურსი მოაწყო. აქ 14 მომღერალში პირველობა მოიპოვა ე. თარხნიშვილმა და მასკანის დასში საგასტროლოდ გაემგზავრა ამერიკის შეერთ. შტატებში. საქართველოშიც ჩამოდიოდა. აკაკი წერეთელმა ლექსი და სტატია მიუძღვნა.

მილანში, ელ. თარხნიშვილის სალონში თავს იყრიდნენ სახელგანთქმული მომღერლები და მუსიკოსები. აქვე მათ წრეში ტრიალებდა ვანო სარაჯიშვილიც. იტალიაში ვანო დაუახლოვდა მსოფლიოში განთქმულ ბანს თ. შალიაპინს, ცნობილ იტალიელ ბარიტონს ევგ. ჯირალდონს და სხვა მომღერლებს, რომლებიც აღტაცებულნი იყვნენ მისი ხმითა და ნიჭით. ევგ. ჯირალდონი ქართველების სიძე იყო—ქუთათური ერისთავის ქალი ჰყავდა მეუღლედ. ვანო მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. აქ იტალიელ მომღერალთა წრეში იგი ჩვენს „ურმულს“ მღეროდა და ცრემლმორეულ დიასახლისს ძვირფას სამშობლოს აგონებდა. შალიაპინმაც რამდე-

ნიმეჯერ მიიწვია ვანო და თბილისის ყაიდაზე გაუმასპინძლდა. სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შალიაპინი ეჩხუბებოდა ვანოს—რას ჩასციებიხარ ამ თბილისს ასეთი შესანიშნავი ხმის პატრონი მომღერალიო. მაგრამ უცხოეთში ვანო სარაჯიშვილს სული ეხუთებოდა.

სამშობლო! თითქოს ცეცხლის ასოებით ეწერა გულზე.

მილანში ვანო მეცადინეობდა პროფ. კასტელანოსთან, მაგრამ უშეტეს დროს თვითგანვითარებას ანდომებდა: ამზადებდა ახალ პარტიებს სახელგანთქმულ დირიჟორებთან, უსმენდა დიდ მომღერლებს, სწავლობდა იტალიურ ხალხურ სიმღერებს. შალიაპინის თაოსნობით ვანოს დებიუტი დაუნიშნეს მსოფლიოში განთქმულ ლა-სკალას თეატრში. ეს უმკაცრესი გამოცდა იყო. დებიუტი შესანიშნავად ჩატარდა. ამის შემდეგ ვანოს წინადადება მისცა შალიაპინმა გაჰყოლოდა მას საგასტროლოდ პარიზში ოპერა „ბორის გოდუნოვში“ მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ ვანო პირველ ტემპორად მიიწვიეს ქალ. პარმის თეატრში. აქ იგი გამოდიოდა „დონ პასკვალესა“, „მანონსა“ და სხვა ოპერებში. პარმის შემდეგ ვანო მღეროდა ტრიესტში, შემდეგ — ნიცაში. აქ პირველად გამოვიდა ვანო ოპერა „კარმენში“. საზოგადოება ტაშის ქუხილით შეეკება შესანიშნავი ხმის მქონე უცნობ დონ ხოზეს, რომელიც არა ნაკლებ ჰხიბლავდა ყველას თავისი გარეგნობითა და ტემპერამენტით. საველგანთქმულ რუს ბარიტონს მიგაის (მაშინ მოწაფეს) ვანოსათვის მოუსმენია ქ. ბრიუსელშიაც, სადაც დიდი წარმატება ჰქონია ვანოს ოპერა „სიყვარულის სასმელში“.

ოპერებს გარდა ვანო ხშირად მონაწილეობდა კონცერტებშიაც, განთქმულ ნეაპოლურ სიმღერებთან ერთად აქ იგი ქართულ და რუსულ რომანსებსაც ასრულებდა. ამ კონცერტებში რაღაც ზღაპრული წარმატება ჰქონია ვანოს. ერთი დამსწრის მოწმობით, როდესაც ვანომ პირველად ამოიღო ხმა, ვიღაცას დარბაზში ძალაუნებურად აღმოხდა—ახ!, ხოლო სიმღერის დამთავრების შემდეგ ერთსულოვანმა ტაშმა იფეთქაო. იტალიაში ვანო მონაწილეობდა ხალხურ

დღესასწაულებზეაც. მას ქართული ენაცა და მარიფათი შეჰქონდა ამ საერთო დროს ტარებაში. ორი წლის განმავლობაში აქ ვანომ ისე კარგად შეისწავლა იტალიური ენა, რომ თავისი დიასახლისის ქალიშვილს მუნჯურად აღარ ელაპარაკებოდა... სხაპასხუპით უსსნიდა სიყვარულს. ახლა მას თავისუფლად შეეძლო ეცღერნა იტალიურად მთელი თავისი რეპერტუარი. შესანიშნავ დირიჟორებთან რამდენიმე ახალი პარტია მოამზადა, მათ შორის—ნადირისა (ოპ. „მარგალიტის მაძიებელნი"). ახლა უფრო სრულყოფით დაეუფლა სიმღერის იტალიური ყაიდის სკოლას—ბელ კანტოს. ამიტომ იტალიელმა მომღერლებმა გვარიც თავიანთ ყაიდაზე გადაუკეთეს და „სარაჯინი" დაარქვეს, გულთბილი წარწერებით სთავაზობდნენ თავიანთ პორტრეტებს. პატივისცემის ნიშნად შალიაპინმაც უსახსოვრა ვანოს პორტრეტი, რომელზედაც თავისი ხელით წააწერა:

„სახსოვრად ძვირფას ადამიანს— ვანო სარაჯიშვილს,
წარმატებას გულწრფელი ხურვილით
ფეოდორ შალიაპინი.

10 ივნისი, 1907 წ. მილანო"

იტალიური პრესა შესანიშნავ რეცენზიებს ათავსებდა ვანოს შესახებ. მან ეს რეცენზიები — მთელი შეკვრა გაზეთები ჩამოიტანა თან, მაგრამ, სამწუხაროდ მათ ჩვენამდე არ მოულწეეია.

1908 წელს, პეტერბურგის იტალიური დასის ანტრეპრენიორის გვიდის წარმომადგენელი, იტალიაში ახალ დასს ადგენდა რუსეთის სატახტო ქალაქში სამუშაოდ. მიიწვია განთქმული მომღერლები: ოლიმპია ბარონატ, ანსელმი, ჯირალდონი და სხვანი. პირველი ტენორის პარტიებზე მიწვეულ იქნა ვანო სარაჯიშვილი.

იტალიაში გატარებული ორი წელიწადი ვანოს ორ საუკუნად მოეჩვენა. სასწრაფოდ შეჰკრა ბარგი და მოაშურა თავის სამშობლოს.

იტალიიდან დაბრუნება. საქართველოსა და რუსეთის სცენაზე

იტალიიდან ამაღელვებელი ცნობები მოდიოდა ვანო სარაჯიშვილის შესანიშნავ წარმატებათა შესახებ. ნოუთბენლად მოელოდნენ მის დაბრუნებას. პრესამ ერთგვარი შიშიც გამოსთქვა—ვაი თუ უცხოეთში სიმდიდრემ გაიტაცოს და სამშობლო დაივიწყოსო...

1908 წლის შეიოდგომაზე ვანო საქართველოში დაბრუნდა. პეტერბურგში გამგზავრებამდე თბილისის ოპერაში მიიწვიეს. 11 ნოემბერს გამოვიდა „რიგოლეტოში“, შემდეგ—„ტრავიატაში“. გარდა ძველი რეპერტუარისა ვანომ პირველად იმღერა აქ ნადირის („მარგალიტის მაძიებლები“) და ვილჰელმ მაისტერის („მინიონ“) პარტიები. ყველა პარტია შესრულებულ იქნა იტალიურ ენაზე.

დიდებული იტალიური ბელ კანტო ახლა მომეტებული ოსტატობით ღღერდა მის ბაგეზე. სცენიურადაც უფრო დახელოვნებულიყო. „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე“ და სხვა გაზეთები სწერდნენ:

„ტენორი სარაჯიშვილი იმ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა გამოჩენა არტისტული შემოქმედების სარბიელზე ამ ბოლო დროს მეტად იშვიათი მოვლენა გახდა, განსაკუთრებით რუსეთში... მის ხმას არსებითი ცვლილება არ განუცდია: იგივე მომაჯადოებელი ტემბრი, ყველა რეგისტრში თანაბარი ბგერა, ხმის ფილირების განსაცვიფრებელი ოსტატობა“.

„..სარაჯიშვილმა ჭეშმარიტი ინტერესი გამოიწვია და სპექტაკლის ბოლომდე გამარჯვებული დარჩა... იგი იტალიური სკოლის მომღერალია. მეოთხე აქტის არია არაჩვეულებრივი ოსტატობით შეასრულა და იტალიური სკოლის საუკეთესო ოსტატები მოგვაგონა“.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად „მარგალიტის მაძიებლებში“, რაც ხაზგასმით აღნიშნა პრესამ.

კვლავ გაჩნდა „სარაჯიშვილის ანშლაგები“, დაიწყო ფუსფუსი, ნერვიულობა და სირბილი ბილეთებისათვის. ერთსელ, უბილეთოდ დარჩენილმა ხალხმა ვესტიბიულში სის მოაჯირი

გადასთელა და ტალღასავით შეგრიალდა თეატრში ჟურნალმა „საქართველომ“ შარჟი მოათავსა ვანოს თაყვანისმცემელ მანდილოსნებზე, რომლებსაც მაშინ „სარაჯისტკებს“ ეძახდნენ. სპექტაკლების დამთავრების შემდეგ, თეატრთან მოგროვილ ხალხს ხელში აყვანილი მიჰყავდათ თავისი საყვარელი მომღერალი შინისაკენ. ამიტომ, თავმდაბალი და მორიდებული ვანო ხშირად თეატრის უკანა კარებიდან მიიპარებოდა.

თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ, მილანში დადებული ხელშეკრულების თანახმად ვანო პეტერბურგს გაემგზავრა იტალიურ დასში გამოსასვლელად. იტალიელი მომღერლები თავიანთ სისხლ ხორცად სთვლიდნენ ვანოს, რომელსაც ასე უბადლოდ ჰქონდა შეთვისებული მათი საამაყო ბელ კანტო, ენა, არტისტული მანერა და ტრადიციები, საზოგადოება დიდი პატივისცემით ეგებებოდა მის ყოველ გამოსვლას და იტალიელ ოსტატებთან ერთად მჭუბარე ტაშით და თაიგულებით აჯილდოებდა. დიდი წარმატებით გამოდიოდა ვახო კონცერტებშიაც.

ბერლინში გასტროლების დამთავრების შემდეგ, 1909 წ. ზაფხულში ვანო 12 გასტროლზე მიიწვიეს კისლოვოდსკში. ვანო გამოვიდა აქ „ლაკმეში“, „რიგოლეტოში“, „ტრავიატაში“, „ძარგალიტის მაძიებლებში“ და სხვა ოპერებში.

— სარაჯინი მონაწილეობს, ამას წინად იტალიაში მოვუსმინე, განსაცვიფრებელი მომღერალია!...

სარაჯინი, სარაჯინი! გაისმოდა ხალხში. სალაროსთან მუდამ ჩოჩოლი იყო. შემდეგ წლებშიაც ხშირად მღეროდა ხოლმე ვანო კისლოვოდსკში.

განსაკუთრებული ტრიუმფით ტარდებოდა იმ ხანად ვანოს კონცერტები მთელს საქართველოში. მისი გამოჩენა რომელიმე დაბაქალაქში ეროვნული დღესასწაულის სახეს იღებდა, აი, ერთი დამახასიათებელი მოგონება ჭიათურაში გამართული კონცერტის გამო:

„...გაისმა პიველი აკორდი პიანინოსი და დარბაზი ერთბაშად ჩაჩუმდა ისე, რომ ეს მოკრძალებით და დიდი მოლოდინით აღსავსე სიჩუმე ყველა ჩვენგანს შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა. მოგვესმა იადონის ტკბილი ხმა, აღსავსე გრძნობით, კეთილშობილებით და მშობლიური ჰანგების სანეტარო აჟღე-

რებით. სიხარულის და აღტაცების ღიმილმა მძლავრად გადაიარა დარბაზის სახეზე, და თვალთაგან ნეტარების ცრემლები გამოსწურა: გაღვიძებულმა სიამაყემ არწივისებურად ფრთა გაშალა. მაღლა ცის კამარაში შეინავარდა და ქვეყანას მოსდო დიდი ოცნება ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და აღორძინებისა. იმ საღამოს დიდმა და პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ჯეელმა თუ მოხუცმა მთელი გულით შეიყვარა ჩვენი იადონი. მისი მოშორება აღარავის უნდოდა, სცენიდან აღარ უშვებდნენ, ემუდარებოდნენ ერთი კიდევ ემღერა, რომ ერთხელ კიდევ ესმია ნეტარების ნექტარი... და მთელს ღამეს, მეორე დილას ხალხი ვანოს გარს შემოხვეოდა, არ შორდებოდა, მისი ხილვა სწყუროდა. მასთან ყოფნა უნდოდა მარად... („თ. და ცხოვრ." № 16 1924 წ. ი. ვარაბაშვილი).

ასე მოვლო ვანომ მთელი სამშობლო და ხალხში სათუთი სიყვარული გამოიწვია. ხონში იმდენი ხალხი ბოზღვავ და კონცერტზე რომ დარბაზის კატასტროფაზე ალაპარაკდნენ. კონცერტის მონაწილე ემილ კაპელნიცკი ჩელოს გადაეფარა—დაზიანებისა შეეშინდა: თეთრად ბორთულ ქალიშვილებს სცენისათვის წრე დაერტყათ და სეტყვასავით უშენდნენ წითელი ვარდების თაიგულებს. უკვე ხანში შესული კაპელნიცკი, 30 წლის შემდეგაც კი უცრემლოდ ვერ იგონებდა ამ სურათს.

სხვა ნაწარმოებთა შორის, ვანო და კაპელნიცკი შესანიშნავად ასრულებდნენ სახნოვსკის რომანსს—„საღამოს ვარსკვლავს" (ჩელოსა და ტენორის დუეტი). ვანოს გარდაცვალების შემდეგ კაპელნიცკის ბევრმა მომღერალმა სთხოვა საკონცერტო მოგზაურობა და კერძოდ, ამ დუეტის შესრულება, მაგრამ. . . ყველამ უარი მიიღო[1])

1912—13 წლის სეზონში ვანო კვლავ თბილისის ოპერაში მღეროდა ივ. ფალიაშვილის მიწვევით, რომელიც ანტრეპრიზას განაგებდა. 1913 წელი თბილისის ოპერაში ვანო სარაჯიშვილის მილოცვით დაიწყო. 1 იანვარს დაიდგა „ტრავიატა". ვანოს გამოწვევას ბოლო არ ჰქონდა. იმდენი საჩუქარი მიართვეს, რომ პატარა გამოფენის მოწყობა შეიძლებოდა.

---

[1] ემილ ნაუმის-ძე კაპელნიცკი—ცნობილი ჩელოს დამკვრელი პედაგოგი თბილისის სახელმწ. ოპერის ორკესტრის სოლისტი. გარდაიც. 1945 წ.

მოსკოვში ვანო სარაჯიშვილი მღეროდა სერგიევის სახალხო სახლში და ზიმინის თეატრში. აქ პირველად ძოუსმინა მას მაცინ ანალგაზრდა მოსიყვარულმა კიპორენკო — დამანსკიმ[1] ვერტერის პარტიაში. მას ახლაც ეგალწინ უდგას ვანო—ვერტერი; მისი მგზნებარე სიმღერა და ტემპერამენტი, სულის მიმტაცი ეკვესება—სამუდამოდ დაღუნულ ბედნიერებას რომ ჰგლოვობს ძმაგი ქალაბუკი:

—ო, ნე მაღვიძებ მე,
გაზაფხულის სუნთქვა. . .

მოსკოვში ვანოს სპექტაკლები ანწლაგებით მიმდინარეობდა. აქ მას „ჩვენ სარაჯევს“ ეძახდნენ. ერთი ძველი თეატრალის ცნობით, ბილეთების გადაყიდვაც კი ყოფილა გაჩაღებული. მოსკოვში ვანომ გრამოფონის ფირფიტები დაამღერა. ამ ფირფიტებს აწერია:

„რუსული ოპერის არტისტი ივანე სარაჯევი. 1912 წელი, მოსკოვი“.

1914 წლის ზაფხულში თბილისის ქართულ კლუბში დიდი წარმატებით ჩატარდა სიმფონიური კონცერტების სეზონი ივანე ფალიაშვილისა და ევა ბრიუნელის დირიჟორობით. სოლისტად ვანო სარაჯიშვილი გამოდიოდა, საზოგადოების მოთხოვნით კონცერტები ხედიზედ მეორდებოდა.

1915 წელს ივანე ფალიაშვილმა დასი შეადგინა ციმბირის ქალაქებში საგასტროლოდ. პირველ ტენორად ვანო მიიწვია. ვანოს ეს საგასტროლო ტურნე დიდი წარმატებით ჩატარდა პერმის, ეკატერინბურგისა და სხვა ქალაქების თეატრებში. დრამატიული ელფერი, რაც ბოლო დროს მოსდგამდა მის ხმას, აქ უფრო თვალსაჩინო გახდა, ვანოს ბობოქარი ტემპერამენტი ვერ თავსდებოდა ლირიკული ტენორის ჩარჩოებში. დაუცხრომელი სულიერი წვა უმძაფრეს დრამატიულ განცდებისაკენ მიისწრაფოდა. აი, რას სწერდა ამ ხმაცელილების შესახებ გაზეთი „ურალსკაია ჟიზნ“ 1916 წლის 29 იანვრ. ნომერში „ბ-მა სარაჯიშვილმა იტალიურად შეასრულა ჰერცოგის პარტია. თითონვე უნდა დასწრებოდა ადამიანი ამ

[1] იური სტეფანეს-ძე კიპორენკო-დამანსკი, განთქმული დრამატიული ტენორი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი. შ. კ.

სპექტაკლს, რომ დარწმუნებულიყო თუ რა კოლოსალური მეტამორფოზა განიცადა ნიჟიერმა მომღერალმა. ვოკალური დახელოვნების მხრივ სარაჯიშვილი უეჭველად დიდი ოსტატია. მომღერლის ხმა ძირფესვიანად გარდაიქმნა: გაძლიერდა, გაფართოვდა, შეიძინა ლითონის სიმკვახე და მიუხედავად პარტიის მაღალი ტესიტურისა მეტად თავისუფლად ჟღერდა. მოკლედ, მის ხმას მართლაც ვეღარ იცნობს ადამიანი. ამ გარემოებამ, მომღერლის დამახასიათებელ სიზუსტესა და მუსიკალობასთან ერთად, უბადლო ჰერცოგი წარუდგინა მსმენელს. სარაჯიშვილს უდიდესი წარმატება ჰქონდა."

ასევე დიდი წარმატებით გამოდიოდა აქ ვანო „ევგენი ონეგინში", „მარგალიტის მაძიებლებში", „სნეგუროჩკაში" და სხვა ოპერებში.

1916/17 წლის სეზონი ვანომ ბაქოს ოპერაში გაატარა. ეს წელი აქაური ქართველების ყველაზე სასიამო პერიოდი იყო. ქართულმა საქველმოქმედო კონცერტებმა ხომ უჩვეულო ბრწყინვალება მოიპოვეს. აქ პირველად გააცნო ვანომ ფართო საზოგადოებას ნაწყვეტები ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომიდან" და დიმ. არაყიშვილის „შოთა რუსთაველიდან", თუმცა ეს ოპერები ჯერ დადგმული არ იყო (ნაწილობრივ, არც დამთავრებული). ოპერაშიაც ჩვეული წარმატებით გამოდიოდა. გაზ. „კასპიი" სწერდა:

„დიდი წარმატება ჰქონდა ბ-ნ სარაჯიშვილს ვერტერის პარტიაში. ენტუზიასტებმა კიდევაც გადააჭარბეს და შუა მუსიკალურ ფრაზაში აწყვეტინებდნენ სიმღერას ტაშის გრიალით".

ბაქოში ათასი ჯურის ხალხი ტრიალებდა და ვანოც ინტერნაციონალური პროგრამით გამოდიოდა თავის კონცერტებში. აქ იგი მღეროდა აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.

ვანო სარაჯიშვილი და ქართული ოპერა

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ფრთა შეასხა ვანო სარაჯიშვილს. სეზონის დამთავრების შემდეგ მან საქართველოს მოაშურა. იმ ხანად მოარული სენი—„ესპანური დაავადება"

შეეყარა. ძლივს გადურჩა. ჯერ კიდევ რიგიანად არ მომჯობინებულიყო, რომ ჯოსდაპჯენილი მივიდა თეატრში.

ამის შემდეგ იწყება ქართული ოპერის ბრწყინვალე თავფურცელი. მისი ახალი ერა და აყვავება. ვანოც არსად არ წასულა საქართველოდან. ნიადაგ ოპერაში დაფუსფუსებდა, მონაწილეობდა კონცერტებში თბილისსა და პროვინციაში, მართავდა საკუთარ კონცერტებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაში ვანო პირველი ტენორის საპასუხისმგებლო პარტიებს ასრულებდა, იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა „ქართველ მომღერალთა კავშირის“ ორგანიზაციაში, სანდრო ინაშვილთან და სხვებთან ერთად.

1917 წლის 21 სექტემბერს ვანოს პირველი გამოსვლისათვის დაიდგა ოპერა „ბარგალიტის მაძიებელნი“ საბანეევას, ბალაპანისა და სხვათა მონაწილეობით. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მშობლიურ სცენაზე ვანოს გამოჩენას.

ვანო სარაჯიშვილის სასცენო მოღვაწეობის ეს პერიოდი ხასიათდება დრამატული ტენორის პარტიებზე გადასვლით, თუმცა ამავე დროს თავის ძველ რეპერტუარსაც არ ივიწყებდა. მან დიდი წარმატებით დაიწყო გამოსვლა „პიკის ქალში“, „კარმენში“, შემდეგ კი „აიდაში“, „ჰუგენოტებში“ და სხვა ოპერებში. ამავე პერიოდში საძირკველი ჩაეყარა ქართულ ოპერასაც. ქართული ოპერის ჩასახვა და განვითარება ვანო სარაჯიშვილის სახელთან არის შესისხლხორცებული. ამ ისტორიული მისიის განხორციელებაში მას მუდამ ღირსეულად უმშვენებდა მხარს ქართველი ერის მეორე საყვარელი მომღერალი, სახალხო არტისტი სანდრო ინაშვილი.

1910 წ. 3 აპრ. თბილ. „ქართულ კლუბში“ გაიმართა კონცერტი დიმ. არაყიშვილის ნაწარმოებთაგან. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ვანო სარაჯიშვილმა, რომელმაც პირველად შეასრულა ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

1911 წ. 30 ნოემბ. თბილ. „ქართულ თეატრში“ დაიდგა ქართულად ოპერა „სევილიელი დალაქი“. ალმავივას პარტია შეასრულა ვანო სარაჯიშვილმა. სპექტაკლი განმეორდა 26 დეკემბერს ქართული ენისა და კულტურის მოძულეებმა ათასი ხმა გაავრცელეს: ქართული ენა ვერ შესძლებს როსინის შესა-

ნიშნავი ნაწარმოების სხარტად და მხატვრულად გადმოცემას, მომღერლებს ყელში გაეჩხირებათ მუსიკალური ფრაზა, წარმოდგენა ჩაიშლებაო. ეს შხამი მათვე გაეჩხირათ თავიანთს ყელში, ჩაიშალა ყველა მათი ბნელი ზრახვები. . . გამოირკვა, რომ ქართულ ენას დისონანსი კი არ შეაქვს იტალიური ოპერის კეთილწყობაში, არამედ პირიქით — უფრო მოხდენილად და სხარტად შეერწყმის მას ვიდრე ბევრი სხვა ენა. სპექტაკლი შესანიშნავად ჩატარდა. ამ გამარჯვების მთავარი მიზეზი ვანო სარაჯიშვილი იყო. გაზეთი „ზაკავკაზიე“ სწერდა – შესანიშნავი ლირიკული ტენორი სარაჯიშვილი მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას სტოვებსო.

1911 წ. 18 აგვისტოს ვ. გუნიას საღამოზე „ქართულ კლუბში“ ვანო სარაჯიშვილმა შეასრულა ქართულად ერეკლეს არია ოპ. „ღალატიდან“. პრესამ განსაკუთრებული შეფასება მისცა. რეცენზიაში ვკითხულობთ: „ერეკლეს“ არიის შესრულებით ვანო სარაჯიშვილმა გაცილებით მეტი კმაყოფილება გვაგრძნობინა ვიდრე სატასტო ქალაქების სცენის ოსტატთაგან გვიგრძვნიაო. რეცენზენტი ხაზგასმით აღნიშნავდა — ერეკლეს არია ქართულად თვით ვანო სარაჯიშვილმა სთარგმნა, მთლიანად რომ სთარგმნიდეს მთელს ოპერას, დიდ სამსახურს გაუწევს მშობლიურ სცენასაო.

1913 წ. 27 აპრილს თბილისის „ქართულ კლუბში“ პირველად შესრულდა საჯაროდ ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტი. მონაწილეობა მიიღეს კოლოტრვამ, ვოფმანმა და დუელმა. მუსიკამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, შემსრულებელნი კი (გარდა კოლოტოვასი-ეთერისა) ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე.

იმავე წლის 28 მაისს განმეორდა იგივე აქტი, პირველი სურათის დამატებით. (აბესალომისა და ეთერის შეხვედრა). შეიცვალა შემსრულებელთა შემადგენლობა: აბესალონის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, ეთერისას—კოლოტოვა, მურმანისას—სანდრო ინაშვილი, ბელიარ ეშმაკისას—ლორთქიფანიძე[1]. დიდებულად აღიერდა „აბესალომი“. პრესამ სულ

[1] ეს პარტია შემდეგ ამოღებულ იქნა ოპერიდან, მისი შეკვეცის დროს. შ. კ.

სხვა შეფასება მისცა ზაქ. ფალიაშვილის შესანიშნავ ნაწარმოებს. ამის შემდეგ ვანო სარაჯიშვილი ხშირად ასრულებდა აბესალომის არიას საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და ყველგან უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებდა.

1918 წლის მაისის დამდეგს „ქართულ კლუბში" ზედიზედ რამდენიმეჯერ დაიდგა პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე" (რევაზ გოგნიაშვილისა). იასონის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი. მაშინდელი პრესის შეფასებით იგი ამ პარტიაში „ნამდვილი ხატება იყო".

1919 წლის 5 თებერვალს თბილისის ოპერის სცენაზე პირველად დაიდგა დიმ. არაკიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". შოთას პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი.

1919 წლის 21 თებერვალს დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი". პირველ სპექტაკლებში აბესალომის პარტიას ასრულებდა ზალიპსკი, შემდეგ—ვანო სარაჯიშვილი.

1919 წელსვე დაიდგა ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", შემდეგ—„ლეილა". ვანო აქაც ასრულებდა ტენორის პარტიებს.

1920 წლის 19 ნოემბერს პირველად ქართულ ენაზე დაიდგა ოპერა „ღალატი" იპოლიტოვ — ივანოვისა (კ. ფოცხვერაშვილის თარგმანი). ერეკლეს პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი.

1923 წლის 19 დეკემბერს პირველად დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „დაისი". მალხაზის პარტიას ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი...

აი, როგორ ჩაწნული და ჩაქვითკირებულია ქართული ოპერის საძირკველში ვანო სარაჯიშვილის სახელი. ამ, ერთი შეხედვით იქნებ მოსაწყენ ჩამოთვლიდანაც კი, ნათლად სჩანს ვანოს მნიშვნელობა ახალი ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

1897 წელს პეტერბურგში დადგმული „თამარ ცბიერის" ერთი აქტი ღრუბლიანი გარიჟრაჟია.

ქართული ოპერის დილა, შუადღიდან დაიწყო. „აბესალომია" ეს შუადღე, ეს ზენიტში მოვარვარე მზე.

„დაისი"—მწუხრი: ვანო სარაჯიშვილის გედის სიმღერა და დამშვიდობება.

მარცხნიდან მარჯვნივ სხედან—ჩელოს დამკვრელი ი. თ. სარაჯიშვილი, მომღერალი ვ. მ. ხარუდნაია, კომპ. პ. ი. ჩაიკოვსკი, პიანისტი ე. ო. ეპშტეინი დგანან — ვიოლინოს დამკვრელი კ. კ. გორსკი და კომპ. გ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი.

(80-იანი წლების ფოტო)

მომღერალი ლინა კავალიერი

ზაქ. ფალიაშვილის სამართლიანი აღიარებით, ვანო სარაჯიშვილი არა მარტო პირველი მერცხალია ქართული ოპერისა, არამედ „მისი გამომწვევი ბედნიერი მიზეზიც“.

ეს „გამოწვევა „აბესალომ და ეთერს“ შეეხება.

„აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო ზაქ. ფალიაშვილს შესთავაზა ცნობილმა მთარგმნელმა, მკვლევარმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე მირიანიშვილმა. ზაქარია უარზე იყო. იგი იმდენად დიდ მოთხოვნილებას უყენებდა საკუთარ თავს, ისეთი მოწიწებით ეპყრობოდა მშობლიურ მუსიკას, რომ მიუხედავად საუძვლიანი განათლებისა, არ სთვლიდა თავს მომზადებულად რათა ოპერის წერას შესდგომოდა. წელთა განმავლობაში ზაქარიამ თითქმის მთელი საქართველო შემოიარა, ჩაიწერა და შეისწავლა ჩვენი უმდიდრესი ხალხური მუსიკა. ნაესი გატყდა. როგორც იქნა პ. მირიანიშვილმა დაიყოლია ზაქ. ფალიაშვილი და გადასცა ოპერის ლიბრეტო. „აბესალომ და ეთერი“ ნელი ტემპით იწერებოდა. პედაგოგიური მოღვაწეობით დატვირთული ზაქარია მარტო ზაფხულობით თუ იცლიდა ოპერის საწერად. ერთმა უბედურმა შემთხვევამ კი, სრულებით შეაჩერა მუშაობა „აბესალომზე“. ზაქარიას გარდაეცვალა მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ერთადერთი ვაჟი. დადუმდა ფორტეპიანოს კლავიშები, რომელთაც ჯეირანივით მიეჭრებოდა ხოლმე მალალნიჟიერი ჭაბუკი და შსაპუნა წვიმასავით ამუსიკებდა ზედ თავის პაუია თითებს. მაშინ ბედნიერი მამაც შემოქმედებითს აღმაფრენას განიცდიდა. ახლა ფორტეპიანოს ზურგი შეაქცია. მთელს დღეებს სასაფლაოზე აღამებდა. ერთხელ, საღამომდე ვერ გაეცალა შვილის საფლავს. შინ დაბრუნებისას ფორტეპიანოს მიუჯდა და მთელი ბოლმა ამოანთხია. მაშინ დაიწერა აბესალომის შესანიშნავი არიოზო:

„ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად.
ბედმავ ჩამაგდო ამ სატანჯველში.
ზინათ დოვლათი, ყოფა—ცხოვრება
ამაოდ მიჩანს ეშმაკის ხელში. . .

კლავიშებს ზაქარიას ცრემლი ეცემოდა და გულგამგმირავი სიდიადით უპასუხებდნენ ისინი ამ ბედკრულ მამას. თითქო

ფორტეპიანო ზაქარიას ობოლი გულია, კლავიშები კი ტიტინა პირმშოს ბაგეა: საყვარელ მამას ესიტყვება, ციეს სამარეში მარტოობას შესჩივის, შველასა სთხოვსო . . .

> თავსა ვგრძნობ ობლად,
> გულით ვარ მარტო,
> მზე ჩაესვენა, რამ მიმშუქაროს?

ნაგრამ ზაქარიასათვისაც ბნელი იყო მთელი ქვეყანა:

> „ვერ გავძლო როს გაგეყარო,
> მე მოვკვდე ოღონდ, შენ გაიხარო,
> მე მოვკვდე ოღონდ, შენ გაიხარო . . .“

არიოზო მეცხრე ტალღასავით მოზღვავებული გრძნობით იწერებოდა მთელი ღამის განმავლობაში. ირიჟრაჟა. აისი შეწითლდა, ზაქარიას სისხლნაკრავ თვალზე კი წამწამიც არ დახრილა. დიდმა ხელოვანმა „აბესალომში“ გააცოცხლა ძვირფასი შვილი . . . ამიტომ არის უკვდავი ეს ნაწარმოები. ამიტომ ასე მძაფრად განიცადა „აბესალომი“ ჰანგთა დიდმა პოეტმა—„ხმის გენიოსმა“—ვანო სარაჯიშვილმა და საკუთარი გულის ცეცხლით აღაგზნო ყოველი ბგერა.

აბესალომის პარტია ზაქ. ფალიაშვილმა ვანო სარაჯიშვილის არტისტულ ქარგაზე გამოაქანდაკა. მუშაობის პროცესში იგი ხშირად აცნობდა ვანოს შემოქმედებითს გეგმებს. ვანოც გულმოდგინედ უპასუხებდა:

— მშობლიურ ჰანგს არ უღალატო, ზაქრო. ისე დასწერე, რომ ქართველ კაცს გულში მოხვდეს!

ზაქარიაც ასევე სწერდა.

„აბესალომ და ეთერის“ დადგმამ ეროვნული ზეიმის სახე მიიღო. თეატრი მუდამ სავსე იყო. ვანოსა და სანდრო ინაშვილის სახელი ამის შემდეგ რაღაც ზღაპრული შარავანდედით შეიმოსა. ვანო სარაჯიშვილი „აბესალომს“ უძნელეს პარტიად სთვლიდა თავის ვრცელ რეპერტუარში. ეს სიძნელე მის უმძაფრეს შეგრძნობაში გამოიხატებოდა. ვანოს სასოწარკვეთილი ამონაკვნესი:

— მურმანო, აჰა, ეთერი შენთან ჰპოვებდეს შვებასა...

ანდა:

— შიშველეთ, ეს რა შემემთხვა . . .

ალალ ცრემლს იწვევდა მაყურებელში.

სცენაზე ფეხის შემოდგმიდან, ბოლო ფრაზამდე, თეთრად მორთული ვანო მთის მწვერვალზე აგორებულ გუნდასავით იზრდებოდა, როგორც ხელოვანი, და ბოლო აქტში საშინელ ციცაბოდან მოსხლეტილივით იღუპებოდა. მისი წაქცევა ოპერის ქვეშ მიწის ძვრას ჰგავდა. ამით სრულებით არ გვინდა ვსთქვათ—ისეთ ბრავვანს მოადენდა, სცენაზე მტვერი ავარდებოდათქო. არა სრულებით არა!

ეს წაქცევა უძლიერესი იყო მორალურად. თავის სიმართლითა და გულწრფელობით.

დიდი არტისტული და ვოკალური კულტურა, უსაზღვრო ტემპერამენტი, მშობლიური კილოს შეგრძნობის გასაოცარი უნარი, ისე გენიალურად ჰქონდა შერეწყმული ვანოს ამ პარტიაში, რომ აქ სრულებით არ იგრძნობოდა არავითარი შაბლონი და სწორედ ეს ანიჭებს უკვდავებას მის აბესალომს.

— როდესაც სცენაზე სინათლე ჰქრება და აბესალომი სულსა ლევს, მე მგონია რომ მართლა გავთავდი; ამის შემდეგ აღარაფერი აღარ მახსოვს . . . როდესაც შუქს ანთებენ და ხალხი ტაშს უკრავს, ვხედავ თურმე ტყუილი ყოფილა ყველაფერი და მიხარია!

აი, რას ამბობდა ვანო თავის განცდაზე იეთიმ გურჯის ამოძახილით:

„მიხარიან, არ კი მჯერა!“

ზეგამოჭრილი იყო მასზე.

ზაქ. ფალიაშვილმა „დაისიც“ ვანო სარაჯიშვილის პოეტურ ქარგაზე ააჟღერა. „თავო ჩემო“ ვანომ შეატანინა ზაქარიას ამ ოპერაში ბედშავ ქაბუკის მალხაზის გულის მოსაოხებლად. ვანოს მიერ შესრულებული „თავო ჩემო“ ჯერ მიუღწეველი მწვერვალია. იგი უძვირფასეს სამკაულად გაჰყვება „დაისს“ და ლეგენდასავით გადაეცემა ზემდგომ თაობებს. მაგრამ ვანო სარაჯიშვილის ისტორიული მნიშვნელობა ქართული ოპერის წინაშე როდი ამოიწურება მარტოოდენ მისი არტისტული იერით, „ვულკანური ტემპერამენტით“ ან უბადლო სულიერი წვით. რაც მთავარია,

ვანომ შეჰქმნა ქართული საოპერო შემსრულებლობის ბრწყინ-ვალე ნიმუში, ე. ი. ქართული ყაიდის საოპერო მღერადობა და გაამდიდრა მშობლიური მუსიკალური ფრაზა ისეთი ნიუან-სებით, რაც საუკუნეთა მანძილზე ერთ რომელიმე ბედნიერ მომღერალს თუ ხვდება წილად. ამიტომაც აბესალომი, მალ-ხაზი, შოთა, თეიმურაზი და ვანო სარაჯიშვილის მიერ განსა-ხიერებული სხვა გმირები ქართული ჩუქურთმით ჟღერდნენ და ჰაიბლავდნენ მსმენელს მშობლიური ჰანგის უბრწყინვალეს ამეტყველებით. ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულ ვანოს ამაში ხელს უწყობდა ჩვენი დიდებული ხალხური სიმღერის ცოდნა. უანისოდ ვერცერთი ჩვენი მომღერალი ვერ გაამდი-დრებს თავის პარტიას თუნდაც ერთი ახალი ნიუანსით და ვერ შეაღწევს ერის სულის წიაღში რა გინდ იერიქონის სა-ყვირი არ ჰქონდეს ყელში და მჭექარე ხმით სახურავი აჰგლი-ჯოს ოპერის თეატრს. ვანო სარაჯიშვილის მჭექარე მაღლე-ბიც კი ოდნავ არ ბზარავდა ჰაერს — ვერცხლში ხავერდი ერია და ვარდივით ათოვდა ნეტარებით მოხიბლულ მსმენელს. მის ბგერაში ჩვენი დიდებული მთა-ბარი ჩვენი სული, ჩვენი კრია-ლა ზეცა სჩანდა.

„წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“.

თუ რომელიმე ქართველი მომღერლისათვის გავიმეტებთ გალაქტიონ ტაბიძის ამ სიტყვებს, უწინარეს ყოვლისა ალა-ლია ვანო სარაჯიშვილზე.

ვანო სარაჯიშვილი და ქართული რომანი

ქართული რომანისის მამამთავრად მელ. ბალანჩივაძე ითვ-ლება. 1891 წ. მელიტონმა გამოაქვეყნა „ნანა“, „შენ გეტრფი მარად“, და „ოდესაც გიცქერ“ (ექიმ ი. ზ. გოპაძის გამოცე-მა). ამ რომანსებმა სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა და დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. იმავე წელს კორნ. მაღრაძემ დასწერა დუეტი „ჩემს ვარსკვლავს“. მას შემდეგ დღემდე ასობით ხალხური სიმღერა გადამუშავდა და რომან-სი დაიწერა. ქართული საგუნდო და ცალფა სიმღერის უბად-

ლო ოსტატი—ვანო სარაჯიშვილი პირველ შესანიშნავ შემ-სრულებლად მოევლინა მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, ი. კარგარეთელის, ა. ყარაშვილისა და სხვათა რომანსებს. იგი ამ რომანსებს ასრულებდა ჩვენში, რუსეთში, იტალიაში. ასრულებდა აგრეთვე ხალხურ ცალფა სიმღერებს და განსაკუთრებით—„ურმულს“. ქართულ რომანსს ვანომ მტკიცე მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა, ამიტომ ქართულ ოპერასთან ერთად იგი ქართული რომანსის მიმრქმელიცაა.

კამერული მუსიკის გადმოცემაში ვანო სარაჯიშვილს იშვიათად თუ ვინმე გაუწევდა მეტოქეობას. ცალკეული მცირე ნაწარმოები მას გააზრებული ჰქონდა როგორც მთლიანი, სიუჟეტური პოემა: ჩარჩო ვიწრო იყო, გრძნობა—უსაზღვრო, სულიერი მისწრაფება—შეუზღუდავი. ვანოს მიერ შესრულებული რომანსები წარმოგვიდგებიან როგორც დასრულებული მხატვრული ქმნილებანი, რომლებიც გვხიბლავენ თავიანთი ნაირფერობით: სინაზით, განცდით, გულწრფელობით, ტემპერამენტით. რომანსი იგივე ლირიკული ლექსია. იქნებ მთელი დრამატიული პოემა უფრო ნაკლები სულიერი წვით დაიწეროს, ვიდრე რომელიმე ოთხ სტროფიანი ლექსი ან პაწია რომანსი. ზოგ მომღერალს არ ესმის ეს და რომანსი გასართობ, მსუბუქ ჟანრად წარმოუდგენია. ამიტომ მათ მიერ შესრულებული რომანსები საპნის ბუშტივით მიჰყვებიან ჰაერში უკანასკნელ ასამაღლებელს, ჰქრებიან. და სცილდებიან მეხსიერებას.

ვანო სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანსები მარმარილოს თეთრ ქანდაკებებივით აღმართულან ჩვენს გონებაში და სინანულის გრძნობით მიგვყვებიან საფლავის კარამდე. მათ დღესაც ჰმონებს ჩვენი გული.

იტალიიდან ვანომ ბევრი რომანსი ჩამოიტანა. მათ შორის: დი'კაპუას „ო, ჩემო მზეო“ და ბონჯიოვანის „ღამის პიპელა“. მათ გაქართულებაზე ოცნებობდა, რადგან ჩვენი საესტრადო რეპერტუარი ჯერ კიდევ ღარიბი იყო. იმ ხანად დიდი წარმატებით მართავდა თავის საღამოებს „ძველი თბილისის ტრუბადური“—პოეტი იოსებ გრიშაშვილი. მხატვრული სიტყვის ეს მეტად ორიგინალური ოსტატი დაუცხრომელ ტაშის გრიალში კითხულობდა საკუთარ ლექსებს. მისი „გენაცვალე'

1910 წელს დაიბეჭდა და იმავე წლის 8 მაისს პირველად წაიკითხა ავტორმა სცენაზე. ვანო სარაჯიშვილის მუსიკალურმა სმენამ სწრაფად დაიჭირა ამ ნატიფი ლექსის ქარაგმა და ბონჯიოკანის „ღამის პეპელას“ შეუწყო, მაგრამ მისამღერი აკლდა და ავტორს ეწვია. გრიშაშვილმა დამატებით მიუწერა:

> რა დაგიშავე, რისთვის გამცვალე ტურფავ.
> ჰირიმე შენი, შენთვის ვსტირი, შემიბრალე გენაცვალე...“

მაშინ პოეზია მუსიკის მორჩილი გახდა. ცოტა ხნის შემდეგ ვანოს ბაგეზე ჯადოსნური ძალით აეღერდა — „გენაცვალე“. მაგრამ ყველაზე მეტად დაისაჯა აქ გრიშაშვილი. ვანო ისე შესანიშნავად ასრულებდა ამ რომანსს, რომ ჩვენმა პოეტმა ერთხელ და სამუდამოდ აიღო ხელი „გენაცვალეს“ კითხვაზე სამაგიეროდ მას „კომპოზიტორობა“ მიენიჭა. ხალხს გადაავიწყდა ბონჯიოვანი. საქმე იქამდე მივიდა, რომ „გენაცვალეს“ ნოტები ერთხელ ვანო სარაჯიშვილისა და გრიშაშვილის სურათებით დაიბეჭდა, მუსიკის ავტორის მოუხსენებლად. ზაქ. ფალიაშვილმა ხუმრობით უთხრა გრიშაშვილს — ბიჭო, ახლა კომპოზიტორობა დაიწყეო?

„ო, ჩემო ნზეო“ ვანოს კ. ანდრონიკაშვილმა და ი. გრიშაშვილმა უთარგმნეს. მას „ჩემი ვარსკვლავი“ ეწოდა. ვანო სარაჯიშვილის ვრცელ საესტრადო რეპერტუარში ეს რომანსი მართლაც შუქურ ვარსკვლავივით კიაფობდა. იგი მას განსაკუთრებული ვირტუოზული ოსტატობით, ხმის ფილირებითა და ხალასი განცდით ასრულებდა.

ვანო, გრიშაშვილის საღამოების მშვენება იყო.

— სარაჯიშვილი, გრიშაშვილი! გენაცვალე, გენაცვალე... ისმოდა დაუცხრომელ ტაშის გრიალში. 1920 წლის 10 ივნისს, თბილისის ოპერის თეატრში გამართულ გრიშაშვილის საღამოზე პირველად შეასრულა ვანომ თ. შავერზაშვილის რომანსი „ლერწამი ხარ“(ტექსტი გრიშაშვილისა) და ახალგაზრდა კომპოზიტორი საზოგადოებას წარუდგინა.

ამ რომანსებს ახლაც ასრულებენ, მაგრამ, როგორც ერთმა მუსიკოსმა მითხრა, ისინი მგონი... „თან წაიღო“ ვანომ— შესრულებაცაა და შესრულებაც.

იმდენად ძლიერი იყო მაშინ ვანო სარაჯიშვილისა და ი. გრიშაშვილის მხატვრული ზეგავლენა, რომ მათ „ორეულებიც“ აღმოუჩნდნენ: მიხეილ ჭიაურელი შესანიშნავად ჰბაძავდა ვანოს სცენაზე „გენაცვალეს“ შესრულებით. პოეტი სოსო დაროშვილი გრიშაშვილისებურად კითხულობდა ლექსებს. აფიშებშიაც ასე ცხადდებოდა, დარბაზი მუდამ სავსე იყო. ეს „ორეულები“ დიდ სიამოვნებას ჰგვრიდნენ ვანოს, იგი ცრემლმორევამდე ხარხარებდა.

რუსულ რომანსებიდან ვანო შესანიშნავად ასრულებდა კაშევაროვის „სიჩუმეს“, არიებს სხვადასხვა ოპერებიდან, ჩაიკოვსკისა და სხვა რუს კომპოზიტორთა პოპულარულ ნაწარმოებებს. ვანოს მდიდარ კამერულ რეპერტუარიდან, სამწუხაროდ ძალიან ცოტა რამ შემოგვრჩა ჩაწერილი. ვანოს დამღერებული აქვს ფირფიტებზე: „ურმული“, „ოდესაც გიცქერ“, „ისევ შენ და ისევ შენ“, „ზე აღარ ბრწყინავს“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჩემი ვარსკვლავი“, „დავრდომილი სნეული“, „გენაცვალე“. 1915 წელს საზ-ბა „ამურის“ წინადადებით ვანომ ბევრი ფირფიტი დაამღერა თბილისში. იმპერიალისტური ომის დროს დაიკარგა ეს ჩანაწერები. სხვათა შორის ბევრი ეძება ისინი ვანოს დიდმა პატივისმცემელმა, განთქმულმა რუსმა ტენორმა კოზლოვსკიმ, მაგრამ ვერსად იპოვა.

ხელოვანი და ადამიანი

ვანო სარაჯიშვილის ვრცელი რეპერტუარი რამდენიმეათეულ ოპერას შეიცავდა „რიგოლეტოდან“ და „ტრავიატადან“ მოკიდებული „აიდამდე“ „ჰუგენოტებამდე“. სიკვდილის წინ „ოტელოსაც“ მოჰკიდა ხელი. მეგობრებსა და შინაურებს ეხუმრებოდა: აი, ერთ-ორ მურს გადავისვავ და თვალის თამაშით ისეთ ოტელოს წარმოგიდგენთ, რომ ყველა ცოლი თავისი ქმრის შიშით მოკვდესო. და მართლაც, გრიმს მაინცადამაინც არ სცემდა დიდ პატივს. ერთი სტატიის ავტორის მოხდენილი შენიშვნით „სახის მეშუნვარების ძირი გულში ჰქონდა“. მიმიკით, ხალასი განცდითა და ცოცხალი გამომეტყველებით უფრო მეტს აღწევდა.

ალფრედი და ოტელო!

განა ბევრ მომღერალს მიუღწევია მსოფლიოში ამ ორი პოლუსისათვის?

ვანო სარაჯიშვილი მუსიკალური ფრაზით მოაზროვნე მომღერალი იყო. მისთვის არ არსებობდა, ცალკე—ნაწარმოების მუსიკალური აღნაგობა და ცალკე — დრამატიული ხერხემალი. ვანოს „ვულკანური ტემპერამენტის" მქონე მსახიობს ულოდებდნენ. თავის ამ ტემპერამენტს, უბადლო სმენას და ვოკალურ ოსტატობას იგი იყენებდა მუსიკალური ნაწარმოების მთელი სიმძაფრით გადმოსაცემად. სცენაზე გამოსვლისთანავე მთლიანად შთაიხთქებოდა განსახიერებული გმირის სულიერ სამყაროში და ნაწარმოების მუსიკალური ქსოვილი ესმოდა როგორც ამ გმირის ყოველი ძარღვის ფეთქვა და მაჯისცემა. დირიჟორი სტოლერმანი ვანოს იუბილეზე მირთმეულ ნობათში სწერდა:

„. . . როდესაც თქვენ სცენაზე ხართ, მღერით თუ უბრალოდ დგეხართ პარტნიორისათვის, თქვენ ცხოვრობთ, იწვით. ეს კი ყველაზე ძვირფასია მსახიობის შემოქმედებაში. . ."

ამის შემდეგ სავსებით ნათელია, რომ ვანოს მიერ განსახიერებული გმირები წარმოგვიდგებიან როგორც სისხლჭარბი ცოცხალი ადამიანები. ისინი დღესაც ბობოქრობენ ჩვენს სულსა და გულში, გვაღელვებენ თავიანთი განცდით, სიხარულითა და გულისტკივილით. ბევრი რამ შეიძინა ვანომ, როგორც არტისტმა, დიდებულ ლადო მესხიშვილთან მეცადინეობით. კერძოდ, მასთან დაამუშავა სცენიურად დონ-ხოზესა და ალფრედის როლები და შესანიშნავ შედეგებსაც მიაღწია. ვოკალურად ხომ უბადლოდ ჰქონდა დამუშავებული ეს პარტიები.

ვანო სარაჯიშვილი თითქოს განგებ იყო შექმნილი დიდი მომღერლისა და არტისტის კარიერისათვის. უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმით აღსანიშნავია მისი შესანიშნავი სმენა. ვანოსთანა მუსიკალობით აღჭურვილი მომღერალი იშვიათად მოიპოვებოდა და მოიპოვება ახლაც. ამასთან, ვანო დაჯილდოებული იყო რაღაც მომაჯადოებელი ტენბრის ხმით, რომლის სილამაზის გადმოსაცემად სიტყვა ვერ უპოვია ადამიანს.



მილანის თეატრი (ლა სკალა)

ბარიტონი ევგ. ჯირალდონი (წარწერა: „მეგობარ ვ. სარაჯიშვილს
აღფრთოვანებული პატივისცემით. ევგ. ჯირალდონი,
პეტერბურგი 1909“)

როდესაც პირველად ხმას ამოიღებდა, ერუანტელი დაუვლიდა მსმენელის ძარღვებს და დიდხანს, დიდხანს სიმღერის დამთავრების შემდეგაც არ სცხრებოდა ეს ერუანტელი. ერთს ხანში შესულ მანდილოსანს ვესაუბრე ვანოს შესახებ. ბოდიში მოიხადა, სახელო წაიკაბიწა და მითხრა: აი, მგონი ახლაც თმა ამებურძგნაო. ეს ვანოს გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ მოხდა. მკითხველი იოლად მიხვდება, მართლაც რა ძალა ჰქონია ვანოს სიმღერას. თავის არტისტული მოღვაწეობის პირველ პერიოდში ვანოს წმინდა ლირიკული ტენორი ჰქონდა, ვერცხლივით წკრიალა და ხავერდოვანი. ვაგრამ მისი ტემპერამენტი უფრო მეტ გასაქანს—მძაფრ გამოვლინებას ეძებდა სცენაზე და ვანოც დრამატიული ტენორის პარტიებისაკენ მიისწრაფოდა. ამან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. თავისი დიდი მუსიკალური კულტურის მეოხებით და საკუთარ თავზე სისტემატური მუშაობით ვანო დაეუფლა დრამატიული ტენორის რეპერტუარს, მაშინ, როდესაც ლირიკული ტენორის პარტიებსაც თავისუფლად ასრულებდა. დიდი მუსიკალური ნიჭის წყალობით ვანო სარაჯიშვილი აგრეთვე ადვილად დაეუფლა სიმღერის იტალიური სკოლის—„ბელ კანტოს“ შესანიშნავ ოსტატობას. თბილისში მყოფი იტალიელი მომღერლები (პედაგოგები) ვაგი და ბარერო ტყუილად როდი ამბობდნენ—მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის წყალობით განვიცდით ჩვენ აქ ჩვენს სამშობლოს იტალიასო. ვანოს შესანიშნავი ფრაზირება და მკაფიო დიქცია დრამის მოწინავე აქტიორსაც კი შეშურდებოდა. ამ მხრივ მან ქართულ ოპერაში თავის დროზე მიაღწია იმას, რაც ქართულ დრამაში თითქმის მიუღწეველი იყო (მცირე გამონაკლისის გარდა).

ქართული ხალხური სიმღერის ღრმა ცოდნა, მშობლიური კილოს შეგრძნობისა და გამომჟღავნების გენიალური უნარი საშუალებას აძლევდა ვანო სარაჯიშვილს გაემდიდრებინა ყოველი სასიმღერო ქართული ფრაზა ისეთი თავისებური ნიუანსებითა და გრძნობათა ობერტონებით, რომლებიც, საზოგადოდ, ქაღალდზე არ იწერება და „რომელთა წარმოქმნის საიდუმლოება მხოლოდ მან იცოდა“.

„სარაჯიშვილისებური შესრულება“, „სარაჯიშვილისებური ტემბრი“ მუსიკალური ტერმინების სახით დამკვიდრდა. ყოველივე ამ მნიშვნელოვან გარემოებათა წყალობით შესძლო ვანო სარაჯიშვილმა ქართული ელფერის საოპერო შემსრულებლობის შექმნა, რაც ქართულ მუსიკალურ კულტურას ბრწყინვალე ტრადიციად შერჩა. ვანოს შესანიშნავ ხმას და ოსტატობას თან ახლდა მისი მოხდენილი გარეგნობაც: შნოიანი ტანადობა, მეტად მიმზიდველი გამომეტყველება, ხუჭუჭი თმა, ეშხიანი ქართული სახე, მიბრჯნით მიწყობილი კბილები, სარფიანი მიხრა-მოხრა. ძველი მეგობრები ვანო სარაჯიშვილს უწოდებდნენ „დიდი ნათელი სულის მქონე არა ამქვეყნიურ ადამიანს, რომლის პიროვნებაში თავმოყრილი იყო ქართველი ერის საუკეთესო თვისებები“. და მართლაც, ვანო ტიპიური ქართველი ვაჟკაცი იყო: ზრდილი, ალალი, თავმოყვარე, მომლხენი და მეგობრისათვის თავდადებული. ეროვნული გრძნობის შეურაცყოფისათვის თავს შეაკლავდა. ხანგრძლივად ვერსად ვერ სძლებდა — სული მეხუთებაო და სამშობლოს მოაშურებდა. არც ანტრეპრენიორს გაჰყვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, არც ევროპაში დარჩა. მაღალი პატრიოტული გრძნობა და ეროვნული შეგნება მთელს მის არსებას დაეფლებოდა.

პარიზის გრანდ ოპერის სოლისტი მიხეილ ნანობაშვილი ჩემზე ნაკლები მომღერალი როდია, მაგრამ მან არ იცის რა ესაჭიროება ქართველ ერს, მე კი ვიცი — ამბობდა ხოლმე ვანო.

თავისი ხელოვნებითა და პიროვნებით ვანო სარაჯიშვილი თანაბრად ჰხიბლავდა ყველა მსმენელს.

ხელოვნების შესანიშნავი ოსტატები ათასგვარი გულთბილი წარწერებით სთავაზობდნენ თავიანთ პორტრეტებს. მას ვანოს ეძახდნენ ყველგან — მთელს რუსეთის იმპერიაშიც და ევროპაშიც; ასე ეძახდნენ ჩვენი გლეხიცა და დიდებული შალიაპინიც, სობინოვიცა და განთქმული იტალიელი მომღერლებიც. ეს სისადავე უფრო მეტად ამშვენებდა მას და ამშვენებს დღესაც.

დიდი რუსი მომღერალი ლეონიდ სობინოვი გულგრილად ვერ უსმენდა ვანოს სიმღერას.

— საიდან ამოდის ეს ჯადო ბგერა, რას უშვრები ყელს სიმღერის დროს, რას აკეთებ სცენაზე გამოსვლის წინ? აი, ამ ბგერას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვებრძვი, მაგრამ ვერ დავეუფლე, შენ კი ენის წვერზე გაქვს... ეუბნებოდა მას მსოფლიოში განთქმული მომღერალი.

ვანო სარაჯიშვილი და სობინოვი ჯერ კიდევ 1912 წელს შეადარეს ერთმანეთს. გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი“ სწერდა:

„...სარაჯიშვილის ხმის ტემბრი ბუნებრივია — იგი თვით ბუნებაა. სობინოვის ხმის ტემბრი — ციური სკოლაა, მაგრამ გონების მხატვრული შემოქმედების ციური სკოლა. ამიტომ სარაჯიშვილი კარგია იქ, სადაც სჭარბობს გრძნობა, დიონისოს პრინციპი. სადაც საჭიროა მეტი მუშაობა, სკოლა, სტილი — იქ სობინოვი შეუდარებელია მხატვრული თვალსაზრისით.

აპოლონი-სობინოვი, დიონისო-სარაჯიშვილი. აი, ორი პოლუსი...“

როგორც მკითხველი ჰხედავს „პოლუსები“ გადანაცვლებულა: „აპოლონმა“ იწამა „დიონისოს“ აპოლონიზმი სიმღერაში, მისი სკოლაცა და ოსტატობაც. ვანო სარაჯიშვილი სიმღერის შესანიშნავ ოსტატობას დაეუფლა, მაგრამ თავისი „ვულკანური ტემპერამენტი“, თავისი დიონისობა არ დაუკარგავს. 1923 წლის სეზონში თბილისში საგასტროლოდ მყოფ სობინოვის პატივსაცემად კოტე მარჯანიშვილმა ბანკეტი გამართა. მთავრობის წარმომადგენელიც ესწრებოდა. სობინოვს თბილისში დარჩენა სთხოვეს.

— მიკვირს, რად იწვევენ აქ უცხო მომღერლებს, ან რა საჭიროა ჩემი დარჩენა, როდესაც დიდებული ვანო სარაჯიშვილი აქა გყავთ. არ ჩასთვალოთ ეს პირფერობად რაც არ უნდა იყოს მე მაინც ლეონიდ სობინოვი ვარ, მსოფლიოში მიცნობენ და ვიცი რას ვამბობ — განაცხადა სობინოვმა და პირიქით, ვანო სარაჯიშვილი მიიწვია მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც ღირსეული გავლენა ჰქონდა. მაგრამ მოსკოვს გამგზავრება ვანოს არ დასცალდა, თუმცა აღუთქვა სობინოვს მოჩავალ სეზონში უსათუოდ ეწვევიო.

ვანო სარაჯიშვილი ალალი გულის ადამიანი იყო. ახალგაზ-

რდობის დაწინაურებას ვანო გულგაშლილი ეგებებოდა. დიდად მოსწონდა დავით ბადრიძე და ნიკო ქუმსიაშვილი, მათ პირველად თვითონ ვანო გაეცნო, გაამინევა, მშვენიერი მომავალი უწინასწარმეტყველა. ლადო გერმესაშვილი პირდაპირ ყურით გამოათრია გუნდიდან და უსასყიდლოდ მიაღებინა კონსერვატორიაში.

ბოლო დროს ვანომ კინოსაც მიჰხედა—„მამის მკვლელში" მიიღო მონაწილეობა. ახალისებდა ეს ამბავი. უსიტყვოდ ასრულებდა ყველაფერს, რაზედაც კი მიუთითებდნენ. „მამის მკვლელი" ერთადერთი ფილმია, სადაც შემონახულია ვანოს სახე, სამწუხაროდ, ერთადერთი და ისიც... უხმო. ბედის დაცინვა ამაზე შორს წავა? ვანო სარაჯიშვილი და მუნჯი?

ვანო პოეტური ბუნების ადამიანი იყო. შეკვეთითა და თხოვნით არ იმღერებდა, მხოლოდ საკუთარ აღმაფრენას ემორჩილებოდა. ამ შეხთხვევაში ანგარიშს არ უწევდა არც წრეს, არც არავითარ „უხერხულობას". ბუნების წიაღში უფრო მეტად აღიგზნებოდა, ერთს თავისებურად შესძახებდა მშობლიურ მდელოს და სულს მოილხენდა. ბუნებრივია, რომ უშუალოდ სულიერი მოთხოვნილების შედეგად შესრულებული ნაწარმოები და ისიც ისეთი დიდი ოსტატის მიერ, როგორიც ვანო სარაჯიშვილი იყო, დიდ მხატვრულ დონეზე იდგომებოდა და დაატკბობდა ადამიანს. ერთი „სუსტი მხარე" მაინც ახასიათებდა მის პოეტურ აღმაფრენას: საჭირო იყო გამოწვევა და მაშინ ვანო გულუბრყვილო ბავშვივით დაჰყრიდა ხოლმე ფარხმალს. მეგობრულ სუფრასთან ისხდნენ, ვანოს თან გადაჰყვნენ, მაგრამ არასგზით არ იმღერა. მაშინ გიორგი ქუჩიშვილმა ლექსი უთხრა სახელდახელოდ და ვანომაც წამსვე შეაშველა თავისი ფარი — სიმღერით უპასუხა. ზოგჯერ, ასე „პროვოკაციულად" გამოწკეული ვანო დიდხანს არ სცხრებოდა ხოლმე.

ვანოს პოეტური ბუნება და ტემპერამენტი ყოველ წვრილმანში მეღავნდებოდა—შემოქმედების სარბიელზეც და ცხოვრებაშიაც. უშუალოდ ცხოვრებიდან აღებული „წვრილმანები" კი, უფრო მეტად ახასიათებენ ადამიანს ვიდრე მთელი ტომები, რა გინდ ნიჭიერად არ იყოს ისინი დაწერილი. ვანო

სარაჯიშვილის ცხოვრების გზა აღსავსეა ერთი-ერთმანეთზე უფრო მეტად წარმტაცი და მოულოდნელი შემთხვევებით. ფაქტები კი, ჩვენდა უნებურად გვიხატავენ მას, მიუდგომლად, ბუნებრივი საღებავებით.

სად იყო ხიშტი?

სამეფო სამსახურში ვანო სარაჯიშვილს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. შესანიშნავი ხასიათის ჭაბუკი მთელი ნაწილის სული და გული იყო. სავებსავით არ ზღუდავდნენ, ხშირად აძლევდნენ თავისუფლებას და შინ ღამის გათევის ნებას. მაშინდელი წესის მიხედვით ვანოს ქარქაშიანი ხიშტი უნდა იტარებინა. ერთხელ, რაღაც მოულოდნელი შემთხვევის გამო უხიშტოდ გავიდა ქუჩაში. ქალაქის კომენდანტი რეიტერი შემოეყარა. ამ რეიტერს დედა ქართველი ჰყავდა, თითონაც ქართველობდა. წესის დამრღვევი ვანო საკომენდანტოში გაიყოლა. წინ მიუძღოდა. ადგილზე მისვლისას რეიტერი მობრუნდა და სიტყვა დარჩა: მის წინ ხიშტიანი ვანო გაჩოიჭიმა.

— რა გვარი ხართ?

— სარაჯიშვილი...

— სარაჯიშვილი... თუ სარაჯევი?

— სარაჯიშვილი!

— დავით ზაალარიჩს იცნობთ?

— დიახ, ჩემი ნათესავია.

— მითხარით, როგორ გამბედავთ, ოღონდ, სრული სიმართლე!

— სასწრაფო საქმეზე გეახელით, ხიშტი შინ დამრჩა. უკან რომ მოგდევდით, ამაანაგი შემხვდა და...

— გასაგებია. რა გვარია ის ვაჟბატონი?

— უმორჩილესად გთხოვთ... მისი ბრალი არ გახლავთ, მე თითონ...

— თქვენ თითონ განიარაღეთ, არა?

— დიახ, ეს ელვის სიჩქარეთ მოხდა, ძალა დავატანე. მისი ბრალი არ გახლავთ.

რეიტერმა აღარ იკადრა ჩაცინება. მის წინ სიმივით გაწ-

კეპილი ეშხიანი ჭაბუკი იდგა, წაღები სარკესავით ულაპლაპებდა. შენიშენა მისცა. ვანო შველივით მოწყდა ადგილს და გარეთ გაიჭრა.

— ყოჩაღ!—ღიმილით გაადევნა სიტყვა რეიტერმა. სამაგიეროდ, რეიტერის მეგობარმა, დავით სარაჯიშვილმა მთელი „სახარება" წაუკითხა თავის გიჟმაჟ ნათესავს.

ნამდვილი მარგალიტი

ვანო შესანიშნავი ოსტატობით ასრულებდა ნადირის პარტიას ბიზეს ოპერა „მარგალიტის მაძიებლებში". ერთხელ, პეტერბურგში გამართულ კონცერტზე, სხვა ნაწარმოებთა შორის ნადირის არიაც შეასრულა. დარბაზმა მქუხარე ტაშით უპასუხა. გამოწვევას ბოლო არ ჰქონდა. კულისებში ვანო ქართველ სტუდენტებს ეხუმრებოდა და სცენაზე გასასვლელად ემზადებოდა.

— რა უნდა შეასრულო სხვა ისეთი, რომ ამგვარი შთაბეჭდილება მოახდინო?

ვანო გულიანად გადაიხარხარა.

— რა უნდა შევასრულო? რაც უნდა იყოს! მარგალიტი შესრულებაშია და არა „მარგალიტის მაძიებლებში".. აი, ახლავე გავალ, უბრალო ვოკალიზს — ვარჯიშს შევასრულებ და უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოვახდენ.

არ დაუჯერეს. ვახშამზე დანაძლევდნენ. ვანო სცენაზე გაიჭრა. მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა. მართლა რაღაც ვარჯიშის მსგავსი რამ შეასრულა და უფრო ცხარე ტაში ასტეხა.

„წაგებული" მეგობრები კონცერტის შემდეგ ვანომ თან წაიყვანა.

რომეოს კრინი

1910 წლის 26 აპრილს ვანომ ჯვარი დაიწერა თბილისში ნინო პლატონის ასულ ქიქოძეზე. ამ საზეიმო საღამოს იშვიათი განწ ობილებით შეხვდა ვანო. რამდენ შესანიშნავ ქალს გაეცნო და დაუმეგობრდა პეტერბურგიდან მილანამდე, მაგრამ უცხო ტომის შვილს ვერ ანდო გული. ახლა მის პოეტურ არსებას სწორუპოვრად აღაგზნებდა სიყვარულიც და

გაზაფხულიც. ვიდრე მღვდელი ალექსი თევზაძე საკურთხეველში ფუსფუსებდა, ვანომ კრინით სთქვა უმწიკლო სიყვარულის საგალობელი:

„გემუდარები ნეტარების დიადო ღამევ . . ."

ეს იყო რომეოს არია ოპერა „რომეო და ჯულიეტადან". ვანოს ხავერდოვანი ხმა ნიავივით განიერცო ტაძრის სიღრმეში; მაღალ თაღს მიესალბუნა, შემდეგ მიიბნიდა, ნემსის ყუნწში გაძვრა და სადღაც შთაინთქა. ეს კრინი, მგონი სამარეშიაც კი შესძრავდა რომეოსა და ჯულიეტას ძვლებს, რომ მართლაც სადმე ყოფილიყვნენ ისინი განსვენებულნი. ვინ იცის, იქნებ მამა ალექსისაც კი მოესმა საკურთხეველში ვანოს სიმღერა და „ეშმაკს" დაუთმო—ღიმილით გატვრინა სული. სარაჯიშვილებმა წესდებული ზეიმი შეაწიეს საყვარელ ძმას და თავიანთი საოჯახო გუნდით ჯვარსაწერი გალობა სთქვეს ეკლესიაში. დედოფალს ზიარება არ ეამა. მღვდელმა ღიმილით უთხრა:

— არ მოგწონს, შვილო? ცოტა დაიცა, უკეთესი ღვინო მოგართვა. . .

ჯვრისწერის შემდეგ ალექსიმ შინ მიიწვია ნეფე-დედოფალი და მათი ამალა. რა თქმა უნდა, თავშეკავებულ კოინის ნაცვლად აქ იყრიდა ვანო თავის ჯავრს.

ასე დაირხა „ღვთის სავანეში" ვანო სარაჯიშვილის გრძნეული ჩანგი. არ ვიცი, რამდენი მეოცნებე პოეტი, ან პოეტური ბუნებით მადლმოსილი ტომღერალი დაიკვეხნიდა მსგავს რაიმეს.

„მეოცნებე გაირბინი"

ილიას ბრძანებისა არ იყოს, ვანო სარაჯიშვილი „ნადირობის ტრფიალი იყო". ლაღი, მხიარული, მოვარჯიშე და მოცეკვავე, ბუნების წიაღში ის ერთიანად ლაღი ხდებოდა. „სპორტსმენი მსახიობი, ჯომარდი მონადირე"—ასე უწოდებდა ვანოს მონადირეთა კავშირი, რომელსაც ის თავის საპატიო წევრად ჰყავდა აღიარებული.

ნადირობას ვანო განიცდიდა, როგორც ბავშვი ახალ ტან-

საცმელს. წინა ღამეს უძილოდ ატარებდა, ოცნებობდა ბუნების სიმშვენიერეზე, ნერვიულობდა. ძლიერ უყვარდა ძაღლი. თავის საამაყო პარტიის სახელი — „ნადირ“ — დაარქვა ერთ ძაღლს. „ნადირ“ ავად გაუხდა. ვანო ღაძეებს უთევდა, თავზე ხელს არ აშორებდა. გაეცლებოდა თუ არა და... პიროუტყვი ადაიანივით აკვნესდებოდა.

ვანოს „ვულკანური ტემპერამენტი“ აშკარა გამოვლინებას ჰპოულობდა ნადიოობაშიც. თოფშემართული ლადიოდა, დაუმიზნებლად ესროდა. მაინც რიგიანად ახვიდრებდა. და ასეთი ფიცხი მონადირე — გიჟმაჟი ვანო, უცებ გააგდებდა ხოლმე თოფს, სადმე ხის ძირას მიჯდებოდა და ხელდაჭდობილი გასცქეროდა უსაზღვრო სივრცეს.

— რა მოუვიდა ამ კაცს ასე უცებ? — უკვირდათ მონადირეებს.

— მეოცნებე ბაირონი, ცოცხალი ბაირონი! ეხუმრებოდა ვანოს მისი მეგობარი ლეონ ისეკი.

— რა სიწყნარეა, რა მშვენიერი სურათია. აი, ეს დიადი წამი არასოდეს არ დაბრუნდება. თქვენ კი... არაფერს არა ჭვრძნობთ. ნუ გეშინიათ, სისხლის ღვრას მერეც ბოესწრებით—,უპასუხებდა მათ ვანო და კვლავ ოცნებას მიეცემოდა. ისეკიც თოფს დასდებდა ხოლმე და მეგობართან ჩამოჯდებოდა. მის გულშიაც იღვრებოდა სიმშვიდე და იდუმალება.

„ფაუსტი“ ჟარაიას ტყეში

ერთხელ ვანოსა და ლეონ ისეკის ტყეში საეკვო ცხენოსნები წეხვდნენ. მოსლოდნელი იყო გაძარცვა და მკკლელობაც კი. მაშინ იმ მიდამოებში თოფებზეც „ნადირობდნენ“.

— მე ვანო სარაჯიშვილი ვარ, ეს კი ჩემი მეგობარია. — უთხრა მათ ვანომ და უფრო ზაგრად ჩასჭიდა თოფს ხელი, საბედისწერო წებისათვის მოეიზადა. ისეკიმ გავლენიანი ადამიანი – სამედ შიხლინსკი ასსენა — მისი სტუნრები ვართო. სამედი მეტყევე იყო, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდა. ხოგ მაგგანს გაგონილი ჰქონიყო—ვინ იყო ვანო, სწრაფად ცხენები მიაგებეს. ისეკი და ვანო უნებურად გაგზავრხენ სამედისას. ესენიც გაჰყვნენ. სამედის სიხარულს



მომღერალი ლეონიდ სობინოვი

ნინო პლატონის-ასული ქიქოძე
(ვ. სარაჯიშვილის მეუღლე)

საზღვარი არ ჰქონდა. ცხვარი დაჰკლა, ფლავი მოხარშა, ზესაფერი სუფრა გაუშალა.

— გვიმღეროს ჩვენმა აშულმა, — მორიდებით შესთხოვეს სამედს. ვანომ ისეცკის გადაჰხედა. ისეცკი შეიშმუშნა, მაგრამ ვანო ნაბადს სწვდა და მეგობარს ესროლა.

— ჰა, მოსასიამი! მე ფაუსტი ვარ, შენ — მეფისტოფელი. აბა, შენებურად წამოისხი და გამომეცხადე.

ისეცკიმ სიტყვის შებრუნებაც კი ვერ მოასწრო, ვანომ ხელი ჰკრა და მიწურიდან გააგდო:

— მალე, მალე!

ტყის მყუდროება ფაუსტის არიამ დაარღვია. გაათავა ვანომ სიმღერა და აგრიალდა ისეცკის ბანიც:

— მეც აქ ვარ მუდამ თქვენს სამსახურად...

გუნოს ოპერა „ფაუსტის“ პირველი სურათი ჩინებულად ჩატარდა. შემდეგ ვანომ აზერბაიჯანულადაც შემოსძახა და მთლად მოაჯადოვა თავისი აუდიტორია. ვანო და ლეონ ისეცკი ზეიმით გააცილეს სადგურამდე. მაგრამ სადგურის მოსაცდელ დარბაზშიაც ძალად ამღერებდა ვანო ისეცკის. რა თქმა უნდა არც თითონ რჩებოდა ვალში. მატარებლის მომლოდინე აზერბაიჯანელი გლეხები ცრემლმორეულნი უსმენდნენ ვანოს. ჩვენი ჰანგების ასეთი შესრულება, მხოლოდ ალაჰის კაცს შეუძლიაო. ერთხელ მეკობრეებმა განგებ აძაგეს ვანოს სიმღერა. კინალამ ჩხუბი გაიმართა.

ბრილოგა

ხოხბებზე ნადირობდნენ. მაღალ ჩალაკალამში მოუთმენლად მიიკვლევდა გზას სულგატრუნული ვანო. ვერც კი მოასწრო ფრინველმა რიგიანად ფრთის გაშლა, რომ ზედიზედ გავარდა ვანოს თოფი.

— თავს დაგვესხნენ, დამჭრეს! — გაისმა შორიახლო, ვანოს მეგობრის, ბელიკოვის ხმა.

ვანოს მიერ გასროლილი თოფი ბელიკოვს სახეში მოხვედროდა. ერთი კბილი სისხლიანად გამოაფურთხა; რამდენიმე

საფანტი იქვე ამოუღეს. ერთი ცალი წარბს ზემოდ ჩარჩა. ვანომ თოფი გააგდო.

— არ მინდა ნადირობა, წამიყვანეთ შინ, თავს მოვიკლავ! ძლივს დააწყნარეს.

* * *

ლეონ ისეიკიმ კარგად ვერ ამიხსნა სად ცხოვრობდა ვიქტორ ბელიკოვი. ბევრი ხეტიალის შემდეგ მაინც მივაგენი. მოხუცი ღიმილით შემეგება. ვანო ვახსენე. მოიღუშა. თვალი აუწყლიანდა.

— არ მახსოვს... ვანოს ვამშვიდებდი, მეცოდებოდა. დიახ, ჭრილობა ვიგრძენი მაშინ, როდესაც უკანასკნელად მივართვი თაიგული და მისი კუბო ავწიე. თეორმე მართლაც ღრმად დავუჭრივარ ჩემს ძვირფას ვანოს. დავუჭრივარ სამუდამოდ, უკურნებელად...

ვიქტორ ბელიკოვს წარბს ზემოთ პაწია ბურთულა აზის.

— ეს ვანოს საფანტი გახლავთ.

— და მერე, რა უნდა ამის ამოღებას?—უთხარი მე.

— ვერა... თან მიმაქვს.

ფრთხილად მოვუსვი წარბზე თითი. ტყვიის მარცვალი ასრიალდა. ეკალი ამესხა ტანზე. თითქოს გაძნელდა სუნთქვა, ვეღარ გავძელი. მასპინძელს დავემშვიდობე და ქუჩაში გავჩნდი. მივიჩქაროდი. „თან მიმაქვს“ ჰიწიოდა ისევ ყურებში.

ალმოდებული განთიადი

ერთი ამერიკული ფირმის წარმომადგენელმა ვანოს ვახშამი გაუმართა. რიჟრაჟზე ეტლით ბრუნდებოდნენ. ელბაქიძის დაღმართზე მტრედისფერ აღმოსავლეთს შეავლო თვალი.

ზეცა ყოველ წამს იცვლიდა ფერს. ლურჯად მოშვილდულ მტკვარს მეწამული შემოჰპარვოდა, იისფერ ღრუბელს ოქროდ ნაფერი ჰქონდა გვერდი. მზეს ამოეწვერა.

ვანო ღიმილით გასცქეროდა მშვენიერ აისს. მომღერალ — პოეტის სულსაც ალი მოედო. უცებ თვალი მილულა, ყელი მოიღერა და წინ წასწია მკერდი:

მთაო გადმიშვი, გადმიშვი,
რა ნისლი მოგიხვევია...

მთელი ძალღონით გადასძახა მშობლიურ თბილისს. ხალხი გარეულ გამოეფინა, თვალებს იფშვნეტდნენ, აივნებზე ტაში გაისმა.

— ზიანს ჩოგაყენებს, ვანო.

მორიდებულად ჰკადრეს მეგობრებმა:

— რომ მომკლას, სხვა გზა არა მაქვს! შემდეგ ღიმილით დასძინა:—ნუ გეშინიათ, მე ბუნებრივი ხმა მაქვს!

მამღერეთ ჩემთვის

ვანო ხშირად ეწვეოდა ხოლმე აგარაკზე თავის ძმისწულს, პროფესორ პეტრე სარაჯიშვილს. ეს მაღალნიჭიერი ნათესავი ძლიერ უყვარდა. მშვენიერი საღამო იყო. ბორჯომის ხეობა გაზაფხულის სურნელით სთვლემდა. ჩქამი არ ისმოდა, ოღონდ იქვე პაწია ნაკადული მოჟღურტულებდა. ვანომ ფი ხი დაუწყო; ახლა უფრო სასიამოვნოდ ჟღერდა აცელქებული წყალვარდნილი. ოთახის ფანჯრები გააღო და კაშეკარო ის „სიჩუმე“ დააკვრევინა. ეზოში გავიდა, საქანელაში მოიკალათა და კრინით შეასრულა ეს განთქმული რომანსი. (თხოვეს, ოთახში იმღერეო. უარი სთქვა:

— ნიადაგ სხვებისთვის ვმღერი, ზოგჯერ მეც მინდა ხოლმე ვუსმინო ჩემს თავს. მამღერეთ ჩემთვის!

ურმული და ნოტები?...

„ურმულის“ შესრულებას ვანოს ყოველ კონცერტში სთხოვდნენ. ხშირად უაკომპანემენტოდ ასრულებდა, ისე როგორც თვით ხალხი მღერის ხოლმე. ერთხელ, შემუშავებული „ურმულის“ შესრულება მოუხდა. საზოგადოება მქუ არე ტაშით შეხვდა, მაგრამ თითონ უკმაყოფილო დარჩა თავისი ნამღერით.

— ბის, ბის!—ისმოდა დარბაზიდან.

კულისებში ნაკუწ-ნაკუწად აქცია ნოტები და კუთხეში მიჰკარა.

— აქლემი და გალია? —ურმული და ნოტები?

სცენაზე გაიჭრა და ხალხური „ურმული“ შემოსძახა. უფრო მეტი ტაში ასტეხა.

ვანო სტუმრად იყო კახეთში ნათესავთან. აივანზე სუფრას უსხდნენ. შორს ალაზნის მშვენიერი ველი მოსჩანდა. „მეოცნეტე ბაირონი“ მოჯადოებულივით ადგა და არემარე მოათვალიერა. ცოტა ხანის შემდეგ შორიდან ბისი „ურმული“ მოისმა. დამატკბობელი ჰანგი მშობლიურ მიდამოს მოეფინა.

დამსწრემ მიამბო:

— როდესაც ვანოს სიმღერა შემომესმა მიწის სუნი ვიგრძენი, მომეჩვენა, რომ ვანო თვით ბუნების ნაწილი იყო — ხის, ბალახისა, წინ გაშლილი მინდორ—ველისა და ვანო კი არა, არამედ მთელი მთა-ბარი მღეროდა.

რაოდენ გრძნობას აღძრავს ჩვენში ეს შეუთითხნავი დახასიათება?

ჯადოსანი მკურნალი

...და ეს „მიწის სუნი“ —მშობლიური ჰანგის მომაჯადოებელი ღაღადისი, მკურნავ მალამოდ იღვრებოდა ქართველი ადამიანის სულსა და გულში.

დრამატურგ აქვსენტი ცაგარლის ძმას, ივანეს (გარდ. 1927 წ.) თავდავიწყებით უყვარდა ვანოს „ურმული“. ერთხელ უქეიფოდ გახდა, დიდხანს ვერ აართვა ლოგინს თავი. სწუხდა შეოთაედა.

— ალბათ არ იცის ჩემმა ვანომ, რომ ავად ვარ. თორემ მნახავდა. აკი მისი „ურმული“ მე ყოველ ექიმზე უკეთ მკურნავს! .

ამ ფიქრში იყო, ნაღვლიანი. ამ დროს, შორიდან ვანოს ხმა შემოესმა. ზეზე წამოხტა, მაგრამ მოკვეთილივით დაეშვა ისევ. ვანო მეზობლად ეგონა. მაგრამ ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მალე კარები გაიღო და ხელგაშლილი ვანო „ურმულით“ შევიდა მეგობართან.

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო, არ ვიცოდი თუ ავად მყავდი. დღეს გ ვიგე და მოუთმენლად მოგაშურე.

სუფრა გაშალეს. ვანომ იუარა და იქვე ლოგინთან მოატანინა პურ-მარილი.

სულიერად განკურნებულ მეგობრის სასთუმალთან დიდხანს იყო მბიარულება.

ამ ამბავს მთელს ევროპას მოვსდებ

იტალიელი ტენორი ემილიო ვაგი თბილისს ეწვია საგასტროლოდ (მემდეგ ის აქვე დარჩა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა). ოპერა „ტოსკაში“ გადასწყვიტა პირველი გამოსელა. აქაური მომღერლები იკითხა. ვანოს ამბავი უთხრეს. შეკრთა. სპექტაკლის დღეს ვანო ადრევე წავიდა თეატრში. სტუმარს გაეცნო და მკაცრი ხელოვანის თვალით შეამოწმა.

— ბატონო ვაგი, მე არ გაგიშვებთ თქვენ ამ სახით სცენაზე. ტანისამოსი არ გადგიათ. მბატკარი კავარადოსი და ასეთი?

— მართალსა ბრძანებთ. ვერ მოვასწარ რკინიგზიდან ბარგის მიღება, სადაც საკუთარი კოსტიუმი მაქვს. ეს თეატრისა გახლავთ, არ გამომადგა...

— არა უშავს რა, ჩემსას მოგართმევთ. თქვენ მშვიდათ უნდა ბრძანდებოდეთ. მეც გამომიცდია უცხო სცენა თქვენს სამშობლოში.

ვანომ საკუთარი კოსტიუმით მორთო ვაგი, ახედ დაჰხედა და უთხრა:

— ახლა კი პარტერში გეახლებით და ყურს დაგიგდებთ.

იტალიელი მომღერალი განაცვიფრა კონკურენტის ასეთმა საქციელმა. თითქოს უნდა გაჰბარებოდა ჩემი მარცხი. პირიქით ხელი შემიწყო, გამამხნევა. ჩვენში მომღერლები ერთმანეთს სჭამენ. ამ ამბავს მთელს ევროპას მოვსდებო—ამბობდა ვანოს კეთილშობილებით მოხიბლული სტუმარი.

ემილიო ვაგი ვანოს განუყრელი მეგობარი გახდა, ვერ სცილდებოდა. ვანოს მიბაძვით მანაც ჟღალი ქუდის ტარება დაიწყო. მაშინ ოსტატებს უბრალოდ ეუბნებოდნენ—სარაჯიშვილის ქუდი შემიკერეო.

უბადრუკი ბლიქვნელი

ვანომ არ იცოდა შური და მტრობა, არც სცენაზე, არც ცხოვ-ებაში. პირიქით, საკუთარ თავს მუდამ ეპვის თვალით

უყურებდა, რიგიანად არც უფრთხილდებოდა. შინაურები ეუბნებოდნენ: შენ ისე იქცევი, თითქოს ბუნებას ეუბნები — ჰა, წაიღე უკან რაც მოგიცია, არ მჭირდებაო.

ვანო რაინდული სულისკვეთების ადამიანი იყო, სამართლიანი, პირდაპირი. ღირსეულს მუდამ თავისას მიუზღავდა პირშიაც და ზურგს უკანაც. თბილისის ოპერის დასში ვანოსთან ერთად მღეროდა ერთი მდარე ტენორი კ—ი. ის ლეკვივით აეკვიატებოდა ხოლმე ვანოს და გულს უწვრილებდა ქება-დიდებით. იმ ხანად თბილისს ეწვია განთქმული დრამატიული ტენორი ი. ს. კიპორენკო-დომანსკი.

— რა საჭირო იყო მისი ჩამოსვლა, როდესაც ჩვენ აქა ვართ! მედიდურად უთხრა კ—მა ვანოს. ეს „ჩვენ“ ეკალივით დაესო ვანოს გულზე. მის თვალებში ალი ავარდა. ზიზღით გადაჰხედა მლიქვნელს და უხმოდ გაშორდა.

— სად კიპორენკო-დომანსკი, სად ეგ! ძლივს შეეკავე თავი. რომ სილა არ ვსტკიცე ამ უბადრუკ წრიპინასაო! — ხშირად იგონებდა ვანო ამ ამბავს.

ბოლმა დამახრჩობს

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ვანოს ერთმა მდიდარმა ანტრეპრენიორმა მოუსმინა. მან წინადადება მისცა მას გაჰყოლოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში საგასტროლოდ. ყოველგვარ ხარჯებს კისრულობდა, დიდი სიმდიდრეც აღუთქვა. ვანომ გადაჭრით უარი უთხრა. მამინ ანტრეპრენიორმა ვანოს უფროს ძმას — ანდროს მიმართა: — 50 ათას მანეთს შევიტანდ წინდაწინ ვის სახელზედაც გნებავთ, ოღონდ გაბომყვეს საგასტროლოდ. ვერაფითარი გავლენა ვერ მოახდინეს.

— ბოლმა დამახრჩობს, სად უნდა ვიხეტიალო? ხომ იცით, რომ დიდ ხანს ვერ ვძლებ სამშობლოს გარედ. არაფერი არ მინდა მისი. ჩამომეხსენით, ვიდრე გარედ არ გავისტუმრებ...

თუ ცოცხალია, იქნებ ახლაც უკვირს ეს ამბავი პატივცემულ ანტრეპრენიორს.

მაგრამ მსგავსი რამ ბევრ სხვასაც უკვირდა. თავის „მემუარებში“ იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს ერთ ევროპელ

ინტელიგენტთან საუბარს ბაქოში, ვანოს კონცერტის დროს:

— მართლა ქართველია ეს მომღერალი?, — უკითხავს უცხოელს ი. მანსვეტაშვილისათვის, — მთელი ქვეყანა მომივლია და უნდა გამოვტყდე, ასეთი მომაიბეველი ტემბრის ხმა არსად მსმენია. გასაოცარ ხმასთან ერთად სიმღერის ტექნიკაც დიდი აქვს. მიკვირს, რად დამჯდარა შინ და საზღვაოგარეულ არ მოგზაურობსო. შემდეგ თურმე ეს უცხო ადამიანი თავის მეგობარს მიუბრუნდა და უთხრა:

— კოლოსალ!

მაგრამ რაღა ეს? აკი დიდი რუსი მომღერალი შალიაპინი პირდაპირ მთელს სცენებს უმართავდა ხოლმე ვანოს იტალიაში—რას ჩასაიებიხარ ამ თბილისს ასეთი შესანიშნავი ხმისა და ნიჭის პატრონიო.

კოლოსალ მომღერალს—ვანო სარაჯიშვილს სამშობლოსთვის უძგერდა გული. იმათ კი ეს არ ესმოდათ, რადგან... სადაც ოქრო იყო, სამშობლოსაც იქ პოულობდნენ.

კაკლის ქვეშეროზე

ვანო სარაჯიშვილს არ უყვარდა უშნოდ მოწყობილი ღრეობა და უსასრულო ღვინის სმა, მაგრამ წესიერ ქართულ სუფრას არ გაექცეოდა. სიცოცხლეს, ხალისს, პოეზიას შეეტანდა შიგ. სადღეგრძელოსაც კარგს იტყოდა და ღვინოსაც რიგზე მოულხენდა.

ერთხელ თბილისის „ქართულ კლუბში“ დიდი საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ბევრი ამღერეს ვანო. კონცერტის შემდეგ სუფრასთან მიიწვია მისმა ყოფილმა მასწავლებელმა პეტრე მირიანიშვილმა. განთიადი ახლოვდებოდა. პეტრე შინ გაიმგზავრა, ახალგაზრდები ბაღში დარჩნენ. ვანომ სურვილი გამოსთქვა ლხინი ვერის ბაღებში გაგრძელებულიყო. ცოტა ხნის შემდეგ რესტორან „ფანტაზიას“ ეწვივნენ.

საამო და წარმტაცი იყო ეს ბაღები, მეტადრე გათენების ჟამს. ვანოს პოეტური ბუნება აქ ერთიანად მოიხიბლა. სახელდახელოდ გაშალეს სუფრა კაკლის ხის ქვეშ. იქვე გაჩნდა. მეზურნე ზუბიაშვილი თავისი დასტით. ლხინი გაჩაღდა. ირიეერაჟა. პეშვით მიმობნეულ ბრილიანტივით აბჟუვრიალდა

ბალახში ცვარი. ვანომ მომცრო ტანის ზუბიაშვილს ხელი დასტაცა.

— აპა, ბიჭებო. მეზურნეები ხეზე შევსვათ!

ყიჟინით მიესივნენ და ეოთი წუთის შემდეგ დაბურვილ კაკლის ტოტებში საარი აეღერდა. ვანო სადღაც წავიდა, ყურადღება არ მიაქციეს...

— არალო, არიალალოო...

შემოესმათ მისი სიმღერა. თითქოს ზეცის ტატნობიდან მოფრინავდნენ ჯადო ბგერები. ერუანტელის მომგვრელი ხმა „ოქროს სოლოვითო" მოაპობდა ზეცის კაბადონს.

— ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო...

მზის სხივებში გახვეული ვანო კაკლის კენწეროს მოვლებოდა. ცალი ხელი ტოტისათვის ჩაეგლო, მეორე წინ გაეწვდინა და გულმკერდიც გადაეზიდნა — სამშობლოს „ურმულს" უგალობდა. თავბრუ დაესხათ. სიმღერის დამთავრების შემდეგ ნერწყვი მოიბრუნეს და ვანოს რევოლვერების ზალპით უპასუხეს. მახლობელ გზაზე გლეხებმა ჩამოიარეს. სუფრას ეწვივნენ და თავიანთი პურმარილი შესთავაზეს. ისინი გაოცებულნი შესცქეროდნენ კაკლის კენწეროზე „ურმულის" მთქმელს.

რად მიღუპავ სამშობლოს?

ზამთარი იყო. თოვდა. შუაღამე გადასულიყო. მსახიობი ვალერიან გუნია შინ ბრუნდებოდა. მეგობრები მოაცილებდნენ. ელბაქიძის დაღმართთან რესტორან „გემოდან" ვანო სარაჯიშვილი ამოვიდა. ევახშმა, შეგვიანებიყო. ვალ. გუნიამ გზა გადაუღობა, მკერდში ჩაიკრა და ჩაკოცნა.

— ვანო, სამშობლოს რად მიღუპავ... რა გინდა აქამდე აქ?!

— თავს შემოჯევლე ჩემს სამშობლოს, განა რას წარმოვადგენ, რომ...

აი, ესოდენ დიდი ეროვნული შეგნება ჰქონდა ვალ. გუნიას და ასე მოკრძალებული იყო ვანო სარაჯიშვილი, რომლის ჯანმრთელობას სამშობლოს ბედნიერებად სთვლიდა ქართველი ერი.

ვანო სარაჯიშვილი — აბესალომი
(ოპ. „აბესალომ და ეთერი“)

მომღერალი მიხ. ნანობაშვილი (მიშელ დარიალი)

ჩვენი ახალგაზრდობა თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს სახელოვან ადამიანებს. მათი სიცოცხლე — ერუანული საგანძურია. ზოგჯერ... ამ სახელოვანთაც ჰმართებთ ხოლმე მოკრძალებაც და თავშეკავებაც სამმობლოს პატივისცემისათვის.

განრიდებული მომღერალი

მწერალ ნინო ნაკაშიძის და, 1900-იან წლებში თბილისის ქალთა ინსტიტუტში სწავლობდა. ნინო ხშირად დადიოდა მის სანახავად. სასწავლებელი მამადავითის მთის კალთებთან მდებარეობდა. ბავშვები უამბობდნენ ნინოს—ჩვენს ყინ, კორდზე, ხშირად გადმოდგება ხოლმე ვიღაც ჭაბუკი და შესანიშნავად მღერისო. და ერთხელ, როცა ნინო თავის დასთან მივიდა, გასაოცარი სიმღერა შეესმა. უკანასკნელ ბგერასთან ერთად მომღერალიც ბულბულივით გაუჩინარდა. მაინც შეიტყეს ვინაობა.

ვანო სარაჯიშვილს რაღაც წარმტაცი, მართლაც მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაკრამ ასლაც ნამდვილ ჟრუანტელს ბგერის ეს ღვთაებრივი სიმღერაო—გვიამბო მხცოვანმა მწერალმა.

სალამური

ვანო სარაჯიშვილმა მშვენიერი ცეკვა იცოდა. ბავშვობაშივე ასწავლა მას მამამ სალამურის ჰაეგზე ლეკური. ეს საკრავი გატაცებით უყვარდა ვანოს. სადაც უნდა ყოფილიყო ლერწამს გააჩენდა და შესანიშნავ სალამურს გაიკეთებდა. მოწაფეობისას ნიადაგ უბით ატარებდა, საკუთარი ფანტაზიით ათასგვარ ჰანგებს სთხზავდა და უკრაედა.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ამბულატორიაში ერთი ხანგადასული გაუთხოვარი ქალი მუშაობდა. იგი მოსწავლე ახალგაზრდობის სასტიკი დაცინვის საგანი გახდა. სკოლის ამხანაგები: ვანო სარაჯიშვილი, ვ. ვაჩნაძე და ნ. ელიოზიშვილი ათასგვარ ლექსებს სთხზავდნენ მის შესახებ და ავრცელებდნენ. აიხანაგების თხოვნით ვანომ აქ თავისი სალამური გამოიყენა. იგი ბივიდოდა ამბულატორიის ფანჯარას-

თან და სალამურს მოიმარჯვებდა. ჯერ დაუკრავდა ხაკუთარი ფანტაზიით შეთხზულ რაღაც უვერტიურის მსგავს შესავალს, ხოლო შემდეგ ლექსს მიაყოლებდა:

გასასყიდად მოიტანეს ხავერდი და ფარჩა,
ყველა ქალი გაგვითხოვდა, მარიამი დარჩა...

ნიკ. ელიოზიშვილმა გვიამბო: ამის შემდეგ გააფთრებული მარიამი გარეულ გამოიპრებოდა და დაგვედევნებოდა. ჩვენი სოლისტი — ვანო მუდამ ახერხებდა თავის დაღწევას, მე კი, რატომღაც მუდამ ხელში უვარდებოდიო [1]).

სალამური ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი თანამგზავრია. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს უძველეს სამარხში ძვლის სალამური იპოვეს. განსვენებული აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა — მწყემსის საფლავი იქნებაო. ძველად, გურია—საძეგრელოში დიდად გავრცელებული იყო 5—6 ლულიანი სალამურის საკრავი-ლარჭემი. ისეთი გასაოცარი დაკვრა სცოდნიათ ლარჭემისა, ბულბულებიც კი შეჰყავდათ თურმე შეცდომაში: თუ სადმე იმ არემარეზე ბულბული იყო ლარჭემის ჰანგს უსათუოდ გამოეხმაურებოდაო. [2]) ქართველმა პოეტებმა სალამურს შესანიშნავი ლექსები უძღვნეს. ჩვენს ეპოქაში სალამური უკან ჩამოდგა, იქნებ იგი სავსებით გაჰქრეს. მუსიკის სიყვარული კი გაათკეცდა, იგი უკვდავია.

მოწაფე ვანოს ეს ოინი, რა თქმა უნდა დასაგმობია, სალამურის ტრფიალი კი—მოსაწონი. სალამურმა გაუღვივა მას ბავშვობაში ჩვენი ხალხური მუსიკის სიყვარული. ეს სიყვარული ისე სპეტაკად ჩაიტანა მან სამარე'ში, როგორც ოდესღაც ქართველი მწყემსისათვის ძვლის სალამური ჩაუტანებიათ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

ვანოს ბორჯომში დასვენება უყვარდა. ერთხელ შინ მარტო დარჩა. მ'ვენიერი საღამო იყო. ნაძვის დაბურულ ტო-

---

[1]) ნიკ. ელიოზიშვილი—მომღერალი, საქ. სსრ დამსახ. არტისტი.

[2]) ქართულ მრავალლულიან სალამურს საუუძვლიანი ნაშრომი მიუძღვნა პატივ. ვ. კ სტეშენკო - კუფტინამ. იხ. მისი „პანის სალამური". საქ. სახელმწ. მუზეუმის გამოცემა. 1936 წ. შ. კ.

ტებიდან მთვარის სხივები ციაგობდნენ მის აივანზე. ნელი ღი-
ღინით შეესიტყვა მშვენიერ სურათს. ფიქრმა გაიტაცა. თითო-
ნაც ვერ შეამჩნია, როგორ გაძლიერდა ეს ღიღინი და მიდამოს
მისი წარმტაცი სიმღერა მოეფინა. გამოერკვა მხოლოდ მაშინ,
სახლის წინ ტაში რომ გაისმა და აივანზე ყვავილები გად-
მოცვივდა.

ივანანა

ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა ვანოს, ივანე თურქია, ხში-
რად ეწვეოდა ხოლმე მას სტუმრად. იმ დღესაც ჩვეულებრივ
მასლაათობდნენ, მაგრამ მასპინძლის პაწია ასული ზომაზე
მეტად გაჭირვეულდა. აკვანიც ბევრი ურწია დედამ, ბევრი
ეალერსა კიდევაც. მაგრამ, ამაოდ—ბავშვი სულმოუთქმელად
ტიროდა.

ვანო აკვანს მიუჯდა, ბავშვს გაეთამაშა და ნანა დაუწყო.
ტირილი თანდათან დაცხრა. ყმაწვილმა თვალი შეაშტერა
მოღუღუნე ძიას, გაუღიმა და მალე ხმა გაკმინდა. ღვთაებრივ
ჰანგში ჩაიფერფლა მისი ღიმილი, წამწამი ნეტარებით დაე-
ფარა მილულულ თვალს და ჩაეძინა.

— იცოდეს მაინც ამ კუდრაჭამ ვინ უგალობა. ეჰ, ჩვენ
მიედივართ, ეს კი მოდის. ვინ მოაგონებს?—გულდაწყვეტით
წარმოსთქვა ვანომ და აკვანს მოშორდა.

ფატმან თურქია ახლა ექიმია. ის სიამაყით იგონებს
მშობლების ნაამბობს, მაგრამ... გული ეთუთქება, რომ თავისი
ბულბული არ ახსოვს.

ვილლი ჩეზე

დიდი პატრიოტი ვანო სარაჯიშვილი, ამავე დროს დიდი
ჰუმანური სულისკვეთების ადამიანი იყო. სამართლიანობისა
და ადამიანური ღირსების დასაცავად მისთვის არ არსებობდა
უცხო ტომობა. აი, თუნდაც ერთი ფაქტი ამის ნათელსაყო-
ფად:

ეს ამბავი მოხდა 1909 წლის სეზონში, ვანოს პეტერ-
ბურგში ყოფნის დროს. სპორტის მოყვარული ვანო, ვ. ი. ყან-
ჩელთან და სხვა ქართველ მეგობრებთან ერთად, თავისუფალ

დროს ესწრებოდა ფრანგულ ჭიდაობას „მანეჟში“, სადაც განთქმული ფალავნები გამოდიოდნენ. მათ შორის იყო შესანიშნავი ადამიანი, ზანგი ვილლი ჩეზე. ის ძლიერ უყვარდა ვანოს. ჭიდაობის გარდა ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სპორტული გართობანი, მათ შორის „სკეტინგ რინგიც“. იმ დღეს მაყურებელთა შორის ვილლი ჩეზეც იყო. ის ვანოსთან იდგა. გულუბრყვილო ზანგი ღიმილით ადევნებდა თვალს ვირტუოზ ოსტატთა ფიგურულ სრიალს გორგოლაჭებით. ვილლი ჩეზეს ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი მიუახლოვდა. მათში ერთი ზოობა ტანისა ერია. მან აბუჩად აიგდო ზანგი: საჯაროდ დასცინოდა, „შავ მაიმუნს“ ეძახდა და უროსავით შეკრული მუშტი მის საყესთან მიჰკონდა.

ვანო სარაჯიშვილს ცეცხლი შემოენთო. ის მიიწევდა ვილლი ჩეზეს დასახმარებლად და მზად იყო შებმოდა მოწინააღმდეგეს, მიუხედავად იმისა, რომ ის გოლიათსა ჰგავდა. მეკობრეები ამშვიდებდნენ და აკავებდნენ ვანოს. უცობმა ზანგს შემოჰკრა. ვილლი ჩეზემ არ უპასუხა, მაგრამ როდესაც მეორედ მოუნდომეს ხელის შებრუნება, ისე მოხდენილად შემოჰკრა, რომ გოლიათმა ზღარბანი მოიღო მიწაზე.

ალიაქოთი ატყდა. პოლიციამ საქმის გამოუძიებლად მოისურვა ზანგის დაპატიმრება. საქმეში ვანო ჩაერია. მისი გულმოდგინე გამოსარჩლებით საპოლიციო უბანში ნამდვილი დამბაშავენიც წაიყვანეს. იქ ვანომ თავგამოდებით დაიცვა ზანგი. ვილლი ჩეზე გაათავისუფლეს. ის „გოლიათი“ და ჰისი ამალა კი დააპატიჟრეს. გამოირკვა, რომ ისინი გერმანელები იყვნენ და „იუნკერსი და კომპ.“ ბანკში მსახურობდნენ.

„არიული რასის“ წარმომადგენელნი ვერ ითმენდნენ ზანგს თავიანთ გვერდით. ამჯერად არ გაუვიდათ. ამაში, უწინარეს ყოვლისა, ვანო სარაჯიშვილს ედო წილი.

რამ გაწუწა ხალხი?

თბილისის ერთ ბაღში ვანო ჩეგობრულ სუფრასთან იჯდა. სწრაფად დაიკავეს მის ირგვლივ თავისუფალი ადგილები. თითქო მშვენიერი ამინდი იყო. ცოტა ხნის შემდეგ კი, ფოთლებზე ზაფხულის წვიმის წვეთები ახმაურდა. ხალხი შეიშმუ-

შნა; ბევრმა ხის ძირისაკენ მისწია თავისი მაგიდა. მაგრამ ტოტებმა ყველა ვერ შეიფარა, წვიმა წამოვიდა. აფორიაქ-დნენ. ამ დროს ვანოს კრინი გაისმა. გაქვავდნენ. ხალხი გაიწუწა.

ძუჩის მოგზეერალი

იტალიაში ყოფნის დროს ვანო ვენეციას ეწვია. ნიკო ყანჩელთან ერთად ამ წარმტაც ქალაქს ათვალიერებდა. უცებ ქუჩაში მშვენიერი სიმღერა გაისმა, ვანომ ყურები სცქვიტა, მოგზერალს ძებნა დაუწყო. მოსახვევში ჩამოძონძილი ჭაბუკი იდგა; ის შესანიშნავად ასრულებდა არიებს იტალიური ოპერებიდან. ვანოს ცრემლი მოერია, აღელვებული მიეჭრა მოგზერალს და მაგრად ხელი ჩამოართვა. ხალხი შეიკრიბა. უკვირდათ ეს ამბავი. ვანო შეკრთა, შეუმჩნევლად მიაჩეჩა მათხოვარს თავისი თანხის ნახევარი, რაც უცხოეთში მყოფ ხელმოკლე კაცის მთელი თვის საზრდოს შეადგენდა.

— გარეგნობით მათხოვარია, სულით კი ხელოვანი, ვაი მას, ვინც გარეგნობით „ხელოვანია" და სულით მართლა მათხოვარი!—ეუბნებოდა გაფითრებული ვანო ნიკო ყანჩელს და უკან რჩებოდა თვალი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

მილანოს „ლა სკალაში" ვანო სარაჯიშვილის დებიუტი დაინიშნა. მსოფლიოში განთქმული ოპერის თეატრში ვანოს უმკაცრესი გამოცდა უნდა ჩაებარებინა. შესანიშნავი ხმის, მუსიკალობისა და სიმღერის ოსტატობის გარდა აქ წარმატების ბედს სწყვეტდნენ კლაკერები—პროფესიული რეკლამიორები, რომლებიც სპექტაკლის მსვლელობის დროს სათანადო განწყობილებას ჰქმნიდნენ მაყურებლებში: დადებითს — თუ მოიქრთამავდა მსახიობი, უარყოფითს — თუ უარყოფდა მათ წინადადებას. ვანოსაც ეწვივნენ, დახმარება აღუთქვეს და ფული სთხოვეს. ვანომ გარედ გაჰყარა ისინი. დაემუქრნენ—ისეთ სტვენას აგიტეხთ, მეორე დღესვე აიბარგო იტალიიდანო. ფარდა აიწია. ვეებერთელა დარბაზში აქა-იქ საეკვო ხითხითი და ჩოჩქოლი ატყდა. ვანო ბეწვის ხიდზე იდგა, წონას-

წორობა მაინც არ დაჰკარგა და გაბედულად დაიწყო პარტია. ქვედრული სიჩუმე ჩამოვარდა. სულგანაბულნი უსმენდნენ წარმტაცი ხმით დაჯილდოებულ ჭაბუკს. ტაშმა იფეთქა. ალვირახსნილი კლაკერები განიარაღებულნი აღმოჩნდნენ. ისინი ნერწყვგამშრალნი ისხდნენ და სხვებთან ერთად გულწრფელად ტაშს.

კავკასიელი ბულბული

ვიცის ოპერის თეატრში „კარმენი" მიდიოდა. დარბაზი გაჭედილი იყო. დონ-ხოზეს პარტიას ვიღაც უცნობი მომღერალი ასრულებდა და ამას მოეზიდნა საზოგადოება. სპექტაკლი დაიწყო. სცენაზე ტანწერწეტა, ბრინჯაოსფერი ჭაბუკი შემოიჭრა და წამსვე მოჰხიბლა საზოგადოება. შესანიშნავი ხმა, ხალასი ტემპერამენტი და მუსიკალობა უდიდეს ძალას ანიჭებდნენ იმის დონ-ხოზეს.

ეპოზიკვლო მღელვარებით ჩაატარა მეორე აქტი. დარბაზში ტაშმა იგრიალა. ანტრაქტის დროს ვიღაც კულისებში შეიჭრა. უცნობ მსახიობს გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— მაპატიეთ... თეატრალური ეთიკა დავარღვიე. მე რუსი ეროვალი კუპრინი ვარ. გეთაყვათ, რა ტომისა ბრძანდებით თქვენ?!

— ქართველი გახლავართ, სარაჯიშვილი. ღირსი არა ვარ თქვენი ყურადღების,—მორიდებით მიუგო ვანომ.

— ქართველი, კავკასიელი ბულბული! მე კი მეგონა, რომ თქვენ რომელიმე... თქვენ სწორუპოვარ გავლენას ახდენთ. რა შესანიშნავი ხმა გაქვთ!

ვანო და კუპრინი დამეგობრდნენ.

ოჯრი „ურმული"

სოფ. ტყვიაკში ვანოს ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა. ნაფხულში ვანო მას სტუმრად ეწვია. ცხელოდა. ვანო მახლობელ მდინარეში საბანაოდ გაიქცა. გაგრილდა, გული იჯერა და იქვე ბუჩქნარში შიშველი მიწვა. ბუნებამ მოჰხიბლა, ყელზე ჰალახი მოესალბუნა და გული აუძგერა. ბაგეს უნებურად აღმოხდა „ურმული". ნელის ხმით ღიღინებდა—შიშველი იყო,

ერიდებოდა. კრინი მაინც შორს გასწვდა. ბიჭებმა ყურები სცქვიტეს, მომღერალს ძებნა დაუწყეს. იპოვეს და მოშორებით დასხდნენ, სმენად გადაიქცნენ.

ვერც კი მოასწრო ვანომ სიმღერის დამთავრება, რომ საპასუხო „ურმული“ მოესმა. წამსვე წამოხტა, ტანზე ჩაიცვა.

— აი, ძმობილო, ენგრე უნდა, ლაზათიანად. ძიან დაბალი ხმით ამბობდი, ბიჭო!—უთხრა ვაჟკაცმა გლეხმა და კოხტა ქუდი გვერდზე მოიგდო.

— მაშ, თუ ენგრეა, ბიჭებო და... ღიმგადაკრულმა ვანომ მთელის გულმკერდით შემოსძახა ისევ „ურმული“.

— ამას დახე... ე, რა ყოფილა, კაცოო!

ვანო იქვე გაეცნო თავის სტუმრებს, შინ წაიყვანა და მამაპაპურად გაუმასპინძლდა. გლეხებმა ბევრი დარბაისლური სიმღერა სთქვეს ვანოსთან ერთად.

უცხო სტუმარი

1904 წლის ზამთარი იყო. პეტერბურგს ნისლი ჩამოაწვა. სუსხი ძვალში შეიჭრა. ქართველ სტუდენტებს ტყვიასავით გაუხდათ გული. მშობლიური ცა მოაგონდათ ვარსკვლავებით მოჭედილი. დავით აკოფაშვილმა და მისმა მეგობრებმა ერთ დიდ კლუბს მიაშურეს. იქ ლამობდნენ თავის გართობას.

კლუბის გაბრწყინვებულ დარბაზებში სიცოცხლე სდუღდა: ერთგან ბანქოს თამაში გაეჩაღებინათ და ფულის ზვინი ხან ჰქრებოდა, ხან იზრდებოდა. ლურჯ მაუდს ნაირფერი ნეშო ათოვდა: შეეუჩდებოდა; შემდეგ თითქოს ქარმა დაუბერაო, ყველაფერი აღიგვებოდა და შიშველტოტება ხეებივით გარს ეხვევნენ მოთამაშენი. მეორე ოთახში, ბილიარდის მაგიდებზე სპილოს ძვლის ბურთულები დანავარდობდნენ. სამკითხველოში, თითქოს ამ ქვეყანას განრიდებიანო, ფერმკრთალი ადამიანები გაზეთის ფურცლებს ჩასცქეროდნენ: დროგამოშვებით სათვალეს იხსნიდნენ, მინებსა სწმენდნენ და კვლავ სულგანაბულნი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს. საკონცერტო დარბაზიდან ყრუდ ისმოდა ფორტეპიანოს აკორდები. ყველაზე მეტი სიცხოველე ბანქოს სათამაშო ოთახში იყო. ქართველი სტუდენტებიც აქ შევიდნენ.

„Восторгом весь обьятый
У пальмы я стоял...“

გაისმა უცებ მთელს კლუბში. ვიღაც გასაოცარი ლირიკული ტენორის მქონე მომღერალი ნადირის არიას ასრულებდა. ყველამ ყურები სცქვიტა. აფორიაქდნენ. დაავიწყდათ წაგებ-მოგება, დაჰყარეს გაზეთები, ზურგი შეაქციეს ბილიარდსაც. ხალხმა საკონცერტო დარბაზს მიაშურა. არია დამთავრდა. მქუხარე ტაშით დააჯილდოეს შესანიშნავი მომღერალი.

— ბის! ბის! გაისმა ყოველი მხრიდან.

— რა მშვენიერი ჭაბუკია, რა შესანიშნავი ხმა აქვს.

— ქართველია... სარაჯიშვილი, ვანო სარაჯიშვილი! აშრიალდა ყველას ბაგეზე.

დავით აკოფაშვილს და მის მეგობრებს გაგებული ჰქონდათ, რომ პეტერბურგში დიდი ხანია მეცადინეობს მათი თანამემამულე ვანო სარაჯიშვილი, რომელსაც შესანიშნავი ხმა აქვს. გულით უნდოდათ მისი გაცნობა, მაგრამ აქამდე ვერ მოახერხეს. განსაკუთრებით დ. აკოფაშვილს აინტერესებდა ეს ამბავი, რადგან თითონაც ხმას იყენებდა. გაეცნენ, წამსვე დამეგობრდნენ და დიდხანსაც ისაუბრეს. ვანომ თავისი მეგობრები გააცნო ქუთათურებს.

— კლუბში შემოვედით. რაღაც ეშმაკად ნადირის არია აღმოჩნდა და ვერ მოვითმინე. არა თუმცა ამათი ბრალიცაა, არ მომასვენეს.

მას შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ვანო და დავით აკოფაშვილი. ნიადაგ იმ დღეზე ოცნებობდნენ, როდესაც ქართველ მომღერალს მშობლიურ ოპერაში გამოსვლა ეღირსებოდა. ამ ოცნების განხორციელებამდე თხუთმეტიოდე წელმა განვლო.

ლეონიდ სობინოვის ზამალი

იტალიურ დასში თავისი გამოსვლების დაწყებამდე ვანო ადრე ჩავიდა პეტერბურგში. გულმოდგინედ ემზადებოდა, ესწრებოდა სპექტაკლებს საიმპერატორო თეატრში. დაინიშნა ვანოს გამოსვლის დღეც. წამდაუწუმ ხმას ისინჯავდა. თითქოს ყელშივე ჩაუჭკნაო დიდებული ხავერდის ვარდი... ხმა არა

სანდრო ინაშვილი

პეტრე მირიანაშვილი
(„აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი)

ჟღერდა! ნერვიულობა გაათკეცდა. დაუყოვნებლივ დეპეშა გაუგზავნა თავის მეგობარს ილიკო აბაშიძეს, რომელიც მოსკოვის ფილარმონიის სიმუსიკო სასწავლებელში მეცადინეობდა (ჩელოს დაკვრას სწავლობდა). ი. აბაშიძე დებიუტის დღეს ჩავიდა ვანოსთან.

— მი, მიი! აი, ნახე, ილიკო, — შესჩივლა ვანომ, — რაღა ახლა წამერთვა ხმა. ჩემი დებიუტი საძაგლად ჩატარდება. რა მეშველება?

აბაშიძე ჩაფიქრდა. შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, სწრაფად თავი ასწია და ღიმილით მიუგო ვანოს.

— რატომ აქამდე არ მაცნობე? ერთ კონცერტში სობინოვსაც შენსავით მოუვიდა, მაგრამ საოცარი წამალი სცოდნია. გადაჰკრა თუ არა, 5 — 10 წუთში ხმა გამოუსწორდა. მე ვიცი ეს წამალი, ახლავ მოგიტან.

— ჩქარა, მიშველე. რადგან სობინოვი ხმარობს უეჭველად მისწრება იქნება, ჩქარა, ჩქარა!

ი. აბაშიძე გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ შუშით წამალი მოურბენინა. ვანომ გადაჰკრა. თანდათან უფრო უკეთ აღღერდა მისი დიდებული ხმა, მეორე აქტში მართლაც სავსებით გამოსწორდა.

ვანო გახალისდა, მშვენივრად ჩაატარა სპექტაკლი.

ბევრი ეხვეწა ვანო—მასწავლე რა წამალიაო, მაგრამ აბაშიძემ უარი უთხრა, სობინოვს პირობა მიეეცოო. სამაგიეროდ პროვიზორი გააცნო, რომელსაც ვანო თავისი სპექტაკლების ბილეთებს აძლევდა. მას კი წამალი მოჰქონდა მისთვის.

რა იყო აქ თავსატეხი? სობინოვს არავითარი წამალი არ გააჩნდა. ი. აბაშიძემ შესთხზა ყოველივე ეს ვანოს ჩვეული მღელვარების აღსაკვეთად და ვანომაც იწამა, რადგან იგი განთქმული რუსი მომღერლის დიდი პატივისმცემელი იყო. სწამდა მისი ოსტატობაცა და ავტორიტეტიც. თავის თავში კი მუდამ ეჭვი შეჰქონდა, მუდამ უკმაყოფილო იყო, მუდამ ნერვიულობდა, ბავშვივით ესაჭიროებოდა გამოსვლის წინ გამხნევება და შთაგონება. ეს კარგად იცოდა ილიკო აბაშიძემ (რამდენს აწამებდა ამ მხრივ ვანო ჩელოს დამკვრელ კაპელნიცკის, რომელიც მასთან ერთად კონცერტებში გამო-

დიოდა). ილიკომ სახელდახელოდ იყიდა აფთიაქში ნარზანი, პროვიზორს ნამუსი გაანდო და რაღაც გაარევინა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს შემთხვევა მან სობინოვს უამბო. სობინოვმა კი ვანოს უთხრა. ბევრი იცინეს. ამ წამალს მომღერლებმა „სობინოვ—სარაჯიშვილის ნარზან-წვეთები“ დაარქვეს.

არ დაგავიწყდეთ... ქართველი ვარ!

დირიჟორ ივანე ფალიაშვილის დასის ციმბირის ქალაქებში გასტროლების დროს ვანო პირველ პარტიებს ასრულებდა. ქ. პერმის ოპერის დასში მაშინ თავი მოჰქონდა ერთ ლირიკულ ტენორს. ვანოს გამოსვლის შემდეგ ეს მომღერალი მიჩქმალული აღმოჩნდა. ვერ მოინელა ეს ამბავი. მეგობრები აამოძრავა, ბნელი ელემენტები შემოიკრიბა და ვანოს სახელის გატეხას შეეცადა. ათასგვარი ხრიკები მოუწყო, მაინც მიზანს ვერ მიაღწია. ხალხი ტაშის გრიალით ეგებებოდა ვანოს. ერთხელ ვანო ოპერა „სნეგუროჩკაში“ მონაწილეობდა. როგორც კი დაიწყო განთქმული არია—„შროშანავ, ჩემო ტურფა ყვავილო“, — დარბაზში სიცილი გაისმა. ამაოდ ცდილობდა ივანე ფალიაშვილი ხულიგნების დაწყნარებას. ისინი ხალხმა ჩააჩუმა. ვანომ უდიდესი ოსტატობითა და უებრო განცდით შეასრულა ეს შესანიშნავი არია. ხულიგნების ვინაობა შეიტყო და ღირსეულად გაუსწორდა მათ. ამის შემდეგ უფრო დიდი წრე შეჰკრეს, სამაგიეროს გადახდა მოუნდომეს. ერთხელ, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, გააფრთხილეს — გარეთ შეიარაღებულნი გელოდებიან და ნუ გახვალთო. ბევრი ემუდარა მეუღლეც. არასგზით არ დაიშალა. თეატრთანვე შემოეგებნენ. პალტო გაიძრო და ომახიანად მიაძახა:

— არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველი ვარ! მე ერთი — თქვენ ყველანი. აბა, მობრძანდით!

ვეღარ შეჰბედეს.

მარადისობის გრილიანტი

ვანო სარაჯიშვილი, ცხოვრების მხარდამხარ მიმდევნი, სისხლჭარბი ადამიანი იყო. ის არასდროს არ ყოფილა ჩაკეტილი მომღერლის ვიწრო, პროფესიულ ჩარჩოში. თანაბრად

აინტერესებდა ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევები. ციმბირის ქალაქებში გასტროლების დროს გაეცნო ვანო პოეტ ვასილ კამენსკის, რომელიც ერთ-ერთი პირველი რუსი მფრინავი იყო მაშინ იმ არემარეზე. კამენსკი ავიაციიდან მოვიდა პოეზიაში, ევროპის საერთაშორისო ტრასზე დაფრინავდა. კატასტროფაც განიცადა და მიღწევებიც ბევრი ჰქონდა. ვანოს მალე დაუმეგობრდა. შემდეგ ხშირად მონაწილეობდნენ ერთად კონცერტებში. ვასილი კამენსკი ცირკშიც გამოდიოდა. ის ცხენზე შემჯდარი კითხულობდა ნაწყვეტებს თავის პოემა „სტეპან რაზინიდან“ მომღერალთა გუნდის თანხლებით. მაშინ ბევრი „გააჯავრა“ ამ ამბავმა. ვანო სარაჯიშვილი აღფრთოვანებული იყო კამენსკის ორიგინალობით. განთქმული მოჭიდაველები ზაიკინი, ვახტუროვი, პოდდუბნი და სხვები ვანოს კარგი მეგობრები იყვნენ. ცირკში წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ისინი ხშირად უმართავდნენ ვანოს მეგობრულ სუფრას.

კამენსკის საშუალებით გაიცნო ვანომ პოეტი ვლად. მაიაკოვსკი. ფუტურისტთა კორპორაციამ, რომელსაც ეს პოეტები ეკუთვნოდნენ, მაშინ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია და ბევრი ინტელიგენტიც დააფრთხო. ვანო სარაჯიშვილი, პირიქით, ძალიან დაუახლოვდა მაიაკოვსკის; დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა მას და „მოქმედ ვულკანს“ ეძახდა.

რა გასაკვირია, რომ „ვულკანური ტემპერამენტის“ მქონე ვანო სარაჯიშვილმა მაიაკოვსკის „მოქმედი ვულკანი“ უწოდა. განა ბევრი მოიძებნებოდა მაშინ, თუნდ ხელოვანთა შორისაც, დიდი პოეტის ასეთი შემფასებელი?

პოეტმა ვასილი კამენსკიმ დიდის სიამოვნებით მოგვაწოდა მოგონება „მზიურ ვანო სარაჯიშვილზე“. ვ. კამენსკი სწერს:

„... განა შეიძლება გენიალური სარაჯიშვილის დავიწყება? არა, არასდროს!

იგი მარადისობის ბრილიანტია“.

ძველ ვერ მოვიხრი!

ვანო სარაჯიშვილს ეკალივით ესო გულზე ჩვენს სამშობლოში „არამკითხე მოამბეების“ თარეში. მენშევიკების დროს

თბილისის „ქართულ კლუბში“ უცხოელ „სტუმრებს“ დიდი ბანკეტი გაუმართეს. კონცერტში გამოსასვლელად მიიწვიეს ვანო და სანდრო ინაშვილი. ისინი ჩოხებით გამოცხადდნენ. ქეიფი ჯრძელდებოდა, ვანო კი ნერვიულად სცემდა ბოლთას კულისებში და ბრაზით ივსებოდა, რომ აქ უდიერად ალოდინებდნენ. მოთმინების ფიალა აევსო.

— წამო სანდრო შინ. მაგათი ლაქია ვარ აქ ველოდო? აოც მომიხრია ქედი, ვერც მოვიხრი!

წავიდნენ. საღამოს მესვეური გამოეცხადა. რევოლვერით დაემუქრა. ვანომ სატევარი იშიშვლა, სანდროც არ დარჩა ხელდაცდობილი. მოსალოდნელი სისხლის ღვრა მანდილოსნების ჩარევამ და წივილ-კივილმა აღკვეთა.

უცნაური გამოცდელი

1923 წელს თბილისის კონსერვატორიაში მოსწავლეთა წარმატების შემოწმება ჩატარდა. ბევრი უღირსი—სახელმწიფო სტიპენდიას იღებდა. დაინიშნა შემმოწმებელი კომისია ვანო სარაჯიშვილის, პროფ. ჯაყელის, ვაგის, ბარეროსი და სხვათა მონაწილეობით. გაფითრებული მოსწავლენი ზედიზედ გადიოდნენ გამოცდაზე. მარიამ მაკარის ასული კვიტინაძე გულის ფანცქალით მიუახლოვდა ფორტეპიანოს. ვოკალური კულტურის ასეთ ოსტატთა წინაშე მოსწაკლე კი არა, კარგად დახელოვნებული მომღერალიც კი შედრკებოდა. კვიტინაძემ მორიდებით დაიწყო ტოსკას არია.

იქ ჩვენი პაწია სახლი გველოდება,
რაღდენ შვება—სიხარულს გვპირდება
ტურფა სავანე...

წკრიალა ხმა ჰაერს მიაპობდა. გაბედულად წარმოქმნილმა პირველმა ფრაზამ სითამამე შეჰმატა ჰაბუკ მომღერალს, გულწრფელმა მღელვარებამ გაიტაცა და გადალახული აღმოჩნდა ყოველგვარი უხერხულება. ვანოს ბაგეს ღიმილი შეეპარა, ერთი შეიშმუშნა, თვალებში ელვამ გაჰკრა და სტიქიურად აღმოსცდა მკერდიდან:

— მეც თან მოგდევ, მეც შენთან ვარ, ჩემო ღვთაებავ!

მკაცრი მსაჯი კი არა, თითქოს კავარადოსის როლშია

ოპერის სცენაზე და თავის სატრფოს სიყვარულის ჰიმნს უგალობსო.[1]) დარბაზში ერუანტელი დატრიალდა. მარო კვიციანაძეს რეტი დაეცხა, სიხარულის ცრემლი მოერია. თითქოს ნიადაგი შეერყა ფეხქვეშ და ბობოქარ ზღვაში მყოფ გემივით აყირავდა მთელი შენობა. მეორე დღეს მარო კვიციანაძემ თავისი გამოცდის შედეგი იკითხა.

— ნუთუ გულში გაივლე, პაწიაო, რომ ჯეროვნად არ შეგაფასებდნენ? — მიუგო ვანომ.

მაპატიეთ, დამაგვიანდა...

1922 წლის ზაფხული იდგა. პოეტმა სიკო ფაშალიშვილმა თბილისის „ქართულ კლუბში" დიდი საღამო გამართა. საუკეთესო ძალები მოიწვია. ვანო სარაჯიშვილმა სიამოვნებით აღუთქვა მონაწილეობა. ხალხი მოჭღვავდა. ყველა მონაწილე გამოცხადდა, არ სჩანდა მხოლოდ ვანო. უმისოდ კონცერტს არ იწყებდნენ. დარბაზში ტაში გაისმოდა, ხალხს ნერვიულობა დაეტყო. მაგრამ ყველაზე მეტად სიკო ფაშალიშვილი ნერვიულობდა:

— თუ ვანო არ გამოჩნდა, საღამო უნდა გადავდო. მთელი ხალხი მისთვის მოვიდა, რას იტყვიან... ხომ თავი მომეჭრა?!

ამ დავიდარაბის დროს, დამტვერილი ვანო ქოშინით შეიჭრა კულისებში. დაჯდა, ოფლი მოიწმინდა და სული მოითქვა.

— მაპატიეთ, დამაგვიანდა. კოჯორში გახლდით, მანქანამ გამომასწრო და... ფეხით მოვედი.

საღამო შესანიშნავად ჩატარდა. ვანო ბევრი ამღერეს.

არ ვიცით, რამდენი მსგავსი ფაქტი ახსოვს მსოფლიო მუსიკალური კულტურის ისტორიას. ის კი ვიცით, რომ ბევრი მომღერალი კონცერტის ან სპექტაკლის დღეს შიშით გარეულ ვერ გამოსულა. ამ ამბის შემდეგ ორი წელი გავიდა და ვანო სარაჯიშვილი გულის დაავადებით გარდაიცვალა. დასკვნა თვით მკითხველმა გამოიტანოს.

---

[1]) კავარადოსი ამ არიაში მარტო საოპერო შესრულების დროს მონაწილეობს. შ. კ.

მუვიდოგით,.. მუვიდოგით!

1924 წლის ზაფხულში ანაგის სახალხო სახლი გაიხსნა. დიდი კონცერტი გაიმართა. თბილისიდან მიწვეულ მსახიობთა შორის ვანოც იყო. „თავო ჩემო“, „ურმული“ და სხვა სიმღერები უმღერა ძვირფას სამშობლოს. ოჯახებში მიიწვიეს ამხანაგებით. აქ მომღერალ გლეხთა შორის ძველი სუფრული და დარბაისლური სიმღერები სთქვა. უკან ღია ვაგონით ბრუნდებოდნენ. ნავთლუღამდე არ შეწყვეტილა ვანოს სიმღერა, ცეკვა და მხიარულება. ხალხი სულში იძკრენდა, გარს ეხვეოდნენ, დღეგრძელობას უსურვებდნენ. ისედაც „მხიარული მატარებელი“ ერთიათად გამხიარულდა.

ეს ვანოს უკანასკნელი მგზავრობა იყო მშობლიურ კახეთში. იქნებ გრძნობდა კიდევაც, რომ საყვარელ აკვანს სამუდამოდ ეთხოვებოდა...

იუბილე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ვანო სარაჯიშვილი გაცხოველებულ საქმიანობაში ჩაება. ერთ დროს ოპერის კომისრის მოადგილედაც მუშაობდა. 1921, 22, 23 წლებში მას თბილისის ოპერაში ყველა მომღერალზე მეტი ჯაფა აწვა. საბედნიეროდ, ხმაც ხელს უწყობდა. რამდენჯერ უმღერნია ზედიზედ, მაგალ. დღეს „ფაუსტი“, ხვალ კი „აიდა“ ან „ჰუგენოტები“ ავადმყოფი ამხანაგის მაგივრად.

„ფაუსტი“ და „ჰუგენოტები!“ განა ბევრ მომღერალს მიუღწევია ამ პოლუსებისათვის?

* * *

1922 წელს თბილისის კარიბჭესთან უზარმაზარი ვეფხვი მოჰკლეს. დიღმელმა მონადირეებმა დიდის ამბით ჩამოიტანეს იგი თბილისში.[1]) ურემს ხალხი მოსდევდა. „ჯომარდი მონადირე“—ვანო სარაჯიშვილიც გააოცა ამ ამბავმა. გლე-

[1] ვეფხვის ფიტული დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
შ. კ.

ხებს თვალი და მარჯვენა უქო. ყველაფერი ვანოს „დაბრალდა“. რუსთაველი ამბობს:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან...“

შენ ქართული ჰანგის ავთანდილი ხარ და ეს ჭირვეული მაყარი გვაწვიეო. ლექსებიც კი დაიწერა მაშინ ამ თემაზე.

1923 წელს, ტრადიციულ შვიდ მაისობას, ხელოვანთა სასახლეში ვანოს მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. აქაც ბევრი „საყვედური“ უთხრეს მას ჩვენმა პოეტებმა ვეფხვის თაობაზე. ძალად მამღერებთ, რა ჩემი ბრალიაო—ხუმრობდა ვანო.

იმავე წლის 16 მაისს თბილისის ოპერის თეატრში ვანო სარაჯიშვილის არტისტული მოღვაწეობის 20 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე დაინიშნა. ხალხი მოუთმენლად მოელოდა დიდი მომღერლის შესანიშნავ დღეობას. მთელი პრესა ალაპარაკდა. შესდგა საიუბილეო კომისია. გაზეთმა „ლომისმა“ საგანგებო ნომერი მიუძღვნა ამ შესანიშნავ თარიღს. მოწინავე სტატიაში გაზეთი სწერდა:

„... ჩვენ ვამაყობთ ვანო სარაჯიშვილით იმიტომ კი არა, რომ ის ხმის ჯადოსანია. იმიტომ კიდევ, რომ ის ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომ მასში ქართველი ერის ნიჭი სჩქეფს... თილისმიანი ხმა, რომელსაც შეუძლია დასევდიანებული გულის გადახალისება და გულის ჟმუნვათა შეცვლა უკვდავებით, თილისმიანი ხმა, რომელსაც შეუძლია მოღერებული მახვილის ჩაბრუნება და გაბოროტებული გულის დარბილება—დამშვიდება და მოთვინიერება, — აი, ვანო სარაჯიშვილი...“ ვანოს ლექსები მიუძღვნეს ი. გრიშაშვილმა, ვ. წულუკიძემ, ვ. რუხაძემ და სხვებმა.

„სალამი ჩვენი მუსიკის ნათელ სვეტს—ვანოს!“

„დიდება ჩვენს უკვდავ შოთას, აბესალომს,[1]) ქართული ოპერის გუმბათს და ჩუქურთმოვან თაღს“.

---

[1]) მალხაზი არაა ნახსენები, რადგან მაშინ „დაისი“ დადგმული არ იყო შ. კ.

„ᲫრავალᲟამიერ საქართველოს ბულბულს!“

ვინ მოსთვლის, რ.ა დაიწერა მაშინ ვანოზე.

ვანო სარაჯიშვილი მოკრძალებით შეხვდა ამ ზეიმსა და ხარს.

— რა დროს ჩემი იუბილეა, ვის გაუგია არტისტული მოღვაწეობის 20 წლისთავის იუბილე, 25 წლისა მაინც უნდა იყოს. ძალიან ახალგაზრდა იუბილარი ვიქნები, სირცხვილია!

16 მაისს თბილისის ოპერის თეატრში ტევა არ იყო. საბჭოთა ხელისუფლება, მთელი სამშობლო, თავის საამაყო მომღერალს იუბილეს უხდიდა. ვანო საგანგებოდ შერჩეული პროგრამით წარუდგა საზოგადოებას. დაიდგა: „აბესალომის“ პირველი აქტი, „ტოსკას“ მესამე აქტი და „კარმენის“ მეოთხე აქტი. „აბესალომს“ ზაქ. ფალიაშვილი დირიჟორობდა. ვანოს მხარს უმშვენებდა თავის ძვირფასი მეგობარი სანდრო ინაშვილი.

ვანო განსაკუთრებული ხალისითა და ჭაბუკური გატაცებით მღეროდა ამ ღღეს. მისი დიდებული ხმა კვლავ ბგერათა წარმტაც თაიგულად გადაიშალა. იუბილარის მოსალოცად ჩამოვიდნენ მოძმე რესპუბლიკებისა და მთელი საქართველოს კულტურულ—საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აუარებელი მოსალოცი დეპეშა მოვიდა. „საქართველოს ბულბულს“ გულითად სალამს უთვლიდნენ: ლეონიდ სობინოვი, სუმბათაშვილი — იუჟინი და საბჭოთა კავშირის სხვა დიდებული მოღვაწენი. ბევრი ძვირფასი საჩუქარი მიიღო ძღვნად. ქართველ მომღერალთა შორის, ვანო სარაჯიშვილს პირველს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდება.

ევროპისა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქების სცენებზე გამობრძმედილ ვანოს ცრემლი მოადგა, სიზმარში ეგონა თავი. გული აუჩუყდა, სიტყვა ვერ მოახერხა.

— რა ვქნა, სიტყვის ოსტატი არა ვარ. ჩემი სიტყვა სიმღერაა, ამიტომ ნება მიბოძეთ...

— მადლობელი ვარ...

სიმღერით უპასუხებდა ფეხზე ამდგარი ხალხის მქუხარე ტაშს.

ნიკო ჭუმსიაშვილი — მალხაზი

ვანო სარაჯიშვილი — გერმანი
(ოპერა „პიკის ქალი“)

— რა ვიცოდი თუ ასე ვუყვარდი მართლა მთელ ხალხს. თავს უფრო გაეუფრთხილდებოდი,—ეუბნებოდა გაფითრებული ვანო იუბილეს შემდეგ თავისიანებს.

იმავე წლის 19 დეკემბერს პირველად დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის „დაისი“. მალხაზის როლში ვანო სარაჯიშვილი „გრაალის კოშკიდან ჩამოსულ ბრწყინვალე რაინდსა ჰგავდა“. მან ერთხელ კიდევ მოაჯადოვა დამსწრე საზოგადოება. „დაისს“ წილად ხვდა ბრწყინვალე წარმატება. ამის მთავარი მიზეზი, მომღერალთა შორის, ვანო სარაჯიშვილი იყო, რომელმაც სწორუპოვარი მღელვარებით გადაუშალა აუდიტორიას განწირული ჭაბუკის—მალხაზის ტრაღედია. „თავო ჩემო“ ვანომ შეატანინა ზაქ. ფალიაშვილს ამ ოპერაში. ეს სიმღერა ვანო სარაჯიშვილის „ხელთუქმნელი ძეგლია“, რაც ლეგენდასავით გადაეცემა შემდგომ თაობებს. სპექტაკლის შემდეგ ზაქ. ფალიაშვილი თითქოს თავის თავს ეკითხებოდა: ნუთუ ასე დიდებულად დავსწერე „თავო ჩემო?“. ვანოს ჩინებული პარტნიორები ჰყავდა „დაისში“. მაროს პარტიას პოპოვა ასრულებდა, კიაზოსას—კრიჟანოვსკი. მაინც გული სტკიოდა, — სანდრო ინაშვილი იტალიაში იყო...

უკანასკნელი „თავო ჩემო“

საგასტროლოდ ჩამოსულ სობინოვს თბილისის ოპერის დასში დარჩენა შესთავაზეს. უარი ვანაცხადა. პირიქით, მან ვანო მიიწვია მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც დიდი გავლენა ჰქონდა. შესანიშნავი პირობები აღუთქვა—ბინა, კურორტი, ხელშეწყობა, ოღონდ კვლავ აჩვენე მოსკოვის საზოგადოებას შენი შესანიშნავი ხმა და ვოკალური ოსტატობაო.

— აქ, სამშობლოში, ყველა კურორტზე უკეთ ვისვენებ, ზამთრის სეზონში გეწვევითო—აღუთქვა ვანომ.

1923—24 წლების სეზონი „აბესალომ და ეთერით“ დაიხურა. თეატრს აუარებელი ხალხი მიაწყდა. ვანო განსაკუთრებული მგზნებარებით მღეროდა ამ დღეს. მის გამოწვევას ბოლო არ ჰქონდა. სპექტაკლის შემდეგ თეატრის გამოსასვლელთან ელოდებოდნენ, რომ ერთხელ კიდევ ახლო დაენახათ საყვარელი ადამიანი და სეზონის დაწყებამდე დამშვიდე-

ბულნი ყოფილიყვნენ. გუნდ-გუნდად მიაცილებდნენ. ვანო ლიმილით ესაუბრებოდა თავის მეგობრებს. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს მისი უკანასკნელი „აბესალომი“ იყო...

თბილისს მაისში რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარი ანატოლ ლუნაჩარსკი ეწვია. ხელოვნების სასახლეში ბანკეტი გაუმართეს. წვეულთა შორის ვანოც იყო, უგუნებობა ეტყობოდა, ძლივს დალია ორიოდე სასმისი ღვინო. მაინც ამღერეს. ა. ლუნაჩარსკიმ ქართული ხელოვნების სადღეგრძელო დალია. ხაზგასმით აღნიშნა ვანო სარაჯიშვილის დიდი მუსიკალური კულტურა, არაჩვეულებრივი ხმა და ვოკალური ოსტატობა. ზაქარია ფალიაშვილმა და ვანო სარაჯიშვილმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ოპერას, რასაც უდავო წარმატება მოელის მსოფლიო მუსიკალური კულტურის ასპარეზზეო.

ვანო მაინც წარბშეკრული იყო, არაფერი არ ახარებდა.

* * *

ვანო თავის თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. როგორც გამოირკვა კარგა ხანი ავად ყოფილა. 1917 წელს ესპანური სენის მოხდის შემდეგ ცუდად გაუხდა გული. სიცოცხლის სიყვარულს და „ვულკანურ ტემპერამენტს“ მაინც თავისი გაჰქონდა. ვანო ჭაბუკურად გიჟმაჟობდა, ქედს არ იხრიდა; თუმცა ზოგჯერ თავის ბედზე ჩაფიქრდებოდა და ნაადრევი კატასტროფა სულს უშხამავდა. ხშირად ეტყოდა ხოლმე საუბარში თავის მეუღლეს:

— მინდა მოვკვდე ახალგაზრდა, რომ მოულოდნელად მოვსწყდე სცენას და ხალხს ჩემზე გული დაეწვას, ალალი ცრემლი დამეფრქვიოს. მინდა—ჩემს კუბოს თეთრ ყვავილებს უფენდნენ გზაზე. შორიდან კი ისმოდეს როიალის ქვითინი და ჩვენი ძველი ხალხური გუნდის გუგუნი, შორიდან... შორიდან!

ამგვარი მსჯელობა „ბაირონის სევდის“ გამომჟღავნება ეგონათ და საუბარი ხუმრობით თავდებოდა.

ვანო სარაჯიშვილის სიცოცხლე თითქოს მართლაც ციცაბო კლდიდან მოსწყდა. 1924 წლის ივნისის 23-ს ოპერის თეატრის ბაღში ვანო უქეიფოდ გახდა. მხარში შეუდგნენ

და ძლივს მიიყვანეს შინ. ჩაწვა. ნაშუადღევის 3 საათიდან ღამის 3 საათამდე სიცხე არ ეშვებოდა. ყოველ მეორე—მესამე დღეს კონსილიუმი იმართებოდა. ექიმები მის სასთუმალს არ შორდებოდნენ. ხან გულის ანგინას დააბრალეს, ხან ტროპიკულ მალარიას, შემდეგ ნაწლავების ჭლექი ეგონათ.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ვეღარ წამოდგა ლოგინიდან. ნერვიულობდა, ხმის დაზიანებისა ეშინოდა. ხშირად ღიღინებდა ლოგინში ნაწყვეტებს „კარმენიდან“, „ჰუგენოტებიდან“. ხმას არავითარი მანკი არ ჰქონდა — ისევ თავისუფლად და დიდებულად ღღერდა ყველა ფარდებში. ეს ახარებდა.

— მოვრჩები, ერთხანს კიდევ ვიმღერებ და შემდეგ ჩემს საყვარელ ჩელოს დავუბრუნდები. სცენას თავს დავანებებ, კონცერტებში გამოვალ და დავუკრავ. სიმღერას ვასწავლი ახალგაზრდებს...

* * *

ზაფხული მიიწურა. შემოდგომამ ოქროსფრად შეღება არემარე. სასიამო დარები დადგა. რა სჯობდა ახლა ფოთლის შრიალში ნადირობას. ვანო კვლავ ლოგინში ჰბორგავს. ვერ სთმობს სიცოცხლეს და მშვენიერებას, ვერ სთმობს სამშობლოს.

მომღერალმა ლეონ ისეკკიმ მორიდებით შეაღო კარი.

— ლეონ, ძვირფასო! ჩემს თოფს მგონი ჩახმახი გაუფუძდა. წაიღე გეთაყვა, ოსტატ შპაგინს მიაბარე, გამოგვადგება...

— და მერე, როგორ!

სიხარულით მიაგება ისეკკიმ, მაგრამ ეს „სიხარული“ მის არტისტულ ნიღაბს იქით არ მიდიოდა: ბაგე იცინოდა, გული კი მწარედ ქვითინებდა. ნათლად ხედავდა, რომ ხელიდან ეცლებოდა თავისი საამაყო მეგობარი. უკვდებოდა „არაამქვეყნიური ადამიანი, რომლის პიროვნებაში თავმოყრილი იყო მთელი ქართველი ერის მუსიკალური გენია, ნიჭი და კეთილშობილება“.[1])

ისეკკიმ ხალისიანად წაავლო თოფს ხელი: გასინჯა, მოხდენილად შეატრიალა. დაემშვიდობა, თოფი წაიღო, მაგრამ იქვე დერეფანში დასტოვა და გაბრუებული გავიდა ქუჩაში.

---

[1]) ასეთი დახასიათება მოგვაწოდა ლ. ისეკკიმ ვანოს შესახებ. Ზ. კ.

ვანოს ძარღვებში მშობლიურმა სიომ გაინავარდა, ლოგინშივე შეიშმუშნა.

— თოფი წაიღო... მაშ მოვრჩები!

კვლავ ეჭვმა შეიპყრო, მოკვეთილივით დაეშვა ლოგინზე და კედლისაკენ იბრუნა პირი. მაინც მომავლისკენ იცქირებოდა.

— თმა გადამპარსეთ!

— რადა? ამდენი მნახველი მოდის, ძალიან გშვენის, სირცხვილია...

— გადამპარსეთ მეთქი! ავადმყოფობა დამიზიანებს და სცენაზე უშნო ვიქნები.

— კიდევ რაღაც მოიმიზეზეს და უარი უთხრეს.

ვანომ თვალები მიანათა. პირი აარიდეს. მწარედ გაიღიმა, ბაგეს კბილი დაადგა და წარბი შეჭკრა:

— რად მოხვდათ ასე ლახვარივით ჩემი სურვილი? პირიქით, მათ უნდა ეთხოვნათ, რომ შევლეოდი ამ ჩემს თმას. ნუთუ მართლა... ეძნელებათ... კუბოში... უთმოდ!

სასოწარკვეთილი დონ-ხოზეს მუქარა უნებურად აღმოხდა ბაგეს:

„თუნდაც სიცოცხლე რომ გავსწირო, ვფიცავ აქედან არ წავალ, აარ, წავალ!“

ბედისწერას არ დაემორჩილა. როდესაც მარტო დარჩა, ოსტატი დაიბარა და თმა გადიპარსა. ამით თითქოს სიკვდილს ხელთათმანი გადაუგდო და ორთაბრძოლაში გამოიწვია ულმობელი წუთისოფელი.

უფროსი ძმის, ანდროს მეუღლეს დაავალა: სიღნაღში რომ თავგატეხილას წყაროა, ის მასვით, უეჭველად მომიხდებაო.

დოქით მოაწოდეს. სასთუმალთან ედგა და სულს იბრუნებდა.

უკვდავების ცხრა წყაროს წყალი თუ ეგონა სასიკვდილოდ განწირულ აბესალომს.

ნოემბერი დადგა, მდგომარეობა გაუარესდა. შეუპოვარი სინამდვილე სცელავს სიხარულს. სეზონი უკვე დაიწყო. სწუხს, შფოთავს ვანო, შემოაკლდა სცენის ჰაერი.

ზაქარია ფალიაშვილის ყოველი მოსვლა მისთვის აუწერე-

სანდრო ინაშვილი — მურმანი

ნატო ვაჩნაძე და ვანო სარაჯიშვილი
(კინო-ფილმ „მამის მკვლელიდან“)

ლი წამებაა, რადგან „თავო ჩემოს“ უნებურად ღიღინებს ვანო. გულდათუთქული ზაქარია ცრემლს ძლიეს იკავებს, ეშინია სიტყვა არ დასცდეს. სულში თაკარა ედება და სტანჯავს ფიქრი—რად დაუწერა თავის მალაპაზს ეს ბედკრული გედის სიმღერა, რად დაუწერა! არა, თვით ვანომ რად დააწერინა, საკუთარ თავის სულთათანად? როგორი ჯოჯოხეთური საყვედურით მოესმის ახლა მას ვანოს ნამღერი:

„ბედი აო გიწერია“...

და რა მძიმეა ყოველივე ამის ატანა.

— სად არის სანდრო ინაშვილი, ჩემი სანდრო. რა უნდა ამდენ ხანს იტალიაში. აცნობეთ, მალე ჩამოვიდეს. აკი ეუთხარი—შენ მიდიაარ, მე კი აქ უმენოდ მოვკვდები-მეთქი.

ზაქარია ბინდბუნდად ჰიდავს ქვეკანას. მიდის ქუჩაში და ხალხს ძლივსა სცნობს.

— როგორაა?—დაზაფრულნი ეკითხებიან.

პასუხს ძლივს ახერხებს, ბარბაცით მიდის.

ვანოს ნათესავი ექიმი მოვიდა. ყველაფერი გათავებულიაო, ჩურჩულით უთხრა შინაურებს და კარე გაიხურა. ვანო სწრაფად წამოჯდა ლოგინზე.

— აბა ერთი, ნეტავ აქ იყვნენ ახლა ჩვენი ოპერის ხელმძღვანელები. გაიგონ—მაქვს თუ არა ისევ ჩემი ხმა. მთელის გულმკერდით შემოსძახა ალფრედის არია „ტრავიატადან“:

„მაშ, დაესტოვოთ ჩვენ ეს მხარე“...

ქუჩაში ხალხი მოგროვდა, ზოგი კანკალებდა, ზოგი ცრემლს იწმენდდა.

— მორჩება ჩვენი ვანო, აჰა, ნახე... ხმას ხმას, დახე, აბა!

* *
*

გახშირდა ექიმთა სჯა-ბაასი, თათბირები, კონსილიუმები. მწუხრის ბინდი დაბლა ჩამოწვა. ვანო თითქოს დანებდა ბედსო, რაინდულად გაუსწორა აღსასრულს თვალი.

— თუ არაფერი მეშველება, მოკლედ მოსჭერით... ანდრო დამიბარეთ, უკანასკნელი ჩემი სიტყვა გამოკუცხადო.

დაიბარეს, საჩქაროდ ჩამოვიდა. დაინახა თუ არა ვანომ, ერთი შეჰყვირა—ვაი! შუბლში ხელი დაირტყა და ჩაიკეცა.

— თავს ნუ იწუხებთ, ამაოა ყველაფერი. შესანიშნავი

ნიჭი აქვთ, ანდრო, შენს ბავშვებს. უსათუოდ უნდა ისწავლონ. დამილოცნია კოტესათვის ჩემი გრიმის კოლოფი. ვგრძნობ არ შემარცხვენს...

* *
*

მოულოდნელად წასკდა სისხლი. შველივით ყელი მოიღერა, საწოლს არიდა. წამოეშველნენ, სასწრაფოდ მიართეეს თასი.

წვეთ-წვეთად მოეონავს სისხლი და თან მოჰყვება:

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია.

ალმოდებული გულის ნაფლეთია ყოველი ბგერა. უკანასკნელად მღერის ვანო, რათა ძვირფას სამშობლოს დაუტოვოს რაც აბადია და არარა ჩაჰყვეს სამარეში. თითქოს წვეთწვეთად ჩამოიწრიტა გულიც და მკერდში არარა დარჩა. სადღაც, შორს, მიუწვდომელ სულის ქვეთინში მიწყდა უკანასკნელი ბგერა და ჩამოიღვენთა ოქროპირი. ეს იყო სამშობლოზე და სიცოცხლეზე გულდაწყვეტის ღაღადისი, მარადიული მდუმარების გადალახვის ცდა და საშინელ ნაპრალთან ბრძოლა „თავო ჩემოთი“.

ეს იყო ცრემლი სასოებისა, პაწია მზესავით რომ სწყდება ხოლმე თვალს და გუგუნით იწვის სადღაც... გულის სიღრმეში.

ვალმოხდილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— შ ლვა, ხმა ისევა მაქვს. რად უნდა მოვკვდე, ცოდო არა ვარ?—უთხრა ანდროს ცოლისძმას, შალვა ტატიშვილს.

* *
*

ამის შემდეგ მხოლოდ სამი დღე გავიდა. იმ ღამეს საშინელი ქარი გრიალებდა, გააფთრებული ასკდებოდა მთა-ბარს, ჰგლეჯდა ყველაფერს.

ლიბრი გაეკრა ცისკროვან თვალს.

შეწუხდა ქართული ჰანგის უფლისწული—აბესალომი. ენა წაერთო. გრძნობა ძაინც არ დაუკარგავს: წამწამიდან ცრემლი სწყდებოდა და ეშხიან სახის კუნთებზე ხედიხედ მოგორავდა, მოსრიალებდა.

11 ნოემბერს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე ჩადგა ქარი, მაგრამ... შხაპუნა წვიმისავით წასკდა ხალხს ცრემლი.

ღიდი ქართველი მოიღერალი გარდაიცვალა.

ერის გლოვა

1924 წლის შემოდგომაზე გურჯაანს გახლდით სტუმრად ჩემს უფროს მეგობარ დიმიტრი ჯანსუყის-ძე ასათიანთან. იქ მუშაობდა. დიმიტრი დიდებული ვაჟკაცი იყო—კაცთმოყვარე, სუფრით ქებული. სიმშილით რომ მომკვდარიყო მარტო ლუკმასაც არ გასტეხდა.

სასიამო მზე ნაზად ათბობდა ფარდაგივით გადაშლილ ქედებს. კახურ ღვინოს უკვე ჩინჩხალი დაუვარდა და მდევური ძალა შეუდგა. იმ დღესაც ერთად ვისხედით. რაღაც ულაზათოდ, უშნოდ დაიწყეს:

„ზამთარი ვარდსა დაჰკონობს
ფურცელი ჩამოსცვივაოო...

— აბა, ჰა და ჰა! ვანომ თუ მოკრა ამას ყური, რავა ამეიღებს აწი ხმას. არ დაამშიოთ ყმაწვილებო! ჩააშხამა დიმიტრიმ. ბიჭებმა ჯიბრით შეუკიდეს:

„ნეტავი მომკლა ხის ძირაას“,
ფოთოლი დამაცვინაოო...“

ბანიც მოზღვავდა, სიმღერა დიდად საქები არ იყო, მაგრამ ჩვენს პირობაზე მაინც არა, უშავდა. დიმიტრი ცალი ყბით იღიმებოდა, ყავისფერ ბოხოს ისწორებდა და ჭიქას ავსებდა.

თბილისის მატარებელი მოვიდა, ერთიც შემოგვემატა.

— მიირთვი, ყმაწვილო!—მიაგება დიმიტრიმ ჭიქა. უგუნებოდ ჩამოართვა, პურის ნატეხი აიღო და ღვინოში ჩააწო.

— ღმერთმა გაანათლოს ვანოს სული...

— ვინ ვანოა, ბოშო!

— სარაჯიშვილი...

— მოკვდა?

განგმირულივით მიაყვირა დიმიტრიმ და ცრემლი წასკდა. ძვლის პორტსიგარი ამოიღო, ხარბად დაჰეიდა. სხვებისთვის გაუგებარი იყო ეს, მე კი ბევრჯერ მსმენოდა მისგან, რომ ბაჭობი ვანომ უსახსოვრა. კიდევ ბევრი რამ ჰქონდა ნაამბობი ჩემთვის ვანოზე. მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ თითქოს

ვილაც ყელში მწვდა... გავიგუდე. ბიჭები ფეხზე წამოიჭრნენ, ჭუდი ჩოიაადეს და თავი დაჭაარეს. უხმოდ შეისვა შესანდობარი. მე და დინჩტრიბ იმ ღამეს თბილისს მოვაშურეთ.

* * *

ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალება მეხივით დაატყდა თავს მაელს საქართველოს. თუნცა გაზეთებში ვერ მოასწრეს იმ დღეს ცნობის გამოქვეყნება, ბაგრან თავზარდამცემი მწუხარება ელვის სისწრაფით მიედო ხალხს.

12 ნოემბრის გაზეთებში ყველგან ბოთავსდა ვანოს სურათი, მოკლე ბიოგრაფია, მოგონებები. რამდენი გულწრფელობა, ვაება, სინანული იყო იმ სტრიქონებში.

ორშაბათი, 12 ნოემბერი 1924 წ.



ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ

ᲕᲐᲜᲝ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

საქართველოს სახალხო კომისარია საბჭომ და განათლების სახალხო კომისარიატმა გაზ. „კომუნისტის“ პირველ გვერდზე, მოწინავე სტატიის ზემოთ მოათავსეს სამგლოვიარო განცხადებები.

„მსახიობ სარაჯიშვილს აქვს „ენდოკორდიტის ლენტა“— გულის შიგნითა გარსის ანთება ინფექციური ხასიათისა (გამომწვევი მიზეზი დიპლოკოკები), გართულებით თირკმელების მხრივ—ჰერმორაგიულ ნეფროზო ნეფრიტის სახით, ღვიძლის მხრივ—დიფუზური ციროზის სახით, პლევრის მხრივ—მშრალი პლევრიტის სახით მარჯვენა მხარეზე. ამასთანავე, ავადმყოფს აქვს ტროპიკული მალარიის ნიშნები.

ამჟამად ავადმყოფს ეწყება გულის მოქმედების დეკომპენსაცია, რის გამოც მისი ადგილიდან დაძვრა შეუძლებელია. ავადმყოფის მდგომარეობა ფრიად სერიოზულია, გამომრთველება საეჭვოა“[1])

ამან იმსხვერპლა ვანო სარაჯიშვილი.

გაზ. „კომუნისტი“ სწერდა:

„საქართველოს ტოროლამ შესწყვიტა რაკრაკი...

ვანო სარაჯიშვილი!

იგი იყო ჩვენი ქვეყნის სილამაზე და სიამაყე... ჩვენი ხალხის უზენაესი და ულამაზესი ჰანგები სადღესასწაულოდ ახმაურდნენ სარაჯიშვილის არსებაში... იგი ავიდა ქართველი ხალხის შემოქმედების იალბუზზე და იქედან ათრობდა თავის მომხიბლავი ჰანგებით ყველას, ვისაც წილად ხვდომია მისი სმენა.

სარაჯიშვილი იყო ნამდვილი ჯადოქარი სულისა.

იგი აუდიტორიას ხან უცნაურად გააშლევინებდა სულს, თითქოს ხალხი მოწიწებით იძენდეს რაღაც უმაღლეს საიდუმლოებას, ხან აღტაცების მოვარდნილ ზღვას დაამსგავსებდა და ამ დამთვრალ ხალხთან ერთად თითონაც ითრობოდა და განიცდიდა ზეკაცურ ძალას. იგი ხან ნაზი მიბნედილი იყო შემოდგომის მზესავით, ხან კი ატეხილი მოვარდნილ მთის ნაკადივით.

---

[1]) ეკიმთა „კონსილიუმის 9 ნოემბრის დადგენილება. ‘‘. ‘‘.

ვანო სარაჯიშვილი იყო სულიდან სული და ხორციდან ხორცი თავის ხალხისა..

ჩვენს ისტორიას არ ახსოვს ქართველი მომღერლის დიდება. ამიერიდან ვანო სარაჯიშვილის სახელიც ჩაიწერება ქართველი ერის ისტორიაში, როგორც დიდება და სილამაზე ჯერ არ ხილული. ვანოს შემოქმედება, მისი სიმდიდრე და სამსახური ქვეყნისადმი განისაზღვრებოდა მისი სიცოცხლით. სიკვდილის შემდეგ კი რჩება მხოლოდ ზღაპრული მოგონება მისი ანდამატური ხმისა'' (,,კომუნისტი'' 12 ნოემბერი).

,,სობინოვმა შესძლო იტალიური ბელ-კანტოს საწყისების ნაციონალიზირება და ამ გულწრფელ ტექნიკურ ოსტატობას შთაბერა რუსული სული. ეხე, როგორც სობინოვი არის პირველი რუსი ბელკანტისტი, ვანო სარაჯიშვილი დარჩება ქართული მუსიკის ისტორიაში, როგორც საუკეთესო ქართველი ბელკანტისტი, რომლის ტექნიკა გამთბარი იყო ტკბილ-მათრობელა ვაზით დაფარულ საქართველოს მდელოს სითბოთი.

დაბოლოს, სცენა აღანთებდა მას, როგორც ჭეშმარიტ, შთაგონებულ მებრძოლს. სცენაზე ის ცოცხლობდა და ყველა მისი სცენიური სახეები ალსავსენი იყვნენ ნერვიული, წარმტაცი თრთოლვითა და ტემპერამენტით, რომლის გულახდილობას ვერ უძლებდა მაყურებელი.

ნაზი და ვნებით ალსავსე ლირიკაში, გმირი და ვაჟკაცური დრამატიულ სულისკვეთებაში, ის რჩება ქართული ოპერის ყველაზე უტყუარ, ყველაზე შუქმოსილ სიმბოლოდ ამ ოპერის ბრწყინვალე ალმავლობის დროს. მისი საოცარი სიმღერის ცხოველი სხივები მთელს სამშობლოს ეფინებოდა. მას იცნობდნენ საქართველოს ყველაზე მიყრუებულ კუთხეებშიაც კი, და ამ სავალალო დღეებში ყოველ მხრიდან დაიძვრის სევდა, უზომო მწუხარება...'' (,,ზარია ვოსტოკა'' 12 ნოემბ.).

,,... გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი!

რამდენი ტრაღედია და ცრემლია ამ სიტყვებში... იშვიათია არტისტი ისეთი ღვთიური ტემპერამენტით და პოეტური ექსტაზით, როგორიც იყო ვანო სარაჯიშვილი... ის შემოქმედებაში დამწვარი ადამიანის სული იყო. ქართული ოპერის ისტორია არ დაიწერება ვანო სარაჯიშვილის სახელის გარე-

შე. უფრო მეტი: ვინც ნახა ვანო ქართული ოპერის სცენაზე, მან შეჰქმა თავის თავში სარაჯიშვილის აპოლოგია. ძვაფრი და უჩვეულო, როგორც პსიხოზი. მე არ მგონია ვინმემ დასძლიოს აზრი, თუ როგორაა შესაძლო ქართული ოპერა სარაჯიშვილის გარეშე.

მინდა ვიწამო, რომ ქართული პოეზია და ხელოვნება შეჰქმნის ლეგენდას ვანო სარაჯიშვილზე. ეს იქნება ყველაზე ძვირფასი სახელი ჩვენი ხელოვნების პანთეონში...''

,,... ქართულ ოპერას და ქართველ საოპერო მომღერალს მსოფლიო მოქალაქეობა დაუმკვიდრა, მშობლიური ხელოვნების დროშა მაღლა ააფრიალა...'' (ჟ. ,,თეატრი და ცხოვრება'' № 16—24 წ.)

„... ვანო სარაჯიშვილი პირველია ჩვენში, რომელიც ეზიარა ვოკალური ხელოვნების მაღალ კულტურას, რომელმაც ქართული ჰანგი აიყვანა უმაღლეს კეთილშობილებამდე და გაუტოლდა ევროპის გამოჩენილ ვოკალისტებს... მარტო ერთი ,,აბესალომი'' საკმაოა, რომ ჩვენმა ხალხმა იგი გააზლაპროს როგორც რამ დაუვიწყარი ლეგენდა. (ჟ. ,,ხელოვნ. დროშა'' № 6. 24 წ.).

კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი წერდა:

,,...რით იყო მიმზიდველი ვანო სარაჯიშვილი? მ სში იყო დაუშრეტელი წყარო შინაგანი ძალისა, მუსიკალური ნიჭი განჭვრეტისა და ყველაფრის გაკეთილშობილებისა, რახაც კი მისი ხმა შეეხებოდა... და მართლაც, ვანო იყო არა მარტო მომღერალი, არა მარტო არტისტი, ის იყო თავისი ხალხის მგოსანი, ხალხის გენია, ის იყო ხალხის ლამაზი სული...'' (ხელოვნ. დროშა № 6. 1924 წ.)

გულმოკლული ზაქ. ფალიაშვილი თავის საანაყო აბესალომს ჰგლოვობდა:

,,აღარა გყვავს ვანო სარაჯიშვილი! მოკვდა დიდი ხელოვანი, დიდი მომღერალი და იშვიათი, კეთილი გულის ადამიანი. დაობლდა და ბურჯი შეერყა ახლად ფეხადგმულ ქართულ ეროვნულ ოპერასაც. დაეკარგეთ ის ადამიანი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი ბუნებრივი ბრწყინვალე ნიჭით მთელი ეპოსი შეჰქმნა ქართულ ეროვნულ სიმღერის დარგში.

ის იყო ერთი იმ იდეალთაგანი, რომელიც თავის მომხიბლავი სიმღერით ქართველ მუსიკოს—კომპოზიტორებს სულს გვიდგამდა და გვაქეზებდა ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში. ის იყო ერთი იმ ბედნიერ მიზეზთაგანი, რომელმაც ჩვენში ისე მოულოდნელად, ერთბაშად თავი წამოაყოფინა იმისთანა უმაღლეს და რთულ მუსიკალურ ფორმას ვოკალურ ხელოვნებისას, როგორიც არის ოპერა...''[1]) (კომუნისტი № 260 1924 წ.).

გამოქვეყნებულ წერილებში ყოველმხრივ ახასიათებდნენ ვანოს უდიდეს დამსახურებას ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე.

,,... რაოდენ ბედნიერები ვართ ჩვენ — ვანოს შემსწრენი მომავალ თაობაზე. ჩვენ ვიხილეთ ვანო, ჩვენ განვიცადეთ იგი და ჩვენ დაგვატკბო...''

გაზეთებში მთელი გვერდები დაეთმო სამგლოვიარო განცხადებებს: „განუმეორებელი ნიჭი'', ,,ხელოვნების იშვიათი ოსტატი'', ,,ოპერის მშვენება და სიამაყე'' ,,სპორტსმენი-მონადირე''... და რა მხრივ გნებავთ რომ არ იყოს დახასიათებული ვანო ამ განცხადებებში.

დამკრძალავი კომისიის სახელზე ორასამდე სამძიმრის დეპეშა მოვიდა, მაგრამ ბოლო არ სჩანდა. დეპეშები მიღებულ იქნა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, უცხოეთიდან, სანდრო ინაშვილი იტალიიდან გამოეთხოვა ძვირფას მეგობარს. ლ. სობინოვმა დეპეშით სთხოვა ოპერის დირექციას—მიერთმიათ გვირგვინი ვანოსათვის მისი სახელით. ვანოს გამოეთხოვენ სუმბათაშვილი—იუჟინი, ა. ლუნაჩარსკი და სხვა განთქმული მოღვაწენი. ცნობილი რეჟისორი ბოგოლიუბოვი სწერდა:

,,ცეცხლმა, რომელიც ვანოს გენიალურ სულში ენთო, დაე, გაუნათოს გზა ქართული ოპერის განვითარებას. ალალ ცრემლსა ვღვრი დიადი საფლავის წინაშე''.

საერთო—სახალხო გლოვას ქართველმა პოეტებმაც შეუერთეს თავიანთი ხმა.

ხალხში ტერენტი გრანელის ლექსი გაისმა:

---

[1] ხაზი ყველგან ჩვენია Ш. კ

„დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
თვალები მაინც შენ გიცქერიან.
ვანო, ასრულდა შენი სიმღერა—
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...“

თუ ამ ლექსმა „თავო ჩემოთი“ გაიმარჯვა, გიორგი ქუჩიშვილის ალალი გულისთქმა სალაპურიით აკვნესდა ხალხში:

„საქართველოს ხუჭუჭ ჭალებს
ბულბული ჰყავს მკვდარი.
მის დახუჭულ ლამაზ თვალებს
ამკობს წყვილი ცვარი.

მგლოვიარობს ტურფა ჭალა,
აღარ ჭსმის სტვენა:
რაც ბულბული გარდეცვალა,
შეესწყდა მისი ლხენაც.

ეს ბულბული ვანო იყო,
ვანო—ხმანარნარი,
ვანო—ლერწმის სალამური,
კვნესით გადამტყდარი“[1]).

ვანოს კუბოსთან უშუალო ტკივილის განცდით აყღერდა ვარლამ რუხაძის სტრიქონები:

„... შენზე წუხილი სულს ქვეშ დაიტანს
და ერის ფიქრიც წაგყვება თანა...
ეთერი ამ დარდს ვეღარ აიტანს,
ეთერი გულში დაიცემს დანას!“

რაჟდენ გვეტაძის პოეტურ სამძიმარში ხალხის გულისთქმა აღინასკვა:

„... მაგრამ სამშობლო მთების მწვერვალებს
არ დაუკარგავთ მხნეობა თალხში,
მისი სახელი კვლავ იელვარებს
და ზღაპარივით დარჩება ხალხში“.

იონა ვაკელმა ძველი ქართული ზარით მიუტირა გლოვად დამჯდარ სამშობლოს:

„... განჰეორებით რეკავენ ხმები
და იხნიქება შავების ღილი,

---

[1]) კომპ. ვ. შავერზაშვილმა ამ ტექსტზე ახალი რომანსი დასწერა. ზ. ج.

სამშობლო მხარევ, გაშალე თმები,
აღარ გყავს ვანო სარაჯიშვილი!“

ერთ მოზრდილ წიგნს გაავსებდა ვანოსადმი მიძღვნილი ლექსები. გამოუქვეყნებელ ლექსებს ვინ მოსთვლის. საქართველოში ასობით ლექსია დაწერილი ვანო სარაჯიშვილზე.

გადატეხილი ხალამური

11 ნოემბერს თბილისის თეატრების მსახიობთა კრებამ ვანო სარაჯიშვილის დამკრძალავი კომისია ამოირჩია. საერთო ხელმძღვანელობა კოტე მარჯანიშვილს დაევალა. ხარჯი სახალხო კომისართა საბჭომ იკისრა. ოპერისა და დრამის თეატრებმა გლოვის ნიშნად 11 ნოემბერს თავიანთი კარები ჩაჰკეტეს—მოხსნეს სპექტაკლები.

დაკრძალვა დაინიშნა კვირას, 16 ნოემბერს, დღის 12 საათზე ოპერის თეატრის ბაღში.

* * *

კოტე მარჯანიშვილი იმ დღეებში ყალყზე შემდგარ ბედაურს ჰგავდა: ებრძოდა აზღვავებულ ხალხს, საკუთარ თავს, მწუხარებას. ათასგვარი გეგმა უარჰყო და ახალი შეიმუშავა. სასტიკი ვარაუდი გასწია ყოველ წვრილმანში. საერთო-სახალხო გლოვამ მაინც გამოსტაცა კოტეს სადავე: ვერც საგანგებო კომისიამ, ვერც მილიციამ, ვერც ქალაქის საკომენდანტომ ვერ შესძლეს წესრიგის დამყარება. ხალხი უწყვეტი ნაკადებით ასკდებოდა ხელოვნების სასახლეს, სადაც ესვენა ვანო. თუმცა სასახლეში შესვლა ნებადართული იყო დილის 9 საათიდან ღამის 10 საათამდე, ხალხი არც ნაშუაღამევს იშლებოდა.

* * *

მუხის კუბოში განაბულა ტკბილ ჰანგთა მეფე. ფრაკითა და ქათქათა პერანგით მორთული ვანო თითქოს სცენაზე გამოსასვლელად ემზადება. დარბაზში ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ორკესტრი უკრავს. სტუდენტები და მოწაფეები ჩამწკრივებულნი მოდიან, ყვავილებით ამკობენ ცხედარს.

ვანო სარაჯიშვილი კუბოში (ნახატი ი. თოიძისა)

- არასდროს არ ყოფილა ამ ჭერქვეშ ამდენი ყვავილი და ასეთი სევდა. მომღერალი პოპოვა ფარვანასავით დასტრიალებს ვანოს გვირგვინებს, ფრთხილად ალაგებს, რომ ერთი ყლორტიც არსად მოსტყდეს. საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები, მუშები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი. და განა მარტო ქართველები არიან აქ?

ძაძით შემოსილ დარბაზში ნოხზე დამბობილა ვანოს მეუღლე—ნინო. ის თითქოს უხმოდ ესაუბრება ძვირფას მეგობარს.

გაფითრებული ვასო აბაშიძე ბებერ ორბივით უახლოვდება ვანოს სასთუმალს. თვალს ვერ აშორებს. დამჭკნარ ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლი.

დარბაზში ემილ კაპელნიცკის ჩელო აყღერდა.

„თავო ჩემო...“

ხალხი აქვითინდა.

ვანომ უკვდავება მიანიჭა ამ დიდებულ ჰანგს და ამავე ჰანგმა გაისტუმრა ის უკვდავებაში: ,,დაისში'' პირველად შეასრულა ვანომ ,,თავო ჩემო'' და პირველად ვანოს გასვენებაზე გაისმა იგი ჩელოს ცალფა შესრულებით.

ზაქარია ფალიაშვილმა მწუხარებით მოკუმა ტუჩი. ღაღაცა ნიკაპთან ცრემლი გაესკვნა. ვეღარ გაუძლო... განერიდა.

იქვე თავჩაქინდრული დგანან ძმები სარაჯიშვილები. ბევალ საძუდამიდ გაეცლება მათ თავიანთი საამაყო ძმა. დარბაზში გამოდიან გუნდები და ორკესტრები.

* * *

ვანოს გამოსვენება დანიშნული იყო კვირას 12 საათისათვის, მაგრამ იმ დღეს მტკვარი ახალ კალაპოტში გადაუშვეს და ნთავრობის წევრები ზაჰესში გაემგზავრნენ. მათი თხოვნით გამოსვენება 3 საათისათვის დაინიშნა და ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა. ხალხის ტალღა დილიდანვე მიაწყდა ხელოვნების სასახლეს.

3 საათისათვის ახლო-მახლო ქუჩებში გავლა გაჭირდა, ხოლო მაჩაბლის ქუჩაზე ადგილიდან დაძვრაც კი არ შეიძლებოდა. შენობები წითელ-შავნარევ მატერიით მოურთავთ, შიგადაშიგ ვანოს დიდი პორტრეტებია. ბევრგან ვანოს სურათს ჰყიდიან, მაგრამ ვინ მიუდგება?

გააფთრებული კოტე მარჯანიშვილი დამხმარეთა მთელი რაზმით დაჰქრის წესრიგის აღსადგენად. რა გაარღვევს შექვითკირებულ ხალხის კედელს! ჯარის ნაწილებიც გამოიწვიეს. სასახლე ვერ იტევს გვირგვინებსა და თაიგულებს, ამიტომ ისინი მაჩაბლის ქუჩაზეა დაზღვავებული.

გამოასვენეს.

კუბო ვარდ-ყვავილთა ტბაში მოცურავს, სწორედ ისევე, როგორც ნატრობდა ვანო. მაგრამ... მსგავსი რამ არასდროს ფიქრად არ მოსვლია—ყვავილმა გზა გადუღობა და სამარისკენ აღარ უშვებს.

ათი ორკესტრი ერთად უკრავს. დროშები წითელ ტალღებივით იხრებიან და გზას უთმობენ დიდ მომღერალს.

ამ ზღვა ხალხში ერთი კაცი ამაღლებულა და გრძელი მკვლავები გაუშვდია. ისლივით მიმდგარ ყანაში ტოტებგაშლილ კაკლის ხესა ჰგავს: მაგიდაზე შემდგარი კოტე ფოცხვერაშვილი აკადემიურ გუნდს ლოტბარობს. გუგუნით ისმის „სულთათანა".

გზადაგზა პროცესია ჩერდება. პროცესია კი არა—კუბო. ხალხი ზღვასავით სდგას—კუბო ზემოდან მილივლივებს. ადა-

მიანი მასას ჩიჰყავს, მასა კი თითქოს მიწაზია ჩალურსმული. ხელოვანთა სასახლიდან ოპერის თეატრამდე ნემსი არ ჩავარდება: თითქოს დედამიწიდან უთვალავი ჭიანჭველა ამოხეთქილა და წარღვნასავით მოსდებია ქუჩებს, ფანჯრებს, აივნებს, ხეებს შესვეია, სახლების სახურავზეც აღოღებულა. და ამ ორომტრიალში თოვლის ფანტელივით ელვარებენ ცღვირსახოცები, პეპლებივით ფარფატებენ გაქათქათებული ლეჩაქები. რამდენი ბავშვი ასცდა მშობელს, რამდენს გული შეუღონდა, რამდენი ცოემლი დაიღვარა.

შემთხვევით თბილისში მყოფ რუს პოეტს სერგეი ესენინს სიზმარში ჰგონია თავი. გარეტებულა გრანდიოზულ სანახაობით.

საღამოს 6 საათზე ძლივს მიაღწია ვანომ თავის სამუდამო სავანეს. ოპერის თეატრის აივნიდან გამოსათხოვარ სიტყვებს ეუბნებიან. მკვდრულ სიჩუმეში გაისმა ნაწყვეტები „აბესალომ და ეთერიდან". შემდეგ „დაისი" აღღერდა. სევდით შეხუთული ჰაერი მსახიობ პოპოვას სიმღერამ შეარხია:

„მწუხრი დაიწყო, ბედმა რა მიყო,
სიცოცხლე ჩემი მან თან წაიღო..."

,,მაროს ტირილით'' ეთხოვება ის თავის საამაყო პარტნიორს—დიდებულ მალხაზს. პოპოვას სული ეხუთება და მაინც მღერის. უკანასკნელად გადმოხედა კუბოში მწოლარე ვანოს და გული წაუვიდა.

კუბო საფლავში ჩაუშვეს.

ხალხმა დაიჩოქა.

ზღვა დროშებმაც თავი დაჰხარეს.

ყვავილის ზვინმა დაჰფარა მიწა.

საფლავზე გადატეხილი სალაშური დაადეს.

შამადავითიდან ცისფერი ნისლი დაიძრა, ქუჩებს გამოჰკვა და რუსთველის პროსპექტს შემოეპარა.

დაბინდდა, მწუხრი დაიწყო...

ფარდა კვლავ აიწია

რადგან ვანოს დასაფლავებამ საღამომდე გასტანა, მისი ხსოვნის აღსანიშნავი სპექტაკლი 22 ნოემბრისათვის გადაიდო.

— „აბესალომი'' უნდა დავსდგათ,—განაცხადა მარჯანიშვილმა.

— უაბესალომოდ?!

— დიახ, დიახ! აბესალომის პარტიას კაპელნიცკი დაუკრავს სცენაზე. დანარჩენს... დაინახავთ.

ემილ კაპელნიცკის ფერი ეცვალა.

— ბატონო კოტე, ჯერ ისედაც გონს ვერ მოვსულვარ ,,თავო ჩემო'' რომ დამაკვრევინეთ ვანოს კუბოსთან. ჩემი გული მოშხამულია.

— მით უფრო!

— ბატონო კოტე, ღმერთს გეფიცებით, ვერ გავუძლებ.

— ვერც მე ვუძლებ, ვანო სულ ვერ უძლებდა. გადაწყვეტილია!'

კაპელნიცკის ამხანაგები დაესივნენ.

— რად დასთანხმდი, იცი რას ნიშნავს ეს?

— მე... მე არაფერი არ ვიცი. აი, მან იცის.

* * *

22 ნოემბერს კაპელნიცკი წელმოწყვეტილი შევიდა თეატრში. დარბაზში ტევა არ იყო. ტანჯვის სპექტაკლი დაიწყო.

აი, ეთერმა დაამთავრა ,,დედინაცვალი'' და ახლა თეთრად მორთული ვანო სცენაზე უნდა შემოიჭრას.

მის ნაცვლად სინათლის შუქი შემოიჭრა ეთერთან. კაპელნიცკიც სცენაზევეა. მიმოიხედა, გააჟრჟოლა. მწვავე ფიქრი ეკალივით ესობა ტვინს, სულსა და გულს:

... ფალიაშვილმაც მე მაწამა: ,,თავო ჩემო'' დასწერა სოლოდ ჩელოსათვის და ვანოსთან დამაკვრევინეს. თითქოს ჩემს სიჭაბუკეს ვუგალობე უკანასკნელი სულთათანა. ახლა... ნეტავ ჩაინგრეს ეს თეატრი და თან ჩამიტანოს, ოღონდ გადავრჩე.—ირგვლივ ქვითინია—სცენაზეც და პარტერშიც. როგორ დავუკრაჰ? მაროლა ჯამბაზი ხომ არა ვარ...

მაგრამ, ფიქრის დრო აღარ ჰრის. ძველმა ოსტატმა მთელი ძალღონე დასჭიმა, მოკუნტულ ტუჩს კბილი დაადგა და აი, ვანოს ნაცვლად ამღერდა ჩელო:

მე ბანი ბანად გეძებდი...

ხალხი შეირხა. კაპელნიცკიმ თვალი მოჰკრა ამას და შედრკა. ,,ბეწვის ხიდზეა'' ახლა მისი წონასწორობა. საკრავის ნაცვლად თითქოს ვანოს გული უჭირავს ხელში.

— ემილ, ნაცადო მეგობარო, არ შემარცხვინო! ჩასჩურჩულა იდუმალმა ხმამ. თითქოს ვანომ გამოსტაცა საკრავი და განაგრძო თავის პარტია:

... შენ ბაღი ბაღჩად გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძი,
ბროლის გულმკერდი გეჩინა...

კულისებში ბორგავს მარჯანიშვილი. პაპიროსს ეწევა, ბოლთასა სცემს. მესამე აქტის შემდეგ კაპელნიცკი ცუდად გახდა. ექიმი მოაშველეს. კოტემ კიდევ შესძახა. ძალა შეჰმატა.

კოშმარულ სიზმარს და საშინელ სინამდვილეს ჰგავდა ეს სპექტაკლი.

,,აბესალომი'' უაბესალომოდ ვანოს გარდაცვალების წლისთავზედაც განმეორდა. ოპერის თეატრში აჩვენეს ფილმი ,,მამის მკვლელიც''.

ქართული ოპერის სიამაყემ გზა იცვალა, მაგრამ აკი მტკვარმაც იცვალა მაშინ საუკუნოებით გაკვალული გზა და ორ ეპოქას შორის შუქის ზღვარი გაავლო. თითქოს ვანოს ალმოდებულ გულს დედამიწა ამოეხეთქა და ირგვლივ შუქი დაეფრქვია—საფლავზე ანთებული ელნათურების გვირგვინი იდო.

ვანოს შემდეგ

სიმღერა ვანო სარაჯიშვილისათვის იყო საკუთარ სულის იდუმალი ხილვა პოეზიის უკვდავ სამყაროში. მუსიკალურ ფრაზას ის განიცდიდა ყოველი წვეთი სისხლით, ნერვის ქსოვილით. ამიტომ ასე ძლიერ აღაგზნებდა ამ ოქროპირს სიმღერა, და ქვა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ეს აღგზნება მის სულსა და გულსაც არ მოსდებოდა ფანტასტიკური კოცონივით.

სიმღერა ვანოსათვის იყო არა მარტო მოხიბლულ სულის ღაღადისი, არა მარტო ვირტუოზული შესრულება იმისა, რაც კომპოზიტორს დაუწერია. არამედ ამ დაწერილის მიხედ-

ვით საკუთარ თავის სასწაულებრივი გარდაქმნა და შემოქმედებითი ფერისცვალება.

ყოველივე ეს საფლავამდე მიჰყვება ყველას, ვისაც ვანო-სათვის მოუსმენია.

„თავო ჩემო" დიდებულ ფაინვარიევით აღმართულა ვანოს საფლავზე. ამიტომ უდიდეს სინანულს ჰგრძნობს დღეს ქართველი ადამიანი „თავო ჩემოს" მოსმენისას. აქ ყოველ აკორდში თითქოს ვანოს იერი მოჩანს და მსმენელის დაძაბულ ნეირონებს ცეცხლის ალმურში ჰხვევს.

ვანოს შესახებ უცხოეთში დიდხანს არ შეწყვეტილა სჯა-ბაასი. ხმების ჩამწერი საზოგადოების ძველმა თანამშრომელმა ბარბარინიმ, მილანში სანდრო ინაშვილს პირველად „ხუეუეთმიანი და შავგრემანი ტენორი" — ვანო სარაჯიშვილი ჰკითხა. სიკვდილი რომ გაიგო, გული დაეწვა.

ვანოს გარდაცვალების ამბავი შალიაპინმა ჰოლანდიაში შეიტყო ლეონ ისეკისაგან. დიდად იმწუხარა. — იტალიაში ვანო სარაჯიშვილს მე ერთ-ერთ მშვენიერ ლირიკულ ტენორად ვსთვლიდი, და დიდ მომავალს ეუქადდი. აკი არც შევმცდარვარ... მეტად სამწუხაროა შესანიშნავი ქართველი მომღერლის დაღუპვაო.

ვანოს შემდეგ ისევ ეწვია თბილისს მსოფლიოში განთქმული რუსი ტენორი ლეონიდ სობინოვი. ემილ კაპელნიცკი შეეკითხა სობინოვს მუსიკოსთა წრეში:

— რა აზრისა ბრძანდებით ვანო სარაჯიშვილის მიერ ნადირის პარტიის შესრულებაზე?

— ნადირის პირტიის შესრულებაში ვანო სარაჯიშვილს ტოლი არ ჰყავდა, იგი უნიკუმი იყო. — განაცხადა საჯაროდ სობინოვმა და ბევრი რამ საინტერესო სთქვა კიდევ ვანოს შესახებ.

თბილისს რამდენიმეჯერ ეწვია განთქმული ტენორი კოზლოვსკი. ოპერის დარბაზში შესასვლელთან ვანოს გადიდებული სურათი ეკიდა. იგი თეატრს სანდრო ინაშვილმა უძღვნა. კოზლოვსკი მოწიწებით, ქუდმოხდილი ჩაუვლიდა ხოლმე ამ სურათს. ვანოს ძეგლის ასაგებ ფონდში ამ ადამიანმა თავისი წვლილი შეიტანა და სხვა მომღერლებიც გამოიწვია. რაღაც

თანხა დაგროვდა. ერთ დროს ძეგლის კონკურსიც გამოცხადდა. კოზლოვსკიმ ბევრი ეძება ვანოს მიერ დამღერებული ჩანაწერები, რომლებიც იმპერიალისტური ომის დროს დაიკარგა. ვერსად იპოვა და ამ ამბავმა მეტად დაამწუხრა.

* * *

ტერენტი გრანელის ლექსს დიდხანს მღეროდნენ. ბავშვებში მეტად პოპულარული გახდა მეორე სიმღერა:

ოპერის ბაღში ვარსკვლავი ბრწყინავს,
ცივს სამარეში ვანოსა სძინავს.
ადექი ვანო, გეყოფა ძილი
ნუთუ არ გესმის ერის ქვითინი?

მაგრამ კოტე მარჯანიშვილის ხელით აწეული ფარდა არ დაშვებულა, სცენა არ დაბნელებულა. ვანოს დაკრძალვიდან ათი დღის შემდეგ ზაქ. ფალიაშვილის „დაისში" პირველად გამოვიდა ნშვენიერი ტენორი ნიკო ქუმსიაშვილი. ნიკოს ვანო სარაჯიშვილმა დაულოცა გზა ოპერისაკენ და უწინასწარმეტყველა — შენ იმღერებო. და მართლაც, თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ემსახურა ნიკო ქუმსიაშვილი მშობლიურ სცენას. დიდად დაწინაურდა. საბჭოთა ხელისუფლებამ რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება და მაღალი ჯილდოები უბოძა. სამწუხაროდ, ისიც ადრე გამოგვეცალა ხელიდან (გარდ. 1942 წლ. 20 სექტ.)

თითქმის ნ. ქუმსიაშვილთან ერთად სცენაზე გამოვიდნენ მთელს საბჭოთა კავშირში დიდად სახელმოხვეჭილი მომღერლები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები დავით ანდღულაძე და დავით ბადრიძე. არას ვამბობთ აქ ჩვენს შესანიშნავ სხვა მომღერლებზე, რადგან ამ შეხვედრაში მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარის პირველი მემკვიდრეები გვაინტერესებს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს უჩვეულოდ აყვავდა ჩვენი ხელოვნება, მუსიკა, ოპერალური კულტურა და შესანიშნავი მომღერლები დაწინაურდნენ. რაოდენ სიხარულით აღივსებოდა ვანო სარაჯიშვილის ალალი გული ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა ასე გუნდ-გუნდად რომ ენახა მშობლიურ სცენაზე, სადაც ის დიდხანს ობლად ღუღუნებდა თვალმინაბული.

* *
*

მომავალი თაობა ახალ ვანო სარაჯიშვილებს მისცემს სამშობლოს. მოვლენ ისინი—ათასი აბესალომები და მალიაზები.

მოვლენ უბადლო ქართველი მომღერლები და უფრო მაღლა ასწევენ მშობლიური ოპერის დროშას.

ოპერის ბალს ,,ეთერი'' ჰქვიან. ამ ბალში ვანოს გვერდზე დამარხეს ზაქ. ფალიაშვილიც. იქვეა ნიში კოტე მარჯანიშვილის ფერფლით.

ამ სამ საფლავს საუკუნეთა მანძილმე შეინახავს თავის გულში მთელი ქართველი ერი.

აბესალომი კვლავ ეთერთანაა. რა გასთიშავს ამიერიდან მათ? ქართული მიწა არასდროს არ აღმოაცენებს ვანო სარაჯიშვილის გულზე მურმანის ეკალს.

ვარსკვლავები

იტყვიან: არ უარვყოფთ—ვანო დიდია, მაგრამ... რუბინი, აზინი, კარუზო და მრავალი ს

სარჩევი

	გვ.
ერის სიამაყე	3
სარაჯიშვილთა გენეალოგიისათვის	4
წინაპრები და ნათესაობა	5
მშობლები	7
ვანოს ბავშვობა და მოწაფეობა	8
საშუალო სასწავლებელში	9
სამხედრო სამსახურში	10
სარაჯიშვილთა საოჯახო გუნდი	12
ილია ჭავჭავაძის განაჩენი	13
არც დრო, არც ..... ფული!	15
ქართული სალამოები რუსეთში	17
სარაჯიშვილების „დემონი“	19
ალექსი წერეთელთან. იტალიელთა დასში	21
პირველი გამოსვლა თბილისის ოპერაში	22
„ფორთოხლისა და ტენორების“ ქვეყანაში	25
იტალიიდან დაბრუნება. საქართველოსა და რუსეთის სცენაზე	29
ვანო სარაჯიშვილი და ქართული ოპერა	33
ვანო სარაჯიშვილი და ქართული რომანსი	40
ხელოვანი და ადამიანი	43
სად იყო ხიშტი?	49
ნამდვილი მარგალიტი	50
რომეოს კრინი	50
მეოცნებე ბაირონი	51
„ფაუსტი“ ყარაიას ტყეში	52
ჭრილობა	53
ალმოდებული განთიადი	54
მამლერეთ ჩემთვის	55
ურმული და ნოტები?	55
მიწის სუნი	56
ჯადოსანი მკურნალი	56
ამ ამბავს მთელს ევროპას მოვსდებ	57
უბადრუკი მლიქნელი	57
ბოლმა დამახრჩობს	58
კაკლის კენწეროზე	59
რად მიღუპავ სამშობლოს?	60
განრიდებული მომღერალი	61
სალამური	61
პოეზიის თაიგული	62
იავნანა	63

ვილლი ჩეხე 63
რამ გაწუწა ხალხი 64
ჭუჭის მომღერალი 65
ქროამი 65
კავკასიელი ბულბული 66
ორი „ურმული“ 66
უცხო სტუმარი 67
ლეონიდ სობინოვის წამალი 68
არ დაგავიწყდეთ . . . ქართველი ვარ! 70
მარადიუობის ბრილიანტი 70
ქედს ვერ მოვიხრი 71
უცნაური გარომცდელი 72
მაპატიეთ, დამაგვიანდა 73
მშვიდობით . . . მშვიდობით! 74
იუბილე 74
ულანასკნელი „თავო ჩემო“ 77
ერის გლოვა 83
გადატეხილი სალამური 90
ფარდა კვლავ აიწია 93
ვანოს შემდეგ 95
ვარსკვლავები 98

Ш. Кашмадзе

ПЕРЕЛОМАНАЯ СВИРЕЛЬ

(На грузинском языке)

Издательство „Хеловнеба“
19 Тбилиси 57

რედაქტორი დ. კომახიძე
მხატვარი ვ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ლ. ლომთათიძე
კორექტორი მ. ჩიხრაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-57, ანაწყობის ზომა 5½×9,
ქაღალდის ზომა 84×108 ნაბეჭდი თაბახი 6,5.
უე 00167. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 205.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.